

აგორა

A5



მსოფლიოს მეორე მენავთობე

B3



მეშვიდე, ტოტალურად ნინკვი ფავორიტი

C2


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 30 მაისი, 2006 წელი. №117 (1269) — ფასი 50 თეთრი


# დარტყმა სამშვიდობო პროცესებზე... და "დიდ რვიანზე"

*ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, უპასუხისმგებლო ქმედება და ქვეყნის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება - ასე შეაფასეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ და სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა 27 მაისს ქართულ-ოსური კინფლიქტის ზონაში ოსი ეროვნების რამდენიმე ათეული მოქალაქის დაკავების ფაქტი. სახელმწიფო მინისტრმა და სახალხო დამცველმა გუშინ კონფლიქტის ზონაში დაზარალებული ოსი და ქართველი მოქალაქეები მოინახულეს.*

თეა თედლიაშვილი
დიმიტრი ავალიანი

**"ეს არის პირდაპირი დარტყმა სამშვიდობო პროცესებზე, რომელსაც ატარებს საქართველოს ხელისუფლება"**, - განაცხადა გუშინ გვიან საღამოს გიორგი ხაინდრავამ კონფლიქტის ზონაში მომხდარი ინციდენტის კომენტირებისას. **"მე აუცილებლად დავადგენ, ვინ არიან ადამიანები, რომლებიც ასეთი ქმედებებით საქართველოს ბედს ეჭვქვეშ აყენებენ,"** - ამბობს სახელმწიფო მინისტრი.

მისი თქმით, ცხინვალში საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ და სახელმწიფოს მათი დაცვაც ევალება. სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, 27 მაისს დაკავებული ოსები გორში, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობაში ჰყავდათ მიყვანილი. ხაინდრავამ და სუბარმა ინციდენტის შედეგად დაზარალებული რვა ოსი მოქალაქე მოინახულეს, რომლებიც მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე საუბრობდნენ.

ასევე, სახელმწიფო მინისტრმა და სახალხო დამცველმა 28 მაისს ფრონეს ხეობაში გატაცებული და ნაცემი ოთხი ქართველი ქარელის საავადმყოფოში მოინახულეს. ამ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ვინმე გაზაშვილი ოსურმა მხარემ გუშინვე დააკავა. გარდა ამისა, იძებნება გაზაშვილის ძმა და კიდევ სამი პიროვნება. მათი დაკავების სანაცვლოდ კი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხაილ მინძაევმა ქართულ მხარეს ოსებზე განხორციელებულ ძალადობაში დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვა.

**"გაზაშვილები არიან ბანდიტები, მოიქცნენ ბანდიტურად, მაგრამ არანაკლებ ბანდიტურად მოიქცნენ ქართველი პოლიციელები"**, - განაცხადა სოზარ სუბარმა, თუმცა იქვე დააზუსტა, რომ ჯერჯერობით არაა ცნობილი, იყვნენ თუ არა პილიციელები ის სამოქალაქოტანსაცმლიანი პირები, ვინც დაკავებულებს აწამებდნენ.

**"ასე მეგონა, წამების ასეთი ფორმები საქართველოში დიდი ხანია დავიწყებული იყო. ეს იყო ბოთლებით, სველი პირსახოცით ცემა, მათ ემუქრებოდნენ გაუპატიურებით"**, - განაცხადა სუბარმა.

გუშინვე სახელმწიფო მინისტრი და სახალხო დამცველი შიდა ქართლის შს სამმართველოს თანამშრომლებთან შეხვედრას გეგმავდნენ, თუმცა შეხვედრა ვერ შედგა. სოზარ სუბარის თქმით, იგი გორელ პოლიციელებს აუცილებლად შეხვდება, 27 მაისის ინციდენტის შესახებ მათგან ინფორმაციის მიღების მიზნით. მომხდართან დაკავშირებით რეგიონის პოლიციის ხელმძღვანელობა კომენტარს კვლავ არ აკეთებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მინი-სესია დიდი პრეტენზიებით

## რუსეთი ჯერ არ არის მზად დემოკრატიის ევროპული მოდელისთვის

*რუსეთში საერთაშორისო ღონისძიებების ცხელი ზაფხული დაიწყო. სოჭში გამართული რუსეთი-ევროკავშირის სამიტის შემდეგ, რუსეთის დედაქალაქმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გასვლით მინი-სესიას უმასპინძლა. ევროსაბჭოს სესიას მოსკოვში მშვიდად არ ჩაუვლია. ძირითადად რუსული მხარე "ხმაურობდა", რომელსაც ევროპის მიმართ ბევრი პრეტენზია დაუგროვდა. სანაცვლოდ კი, ევროსაბჭომ რუსეთს ათწლიანი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.*

სოფო ბუკია

გუშინ მოსკოვში "პრეზიდენტ-ოტელში" გამართულ სესიას ევროსაბჭოს ყველა მმართველი ორგანოს - საპრეზიდენტო კომიტეტის, ბიუროს, მუდმივი კომისიების წარმომადგენლები დაესწრნენ. მომავალი ექვსი თვის განმავლობაში რუსეთი ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს უხელმძღვანელებს და ევროპელთა მოსკოვში მიპატიჟებაც სწორედ რუსეთის ამ ახალ სტატუსთან დაკავშირებით მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ევროპელები უარყოფითი ემოციებით შეხვდნენ ევროსაბჭოში რუსეთის თავმჯდომარეობას, გუშინ მოსკოვში საკმაოდ პოზიტიური განცხადებები გაკეთდა.

**"გილოცავთ ევროსაბჭოს ათწლიანი წევრობის თარიღს. ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ იმ პროგრესს, რასაც რუსეთმა ამ წლების განმავლობაში მიაღწია,"** - აღნიშნა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელმა რენე ვან დერ ლინდენმა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან შეხვედრისას. ვან დერ ლინდენის თქმით, რუსეთი ევროპის მშენებლობაში საკვანძო როლს ასრულებს. **"რუსეთსა და ევროსაბჭოს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე ევროპის სტაბილურობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა წარმოუდგენელია,"** - განაცხადა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შეფმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ბანი" ფოლკლორს დააჯილდოებს

## ახალი კონკურსი "თიბისი" ბანკისგან

სოფო კილასონია

"თიბისი" ბანკი კარგა ხნის წინ კულტურის სფეროში წამახალისებელ მეცენატად მოგვევლინა. თუმცა ის ამ საქმისთვის ყოველთვის ორიგინალურ, უფრო სწორად, საინტერესო ხერხებს იყენებდა, რის გამოც არა უბრალოდ დამფინანსებელია, არამედ მნიშვნელოვანი პროცესების ფუძემდებელიც. ეს ხერხი - კონკურსია. კონკურსი, რომელიც ტრადიციული ხდება და გარკვეულწილად აქტუალური, მნიშვნელოვანი და ზოგისთვის ალბათ საეტაპოც.

მკითხველი მიხვდება, რომ ლიტერატურულ პრემია-კონკურს "საბას" სტრუქტურასა და ამოცანებს ვეხებოდი.

გაგრძელება A6 გვერდზე



*"ბანის" ორგანიზატორები.*

# "მავნებელი პოლიტიკური პროდუქტი"

გიორგი ასანიშვილი

ვადაგასული ქართული პოლიტიკური პროდუქტის - იგორ გიორგაძის რუსეთში ლეგალიზებამ და რეკლამირებამ საქართველოში საკმაოდ მწვავე რეაქცია გამოიწვია. ხელისუფლება და ოპოზიციური სპექტრის ანგარიშგასაწევი ნაწილი ერთსულოვანია იმაში, რომ აღნიშნული პროდუქტი მავნებელია და საქართველოში მისი ექსპორტი დაუშვებელია.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები მიესალმებიან ოთხი ოპოზიციური პარტიის მიერ იგორ გიორგაძესთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და პოლიტიკურ ოპონენტებს სთავაზობენ, ერთობლივად გააკონტროლონ ინტერპოლის მიერ ძებნილი უშიშროების ყოფილი მინისტრის ფონდის საქმიანობა. **"მარტო ჩვენ რომ მივიღოთ რაიმე ზომები, მაშინ დემოკრატიის შეზღუდვაში დაგვდებენ ბრალს,"** - ოპოზიციისთვის კრიტიკის საბაბის მიცემა არ სურს დავით კირკიტაძეს.

იგორ გიორგაძის ფონდის ერთობლივი მონიტორინგის იდეას მაია ნადირაძეც უჭერს მხარს. იგი ამ საკითხში ოპოზიციას თანამშრომლობას სთავაზობს, თუმცა გარკვეულ სიფრთხილეს მაინც იჩენს.

**"ოპოზიცია, ერთი მხრივ, ბრალს გვდებს, რომ თითქოს ხელოვნურად ვახდენთ გიორგაძის ტირაჟირებას, მაგრამ საკმარისი იქნება, ფონდის საქმიანობაზე რაიმე კონტროლი დავაწესოთ, რომ მაშინვე დემოკრატიის შეზღუდვაზე ალაპარაკდებიან,"** - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე საკმაოდ დიდხანს მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუჭრან იგორ გიორგაძეს ხელისუფლებაში მოსვლის გზები. განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი კოლეგებს მოუწოდებს ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, სადაც კანონი "კაგებეს" ყოფილ თანამშრომლებს სახელმწიფო ორგანოებში და არჩევით თანამდებობებზე საქმიანობას უკრძალავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# კანში ქარი ამოვარდა

ნესტან ნიჟარაძე
*კანიდან*

*კანის 59-ე ფესტივლი დასრულდა. ჟიურიმ და მისმა ჩინელმა პრეზიდენტმა ვონგ კარ-ვაიმ 28 მაისს, დახურვის ცერემონიაზე, რომელსაც ფრანგი მსახიობი ვენსან კასელი უძღვებოდა, 2006 წლის კანის ფესტივალის საუკეთესო ფილმები დააჯილდოვა.*

ფესტივალის დასრულებასთან ერთად უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ მის დაწყებამდე ჟიურის წევრების მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ თითოეული მათგანი ბოლომდე იბრძოლებდა საუკეთესო ფილმების დასაჯილდოებლად, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. ტრადიციისამებრ, წლევანდელი ფესტივალი და მისი ჟიური გარკვეულ კომპრომისებზე წასვლის აუცილებლობის წინაშე დადგა. თუმცა ამაზე შემდგომ და თანამიმდევრულად.

გაგრძელება A7 გვერდზე



*"ქარი ამოვარდება" ოქროს პალმის რტოთი დაჯილდოვდა.*

# საარბიტრაჟო სასამართლო - პრეზიდენტის ინიციატივა მისაღებია

*საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნის თაობაზე სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. პრეზიდენტის იდეას გამოუჩნდნენ მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ადვოკატი დიმიტრი გაბუნია ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც მძლავრი საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ქვეყნის განვითარებისკენ წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს; უფრო ზუსტად, ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისკენ სვლად აფასებს.*

დიმიტრი გაბუნია
*თბილისის საარბიტრაჟო პალატის დირექტორი*

არბიტრაჟის ინსტიტუტი უნდა არსებობდეს, ბიზნესმენებსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავების ეფექტურად მოსაგვარებლად. პრეზიდენტის განცხადებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. არადა, ეს არის საკმაოდ წარმატებული იდეა, რომელიც დასახვეწია და აუცილებლად უნდა განხორციელდეს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს ინსტიტუტი აქამდე არსებობდა, ეს სისულელე იყო. საქმე ისაა, რომ ბიზნესმენები თავად აკომპლექტებდნენ საარბიტრაჟო სასამართლოებს და შემდეგ სახელმწიფოს წინააღმდეგ მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას ღებულობდნენ. საარბიტრაჟო პრაქტიკას მთელი მსოფლიო იყენებს. ძალზე პრესტიჟულია ლონდონის საარბიტრაჟო პალატა, სტოკჰოლმის არბიტრაჟი, პარიზის უსერიოზულესი ინსტიტუტი, რომლებიც, საუკუნეებია, ფუნქციონირებს და საკმაო წარმატებით.

ჩვენ უნდა მოვიწვიოთ უცხოელი ექსპერტები, რომელთა ქვეყნებსაც არბიტრაჟის 100-120-წლიანი გამოცდილება აქვთ და ქართველ სპეციალისტებთან ერთად უნდა შემუშავდეს სერიოზული კონცეფცია, რომლის საფუძველზეც, საქართველოშიც ჩამოყალიბდება სერიოზული ინსტიტუტი. ჩვენ უნდა გავიზიაროთ ევროპის 100-120 წლოვანი გამოცდილება.

გაგრძელება A4 გვერდზე


## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ბიუროების სასამართლო აღმასრულებელთა მიერ დანიშნული საჯარო აუქციონების შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე www.justice.gov.ge შეუძლიათ.

აღმასრულებელთა მიერ დანიშნული, იპოთეკით დატვირთული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონების შესახებ ცნობები მუდმივად განახლდება.



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


არქიტექტურული კონკურსი ქ. თბილისში მეტროს სადგურ "რუსთაველის" მიმდებარე ტერიტორიაზე

A6

IWPR

ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A8


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 30/05 | 31/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 32 |
| ტყიბული | 31 | 32 |
| გორი | 29 | 30 |
| ზუგდიდი | 34 | 39 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7980 |
| ევრო | 2.2916 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3445 |
| რუბლი | 0.0664 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| აგორა | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |

## "ТВЦ"-ს ჟურნალისტის მკვლელობა მოსკოვის ოლქში

გადაცემა "დელოვაია მოსკვას" სპეციალური კორესპონდენტი ვიაჩესლავ აკატოვი ქალაქ მიტიშიში ნაქირავებ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. ექსპერტიზის დასკვნით, ჟურნალისტი თავის ქალის ტრამვით ხუთი დღის წინ გარდაიცვალა.

ვიაჩესლავ აკატოვი ტელეარხ "ТВЦ"-ში 2001 წლიდან მუშაობდა. პროკურატურა მკვლელობის ვერსიას ამუშავებს.

"ТВЦ"-მ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია ჟურნალისტის დაკარგვის შესახებ. უკანასკნელად აკატოვი 26 მაისს საღამოს რვა საათზე მეტროსადგურ ალექსეევსკაიასთან ნახეს.

მიმდინარე წელს რუსეთში ეს ჟურნალისტის მკვლელობის მეორე ფაქტია - 26 თებერვალს მოკლეს ტელეარხ "НТВ"-ს ჟურნალისტი ილია ზიმინი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღე

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის სახალხო პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ:

"ზუსტად 14 წლის წინ, 1992 წლის 29 მაისს, სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამით 1992 წლის 19 იანვარს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებიც ოფიციალურად გაფორმდა".

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის სახალხო პარტიის წარმომადგენლები საერთაშორისო საზოგადოებას მიმართავენ და სთხოვენ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ყველანაირი ისტორიული და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით სცნონ. კოკოითის მთავრობის სახალხო პარტიის წარმომადგენლები საქართველოს სამხრეთ ოსეთის მიმართ იმპერიულ ზრახვებში ადანაშაულებენ.

"14 წელიწადია საქართველო სამხრეთ ოსეთის მიმართ აგრესიის, მკვლელობის, მძევალთა აყვანისა და დაშინების პოლიტიკას ახორციელებს. მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და კაცთმოყვარეობისა წინააღმდეგ მიმართული ქმედებები აღკვეთოს", - აცხადებენ სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის სახალხო პარტიის წევრები.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მერაბ ანთაძე მოსკოვში თავის რუს კოლეგას შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე მოსკოვში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ანდრეი დენისოვს შეხვდა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საგარეო პოლიტიკურ უწყებაში აცნობეს, შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობისა და კონფლიქტების დარეგულირების საკითხები. ანთაძემ და დენისოვმა დიალოგის გაგრძელების შემდგომი ნაბიჯები დასახეს.

*ინტერპრესნიუსი*

## გადახრა მარჯვნივ

### "ანტიამერიკელთა" გამარჯვება კოლუმბიაში აღარ განმეორდა

კოლუმბიის საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ. იგი მემარჯვენე ძალებისა და აშშ-ის მოკავშირეა. ურიბეს მხარი ამომრჩეველთა 62%-მა დაუჭირა. ალვარო ურიბეს მთავარი კონკურენტი მემარცხენე-ცენტრისტი კარლოს გავირია იყო. მან დამარცხება უკვე აღიარა. გავირიას მხარი ამომრჩეველთა 22%-მა დაუჭირა.

ალვარო ურიბე წინასაარჩევნო გამოკითხვებშიც ლიდერობდა. გაურკვეველი მხოლოდ ის იყო, გაიმარჯვებდა თუ არა იგი არჩევნების პირველ ტურში. მიმოხილველთა განცხადებით, მოსახლეობის მოწონებას იმსახურებს ურიბეს მკაცრი პოზიცია ნარკოტიკებისა და სამხედრო დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლისას.

პრეზიდენტობის პირველ ვადაში ურიბემ შეცვალა კონსტიტუცია და მიიღო უფლება პრეზიდენტის პოსტზე კენჭი მეორედაც ეყარა. დამკვირვებლების თქმით, წლევანდელი არჩევნები საკმაოდ მშვიდი იყო. არჩევნებისთვის დედაქალაქ ბოგოტასა და კოლუმბიის სხვა მსხვილ ქალაქებში უსაფრთხოების ზომები გაამკაცრეს, თუმცა სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

შეგახსენებთ, კოლუმბიის მეზობელ ვენესუელაში არსებულ მკვეთრად ანტიამერიკულ უგო ჩავესის "კლუბს", ახლახან ბოლივიაში არჩეული კიდევ ერთი ანტიამერიკელი მმართველი ევო მორალესი შეუერთდა. მიმომხილველები ანტიამერიკული განწყობის მთელ ლათინურ ამერიკაში გავრცელების ტენდენციაზეც კი ალაპარაკდნენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა ასეთი პროგნოზი ნაადრევი იყო.

*24 საათი*

## ინდონეზიაში მიწისძვრით დაღუპულთა რიცხვმა 5 ათასს მიაღწია

ინდონეზიაში მიწისძვრით დაღუპულთა რიცხვმა 5 ათასს მიაღწია. ბოლო მონაცემებით, იავაზე მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 4 983 ადამიანი შეადგინა.

კუნძულზე საგანგებო სიტუაციაა გამოცხადებული. მაშველები კვლავ მუშაობენ შემთხვევის ადგილას, თუმცა ნანგრევებს შორის ცოცხალი ადამიანების აღმოჩენის შანსი სულ უფრო ცოტაა.

მიწისძვრა ინდონეზიის კუნძულ იავაზე შაბათს მოხდა. ყველაზე მეტად ქალაქი ბანტული დაზარალდა, სადაც 2 ათასზე მეტი ადამიანია დაღუპული. საერთო ჯამში, 20 ათასმა ადამიანმა მიიღო დაზიანებები, 200 ათასი კი - სახლ-კარის გარეშე დარჩა.

მიწისძვრის სიმძლავრემ რიხტერის შკალით 6,3 ბალი შეადგინა. მიწისძვრის კერა ინდოეთის ოკეანეში, 33 კილომეტრის სიღრმეში იყო. დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ ინდონეზიაში კიდევ 450 მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა.

ინდონეზიაში უკვე დაიწყო ჰუმანიტარული ტვირთის ჩატანა. ბევრმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოთქვა დახმარების სურვილი და ინდონეზიას ფინანსური დახმარებაც აღუთქვა.

გაერო-ს ჰუმანიტარული სააგენტოები დღეს ჟენევაში შეხვედრას გამართავენ, სადაც ინდონეზიისათვის დახმარების გაწევის პროგრამაზე იმსჯელებენ.

*ინტერპრესნიუსი*

## იერიში "ჰეზბოლა"-ზე და... ლიბანზე

ისრაელელმა სამხედროებმა, რომლებმაც ლიბანის სამხრეთ ნაწილში იყვნენ განლაგებულნი შიიტური დაჯგუფება "ჰეზბოლა"-ს მებრძოლთა დიდი ნაწილი გაანადგურეს. პოლკოვნიკმა გალ ჰირშმა, რომელიც ისრაელის არმიის ჩრდილოეთ მიმართულებას ხელმძღვანელობს, აღნიშნა, რომ მათ მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს განადგურებული იქნა სადაზვერვო პოსტებისა და სხვა ობიექტების დიდი ნაწილი, რომელსაც 6 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ისრაელის არმიამ ჩრდილოეთ ლიბანი დატოვა, "ჰეზბოლა"-ს წევრები აკონტროლებდნენ.

აღნიშნული ოპერაცია პროვოცირებული იქნა "ჰეზბოლა"-ს მებრძოლთა მიერ ისრაელის ტერიტორიის დაბომბვის შედეგად. სარაკეტო თავდასხმის საპასუხოდ ებრაელებმა განახორციელეს საარტილერიო დარტყმა "ჰეზბოლა"-ს მებრძოლთა ადგილსამყოფელზე, რასაც მოჰყვა ოპერაცია სპეცრაზმის მონაწილეობით, რის შედეგადაც დაღუპულია დაჯგუფების 2 წევრი. ოპერაციისას, ასევე, დაიჭრა 3 ისრაელი სამხედროც.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ამირ პერეცმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მიზანს არ წარმოადგენს ლიბანის საზღვრების დარღვევა და დესტაბილიზაცია, ცაჰალის (ისრაელის თავდაცვის არმია, - რედ.) ამგვარი ქმედება უბრალოდ იყო პასუხი "ჰეზბოლა"-ს მებრძოლთა ქმედებაზე. ისრაელის შეიარაღებული ძალები მზად არიან, ასეთ ქმედებებზე ადექვატური რეაქცია გამოხატონ და საპასუხო სვლა განახორციელონ.

## "მავნებელი პოლიტიკური პროდუქტი"

პირველი გვერდიდან

**"როდესაც იცი, რომ კაცი აღა მაჰმად ხანის ლაშქრის წევრია, მის აღზევებას რატომ უნდა შეუწყო ხელი? თუ გიორგაძისნაირი ხალხი სახელმწიფოს სათავეში მოხვდება, დაიღუპება ქვეყანა,"** - დაასკვნის ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც ლუსტრაციის კანონის სასწრაფოდ მიღებას მოითხოვს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერების გუშინდელ "ინიციატივებს" ოპოზიცია "ოპერატიულად" გამოეხმაურა. ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი მამუკა კაციტაძე მიიჩნევს, რომ ფონდების საქმიანობის შესწავლა პარლამენტის პრეროგატივა არ არის და ეს საქმე აღმასრულებელ ხელისუფლებას ევალება.

**"თუ მთავრობა ამას ვერ ახერხებს, წავიდნენ ხელისუფლებიდან და ჩვენ ამას მშვენივრად შევძლებთ,"** - აღნიშნავს კაციტაძე. მისივე განცხადებით, ქართულ უშიშროებას, დავით გამყრელიძის მანქანის თვალთვალს ურჩევნია, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტებს, მათ შორის, გიორგაძეს უთვალთვალოს და მისი არაკანონიერი საქმიანობა და კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედი ფონდების საქმიანობა შეისწავლოს.



უმრავლესობა ოპოზიციის "შემოტყუებას" გიორგაძის თემით ცდილობს.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლის თქმით, საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ლუსტრაციის კანონპროექტზე საუბარი უხერხულია, რადგანაც აღნიშნული დოკუმენტი ოპოზიციურმა ფრაქცია "დემოკრატიულმა ფრონტმა" შეიმუშავა და განსახილველად პარლამენტს წარუდგინა, "მემარჯვენე ოპოზიცია" კი აღნიშნული კანონის მიღებას მხარს უჭერს.

უმრავლესობის გუშინდელი "ინიციატივების" არსს მამუკა კაციტაძე იმაში ხედავს, რომ სახელისუფლებო გუნდს პლენარულ სხდომებზე ოპოზიციის შეტყუება სურს. **"ამ ბოლო პერიოდში კირკიტაძეს ოპოზიციასთან ურთიერთობის სურვილი მოეძალა. კირკიტაძეს კი უწყობს ასაკი ხელს, რომ სატყუარათი გაერთოს, მაგრამ ოპოზიცია გამოვიდა ამ ასაკიდან,"** - დასძენს კაციტაძე.

იგივე მოსაზრებებს გამოთქვამენ "დემოკრატიული ფრონტის" ლიდერები ზვიად ძიძიგური და ლევან ბერძენიშვილი. მათი განცხადებით, იგორ გიორგაძის ფონდის საქმიანობის კანონიერების შესწავლას არანაირი კომისიის შექმნა არ სჭირდება და ამ საქმის გაკეთება ძალოვან სტრუქტურებს კანონის ფარგლებში თავისუფლად შეუძლიათ.

## დარტყმა სამშვიდობო პროცესებზე... და "დიდ რვიანზე"

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ ყველანი ქართველი სამართალდამცავების მიერ კარგად დაგეგმილი აქციის მოწმე გავხდით. შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, საქართველო კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დესტაბილიზაციას გეგმავს",** - ეს განცხადება თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ გააკეთა. ედუარდ კოკოითი შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა. **"ჩვენ ომი არ გვჭირდება, ეს სჭირდება სააკაშვილს, ოქრუაშვილს და მისთანებს. მათ სურთ გადაკიდონ ოსი და ქართველი ხალხი ერთმანეთს და აწარმოონ სისხლზე დამყარებული პოლიტიკა",** - აცხადებს კოკოითი.



უცნობი ძალოვნების მიერ ნაცემი ოსი მოქალაქეები.

გუშინვე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებულ სიტუაციაზე მეტად ოპტიმისტური კომენტარი პარტია "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმაც გააკეთა. **"თუ პარლამენტმა უაზრო ულტიმატუმები არ წამოაყენა და ხელისუფლებამ ხელოვნურად არ დაძაბა ვითარება, როგორც კონფლიქტის ზონაში, ისე რუსეთთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება მშვიდობიანი გზით 2007 წლის ცხინვალში შეხვედრის შესახებ - რეალურია",** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საგარეო საქმეთა ექს-მინისტრის შეფასებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მონახულების შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად შემუშავებულ სამშვიდობო პროცესს უჭერს მხარს და მზად არის, მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო პროცესის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. მისივე თქმით, იგი და მისი თანამოაზრეები მზად არიან, ხელი შეუწყონ კონფლიქტის ზონაში დაგეგმილ სამშვიდობო პროცესს. **"თუ რუსეთთან უაზროდ არ დავძაბეთ ვითარება, შესაძლოა, კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთმაც პოზიტიური როლი შეასრულოს",** - დასძინა სალომე ზურაბიშვილმა.

გუშინვე რუსმა პოლიტოლოგმა სერგეი მარკოვმა განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვა საქართველოს პრეზიდენტის "დიდი გეგმების" რეალიზაციას ემსახურება. კერძოდ, მარკოვის აზრით, საქართველოს ხელისუფლება "დიდი რვიანის" სამიტის დაწყებამდე სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებების განახლებას გეგმავს.

მისი ვერსიით, ამის შემდეგ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს კონფლიქტში ჩაურევლობის შესახებ ულტიმატუმს წაუყენებს. მარკოვის აზრით, მიხეილ სააკაშვილს და მის გარემოცვას "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება არ სურთ და ცხინვალის მიმართულებით სამხედრო ოპარაციებს უახლოეს ხანებში დაიწყებენ.

**"სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებით საქართველო რუსეთს საბრძოლო მოქმედებებში ჩართვისკენ უბიძგებს, რის შემდეგაც სააკაშვილი ვლადიმირ პუტინს ულტიმატუმს წაუყენებს - თუ გინდა "დიდ რვიანს" უხელმძღვანელო, კონფლიქტებში არ უნდა ჩაერიო - ეს კი ჩვენი მხრიდან, სამხრეთ ოსეთში და დნესტრისპირეთში რუსეთის მოკავშირეების ღალატის ტოლფასი იქნება",** - მიაჩნია კრემლთან დაახლოებულ პოლიტოლოგს.

## 26 მაისის "ფასი"

### რა დაჯდა დამოუკიდებლობის ზეიმი?

ნათია მსხილაძე

*საქართველოს ისტორიაში, ყველაზე გრანდიოზულ აღლუმში მონაწილეობდა 18 510 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს 13 100 ჯარისკაცი, 5 000 რეზერვისტი. გარდა ამისა, აღლუმზე გამოჩნდა 410 პოლიციელი, 44 ერთეული მძიმე ჯავშანტექნიკა და 42 საფრენი აპარატი.*



აღლუმის სარდალი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი იყო, ხოლო აღლუმი, უმაღლესმა მთავარსარდალმა, მიხეილ სააკაშვილმა ჩაიბარა.

საქართველოს პრეზიდენტმა, აღლუმის დაწყებამდე მოკლე სიტყვა წარმოთქვა. პრეზიდენტის სიტყვის დასრულების შემდეგ კი, რუსთაველზე სამხედროებმა მარშირება დაიწყეს.

მაინც რამდენი დახარჯა ხელისუფლებამ, რათა მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ საქართველო ძლიერდება?

ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების თანახმად, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხები ასე გამოიყურება:

"საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (N275 18.05.06), საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, გამოეყო 432 700 ლარი. მათ შორის: ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს 287 500 ლარი. ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამას 145 200 ლარი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით (N189 26.04.06), საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, გამოეყო 185 143 ლარი. მათ შორის: საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატს 19 700 ლარი. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ დაწესებულებებს (წარმომადგენლობებს) 165 443 ლარი.

**26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხები:**




გაზეთმა " 24 საათმა" შეძლო გაერკვია, თუ რამდენი გადაუხადეს აღლუმის მთავარ რეჟისორს ზაალ ჩიქობავას. როგორც ჩიქობავამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, მან ჰონორარის სახით 6 ათასი ლარი მიიღო.

კულტურის მინისტრის მოადგილის თამარ ქვარიანის თქმით, კონცერტი 62 ათასი ლარი დაჯდა. **"პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 432 700 ლარიდან, 62 ათასი ლარი კონცერტს მოხმარდა. დანარჩენი თანხები დასჭირდა თავად აღლუმის მოწყობას, გაფორმებას, გახმოვანებას და ა.შ. ეს თანხა მთლიანად არ დაგვჭირვებია, ასე რომ ვთქვათ, დარჩენილი თანხა ავანსად გვაქვს,"** - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

რაც შეეხება აღლუმის სამხედრო მხარეს, როგორც თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოში გაგვიცხადეს, სამინისტროს აღლუმის ჩატარება 364 ათასი ლარი დაუჯდა.

1995-97 წლებში შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა გურამ ნიკოლეიშვილმა ორჯერ უსარდლა აღლუმს. იგი წლევანდელი აღლუმით აღფრთოვანებული დარჩა. მისი თქმით, პირადი შემადგენლობა ძალიან კარგად იყო ჩაცმული, აღჭურვილი და საერთოდ, ასეთი ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გამოყვანა, საადლუმოდ მომზადება, მისი გათვლებით, სადღაც ერთ მილიონ ლარამდე დაჯდებოდა.**"1997 წელს ყველაზე დიდი აღლუმი 300 ათასი ლარი დაჯდა, მაგრამ მაშინ საწვავი უფრო იაფი იყო. დამატებითი ფული არ ყოფილა გამოყოფილი. ეს თანხა მთლიანად თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან იყო გამოყოფილი",** - აღნიშნა გურამ ნიკოლეიშვილმა.

რაც შეეხება, გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოს აღლუმისათვის 12 მილიონი ლარი დაიხარჯა, სამხედრო ექსპერტს კობა ლიკლიკაძეს ეს მონაცემი უზომოდ გაზვიადებული ეჩვენება. მისი თქმით, 26 მაისის აღლუმი მილიონ ლარზე მეტი არ დაჯდებოდა. **"აღლუმი ნამდვილად კარგი ორგანიზებით ჩატარდა. წელს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რომ მუხლუხოვანი ტექნიკა არ იქნა გამოყვანილი. რაც შეეხება აღლუმის ჩასატარებელ თანხებს, როდესაც მე თავდაცვის სამინისტროში ვმუშაობდი, მახსოვს, რომ აღლუმის ჩატარება მილიონი-მილიონნახევარი ლარი ჯდებოდა. გავრცელებული ინფორმაცია, რომ აღლუმის ჩატარება 12 მილიონი ლარი დაჯდა, ძალზე გაზვიადებულად მეჩვენება. საერთოდ, ორი უკიდურესობა გვჭირს: ჟურნალისტები ყოველთვის უფრო მეტ ციფრს ასახელებენ, ვიდრე ეს რეალურად არის. ალბათ ეს იმიტომ ხდება, რომ ხელისუფლება ცდილობს დამალოს ციფრები. ამიტომ, უხერხულობა, რომ არ შეიქმნას, ჯობია, ხელისუფლებამ ეს თანხა დაასახელოს",**- აღნიშნა ლიკლიკაძემ.

## მოკლედ

### საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურგში გაემგზავრება

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი დღეს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად სტრასბურგში გაემგზავრება.

აღნიშნული განცხადება მიხეილ მაჭავარიანმა გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თვითმმართველობის რეგიონული კონგრესი უნდა ჩატარდეს.

მაჭავარიანის განცხადებით, იგი თვითმმართველობის რეგიონულ კონგრესზე სიტყვით გამოსვლასაც გეგმავს.

როგორც მაჭავარიანმა განაცხადა, ევროსაბჭოს რეგიონული თვითმმართველობის კონგრესზე გამოსვლისას, იგი საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის შესახებ ისაუბრებს.

საქართველოს პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, რომლის მიმართაც ევროსაბჭოს ექსპერტებსა და წარმომადგენლებს გარკვეული შენიშვნები ჰქონდათ და ისინი წერილობით საქართველოს პარლამენტს გამოუგზავნეს. ევროსაბჭოს აღნიშნული შენიშვნები გუშინ პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტშია და კომიტეტმა ევროსაბჭოს შენიშვნების მოსმენას სამდღიანი სემინარი მიუძღვნა, თუმცა კანონში ცვლილებების სახით ევროსაბჭოს შენიშვნები ჯერ არ შესულა.

*ინტერპრესნიუსი*

### ივანოვმა და ლარიჯანიმ კრიზისიდან გამოსვლის პოლიტიკურ გზებზე იმსჯელეს

თეირანში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივან სერგეი ივანოვსა და ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივან ალი ლარიჯანს შორის მოლაპარაკებების ორი რაუნდი დასრულდა.

ორი სახელმწიფოს მაღალჩინოსნებმა კვირას გამართულ მოლაპარაკებებზე ისაუბრეს ირანის ატომური პროგრამის ირგვლივ შექმნილ პრობლემასა და მისი გადაჭრის ყველა გზაზე.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს დიპლომატიური და პოლიტიკური გზების მნიშვნელობას. მათი აზრით, პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა შეიძლება სწორედ პოლიტიკური იყოს. ლარიჯანიმ და ივანოვმა ასევე იმსჯელეს ორმხრივ რეგიონულ საკითხებზე. საუბარი შეეხო შესაძლო თანამშრომლობას ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროში. ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის ჯერაც არაა ერთიანობა. აშშ მოითხოვს მკაცრი ზომების გატარებას, რუსეთი კი დიპლომატიური მეთოდების გამოყენების მომხრეა.

*ინტერპრესნიუსი*

### საქართველოსა და თურქეთის სასაზღვრო უწყებების ერთობლივი წვრთნები

გუშინ საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ახალციხის მონაკვეთზე საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო უწყებების ერთობლივი წვრთნები იწყება.

სწავლების თემაა საზღვარზე დარღვევების წინააღმდეგ კოორდინირებული ქმედება და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდების შემუშავება.

ღონისძიებაში მონაწილეობას თურქეთის შეიარაღებული ძალების ატაშე, გენერალ-მაიორი იუქსელ ოზთექინი, გენერალ-პოლკოვნიკი ჰაირი ქივრიქ ოღლუ, არდაგანის გუბერნატორი მურათ ილდირიმი და სხვა ოფიციალური პირები მიიღებენ. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან ღონისძიებას დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. 29-30 მაისს სწავლებების პროგრამის თანახმად, ორი ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა სახეობაში სპორტული შეჯიბრებები ჩატარდება.

*მედიანიუსი*

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# მინი-სესია დიდი პრეტენზიებით

პირველი გვერდიდან

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა საკუთარ გამოსვლაში ნათლად გააგებინა ევროსაბჭოს, რომ დასავლეთის მიერ თავსმოხვეული დემოკრატიის მოდელს რუსეთი უპირობოდ ვერ მიიღებს.

თუ ლავროვის გუშინდელ გამოსვლას დავუჯერებთ, რუსეთი ჯერ არ არის მზად დემოკრატიის ევროპული მოდელისთვის. **"დემოკრატიის ესა თუ ის მოდელი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებასა და საზოგადოების მზაობას ცვლილებებისათვის. იძულებითი დემოკრატიული მოდელები არასოდეს იმუშავებს. პირიქით, იძულებით თავს მოხვეული დემოკრატია საზოგადოებამ შეიძლება არც მიიღოს,"** - განაცხადა ლავროვმა და ევროპელებს ურჩია, ნუ ეცდებიან ყველა ქვეყანაში დემოკრატიის ერთი და იგივე მოდელის დანერგვას.



*ევროსაბჭოს სესიას მოსკოვში მშვიდად არ ჩაუვლია. ძირითადად რუსული მხარე "ხმაურობდა".*

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთი საკუთარ ექვსთვიან თავმჯდომარეობას ევროსაბჭოში აუცილებლად გამოიყენებს ბალტიისპირეთის ქვეყნების კრიტიკისთვის. ამის პირველი ნიშნები გუშინ უკვე გაჩნდა.

თურმე ლავროვი გააბრაზა იმან, რომ ლატვიაში ანტიფაშისტური მიტინგის დარბევის გამო ევროსაბჭომ არავითარი რეაგირება არ მოახდინა. **"ევროკავშირის არც ერთმა ქვეყანამ ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია, მაშინ როცა მოსკოვში გამართულმა გეი-აღლუმმა ემოციების ზღვა გამოიწვია,"** - განაცხადა ლავროვმა. მისი რისხვა თავს დაატყდა ესტონეთსა და ლიტვასაც, სადაც რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმის, უხეშად ირღვევა ეროვნულ უმცირესობათა უფლებები.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის გარეშეც გუშინდელი სესია უბრალოდ ვერ ჩაივლიდა - ბელარუსი და ევროპის მიერ დაჩაგრული მისი პრეზიდენტია. ლავროვის თქმით, ბელარუსის იზოლაცია არასწორია და პრობლემების მოგვარება ევროპამ დიალოგის გზით უნდა შეძლოს. ლავროვმა ევროსაბჭოს წარმომადგენლებს შეახსენა, რომ ბელარუსის პარლამენტის თავმჯდომარე სტრასბურგში გამართულ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შეკრებას იმ მიზეზით გამოაკლდა, რომ მას ევროკავშირის ვიზა არ მისცეს.

როგორც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა ბორის გრიზლოვმა გუშინდელ სესიაზე განაცხადა, ევროსაბჭოს "საჭესთან" მყოფი რუსეთი "რევოლუციის" მოწყობას არ აპირებს. **"პირიქით, ჩვენ უზრუნველვყოფთ ევროსაბჭოს ნორმალურ და თანმიმდევრულ ფუნქციონირებას,"** - აცხადებს გრიზლოვი.

რუსები ასევე პირობას დებენ, რომ 2007 წლისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე პროტოკოლის რატიფიცირებას მოახდენენ, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას ითვალისწინებს (რასაც უკვე წლებია მისგან მოითხოვენ). რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა ევროსაბჭოს 46 წევრ ქვეყანას შორის, რომელსაც აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირება ჯერ არ ეჩქარება. უკვე ათი წელია სიკვდილით დასჯაზე რუსეთში მორატორიუმი მოქმედებს. როგორც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი კონსტანტინ კოსაჩოვი აცხადებს, თუ მოსკოვი 2007 წლის დასაწყისამდე არ მოახდენს აღნიშნული პროტოკოლის რატიფიცირებას, შესაძლოა, ევროსაბჭომ საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციას უფლებამოსილება შეუწყვიტოს და საერთოდაც, ამ ორგანიზაციაში რუსეთის წევრობა შეაჩეროს.

კოსაჩოვი აღიარებს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ დოკუმენტის რატიფიცირება ადვილი არ იქნება, რადგან რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამ საკითხის გასატანად უმრავლესობის შეკრება ძნელი იქნება.

**"მეექვსე პროტოკოლის რატიფიცირება მხოლოდ დროის საკითხია,"** - თავის მხრივ დაამშვიდა ევროპელები ლავროვმა.

გუშინდელი ღონისძიება, რომელიც სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი "დიდი რვიანის" სამიტის ერთგვარ პროლოგად შეიძლება მივიჩნიოთ, მეგობრული პრესკონფერენციით დასრულდა. აქედან გამომდინარე შეიძლება გამართლდეს ბევრი ევროპელი ექსპერტის პროგნოზი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ "დიდი რვიანის" სამიტიც ასევე მეგობრული პრესკონფერენციითა და არაფრისმომცემი დეკლარირებული განცხადებებით დასრულდება. ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლეთს დღეს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობები სჭირდება და ამიტომ რუსული დემოკრატიის უბადრუკ ხარისხზე თვალის დახუჭვას ამჯობინებს.

# ქაბულში შეტაკებები გრძელდება

თეა მაისურაძე

გუშინ ამერიკელმა სამხედროებმა ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში ადგილობრივ მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს. არეულობა მთელ ქალაქს მოედო. ამას საგზაო მოძრაობის შეფერხებაც დაერთო. ადგილობრივი მცხოვრებნი უცხოელთა მანქანებს აჩერებდნენ, გადმოჰყავდათ ისინი ტრანსპორტიდან და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ამერიკელთა ქცევამ ავღანელთა აღშფოთება გამოიწვია. ისმოდა ანტიამერიკული შეძახილები, რასაც მოჰყვა აღელვებული მასისაგან ქვების სროლა და მანქანების დაწვა.

არეულობის შედეგად ცამეტი ავღანელი დაიღუპა. იარაღის სროლის ხმა ავღანეთის დედაქალაქში თითქმის ყველგან ისმოდა, მათ შორის აშშ-ს საელჩოსთანაც, რის გამოც ამერიკის წარმომადგენლობამ საელჩოს ტერიტორია დატოვა და უფრო უსაფრთხო ადგილს შეაფარა თავი.

პოლიცია ცდილობს მიიღოს გარკვეული ზომები ქალაქში წესრიგის დასამყარებლად.

ინციდენტის გამომწვევ მიზეზებზე ორი ვერსია არსებობს. პირველის თანახმად ცეცხლი თავდაპირველად ამერიკლმა სამხედროებმა გახსნეს, ხოლო მეორე ვერსია კი საპირისპიროს ამტკიცებს და არეულობის დაწყებაში ავღანელებს ადანაშაულებს. აშშ-ს წარმომადგენელი ლეიტენანტი თამარა ლავრენსი აცხადებს, რომ არეულობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ამერიკელთა სამხედრო მანქანამ მოძრაობისას კონტროლი დაკარგა და მშვიდობიანი მოქალაქეების მანქანებს დაეჯახა, რამაც ავღანელთა აგრესია გამოიწვია, ისინი ინციდენტის ადგილას შეგროვდნენ. "ძირს ამერიკა" და "ძირს ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარძაი" - ისმოდა შეძახილები. სროლის დაწყებამდე ავღანელებმა ამერიკელთა სამხედრო მანქანას ქვები დაუშინეს. "ხალხი აღშფოთებულია"- აცხადებს ადგილობრივი მკვიდრი სანად შაჰი.

ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც მომხდარის გამოიძიებას და ინციდენტის გამომწვევ მიზეზებს დაადგენს.

საყურადღებოა ასევე ავღანეთის სახელმწიფო წარმომადგენლების განცხადებებიც. ისინი აცხადებენ, რომ აშშ-ს სამხედრო თვითმფრინავებმა ავღანეთის სამხრეთ ნაწილშიც გამოიწვიეს არეულობა - გუშინ მათ მეჩეთში მყოფი თალიბ მებრძოლთა ჯგუფი დაბომბეს. ჰელმანდის პროვინციის ვიცე-გუბერნატორი ამირ მუჰამედ აკჰუნდზადა მიიჩნევს, რომ თავდასხმის შედეგად დაახლოებით 50 სამხედრო დაიღუპა: "თალიბები მეჩეთში ხვდებოდნენ ერთმანეთს, როცა ამერიკელმა სამხედროებმა დაბომბვა დაიწყეს".

წინა კვირას ყანდაარზე თავდასხმის შედეგებზე საუბრისას, ამერიკელმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ დაახლოებით 80 თალიბი მებრძოლი დაიღუპა, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, დაღუპულია 16 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ქალები და ბავშვებიც არიან.

# "თავისუფალი სიტყვა"

FM უცნობი 92.0

მედიაპროექტი გადის რადიო "უცნობის" ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. დღევანდელ გადაცემას უძღვება ჟურნალისტი მაია ჭალაგანიძე. სტუდიის სტუმარია თინა ხიდაშელი. სატელეფონო ჩართვით - სალომე ზურაბიშვილი.

**მაია ჭალაგანიძე: საპარლამენტო ოპოზიცია ბოიკოტს განაგრძობს. საქართველოში კი ასეთ დროს ზოგადად ოპოზიცია სუსტდება. არ გეშინიათ, სხვამ დაიკავოს ოპოზიციის ადგილი?**

**თინათინ ხიდაშელი:** თუკი ჩვენი პარლამენტის ოპოზიციური ტრიბუნის არგამოყენება პარლამენტში აღმოაჩენს სხვა ოპოზიციურ ძალას, კარგია. ეს ნიშნავს, რომ უმრავლესობიდან უნდა გამოიყოს ძალები, რადგან ოპოზიციიდან აღარავინ დარჩა. ბოიკოტი არ გამოუწვევია მხოლოდ გელაშვილის პარლამენტიდან გაშვების ფაქტს. ამის მიზეზი არის ის, რაც წერია მემორანდუმში. ვალერი გელაშვილის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებით უმრავლესობამ გვაჩვენა, რომ ასე თავხედურად, ხელაღებით შეგვიძლია დაგატოვებინოთ პარლამენტიო. მაშინ, როდესაც ასეთი პარლამენტის თავმჯდომარეს თვეების განმავლობაში პარლამენტში ჰყავდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და პროტესტი არ გამოუხატავს, დღეს პარლამენტშია პრეზიდენტის პრესმდივანი, რომელიც მიკროფონთან არასდროს გვინახავს. ბევრი ეწევა ბიზნეს საქმიანობას და ამას თავად პრეზიდენტი მიესალმება. ვფიქრობ, რომ ამ ყველაფრის ფონზე ოპოზიციამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად ამისა, ბოიკოტი არ არის სრულმასშტაბიანი - დეპუტატები საკომიტეტო მოსმენებში მონაწილეობენ.

**მ.ჭ. ტელეკამერები რომ გამოირთოს, სესიები იქნება თუ არა უფრო შედეგიანი?**

**თ.ხ.** ამის ილუზია მქონდა მთავრობის სხდომების საჯაროობის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ. მაშინ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო ნაყოფიერი იქნებოდა მთავრობის მუშაობა. მაშინ ეს დავიჯერე და არანაირი პროტესტის გრძნობა არ გამჩენია. სამწუხაროდ, შედეგი ვერ დავინახეთ. დღეს მთავრობის სხდომა მაშინ არის საჯარო, როცა პრეზიდენტი თვლის საჭიროდ. სხვა შემთხვევაში მთავრობის დადგენილებებსაც კი არ გვანახებენ. ვფიქრობ, რომ იგივე შედეგს მივიღებდით პარლამენტთან მიმართებაშიც.

ოპოზიციის მთავარი სამიზნე სწორედ დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობაა. იმედი მქონდა, რომ საქართველო დაადგებოდა სახელმწიფოებრიობის გზას. ამას წინათ, ტელევიზიით ითქვა, რომ კულტურის სამინისტროს პროგრამების უმეტეს ნაწილს საპრეზიდენტო პროგრამები ჰქვია. როდესაც ასეთ რეჟიმში ცხოვრობ, ნიშნავს, რომ შენ გყავს დიდი ბელადი, რომელსაც გამუდმებით მადლობებს უნდა უხდიდე.

**მ.ჭ.: მეგონა, მოვახერხებდი თავის არიდებას თემისთვის "გიორგაძე", რადგან ეს თემა მაინც თითიდან გამოწოვილი მგონია. მაგრამ, გასულ კვირას მოზღვავებულმა პიარმა კითხვები მაინც გამიჩინა. არის გიორგაძე ხელისუფლების "სასურველი" საფრთხე?**

**თ.ხ.:** ვთვლი, რომ ეს არის საუკეთესო სცენარი დღევანდელი ხელისუფლებისთვის. დღეს გიორგაძე არ წარმოადგენს საფრთხეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის არასდროს არ იქნება საფრთხე. თუკი ტელევიზიით კვლავ გამოჩნდება და ასეთ რეჟიმში გაგრძელდება ვითარება, რა თქმა უნდა, საფრთხის მატარებელი გახდება. ამ ქვეყანაში არც ერთ პრეზიდენტს არ დაუმთავრებია მოღვაწეობა კონსტიტუციის შესაბამისად. მიხეილ სააკაშვილს მართლაც აქვს შიში, რომ ვიღაცეები მისი გადაგდების შესახებ სადღაც მსჯელობენ. საზოგადოება არ უნდა შევიდეს შეცდომაში, ისე როგორც აბაშიძის დროს მოხდა. დღეს გიორგაძე უფრო დიდი საფრთხობელაა, ვიდრე აბაშიძე იყო თავის დროზე.

**მ.ჭ.: მის უკან დგას დიდი ქვეყანა თავისი ინტერესებით, დიდი ფული, ამ ფულს დახარბებული ეთნიკური ქართველები. რა სამართლებრივი გზებით უნდა ებრძოლოს ამას ხელისუფლება?**

**თ.ხ.:** ხელისუფლებამ თავისი ფუნქცია პატიოსნად უნდა შეასრულოს. კონსტიტუციით მინიჭებული უფლება უნდა გამოიყენოს როგორც პრეზიდენტმა, ასევე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებამაც. მეორე მხრივ, კი ხელისუფლებას არაფერი მოეთხოვება, ანუ ის არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკური ძალების საქმეში და მისცეს შესაძლებლობა თავისი გზით განვითარდეს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, პოლიტიკური პლურალიზმი.

ხელისუფლება ბევრ ფულს ხარჯავს უნამუსოდ. ის რაც ხდება ქვეყანაში, არის ერთი პარტიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ბოროტად გამოყენება საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გლეხებს გვარჯილასთან ერთად დაურიგა ბროშურებიც, რომლის ყდაზეც გამორჩეულად დიდი ასოებით აწერია, რომ ეს "ნაციონალების" პროგრამაა. აღარაფერს ვლაპარაკობ უფასო სასადილოებზე და იმ ცნობილ ფაქტებზე, როდესაც პრემიერი თავისი დადგენილებებით უფასოდ გადასცემდა ქონებას "ნაციონალებს". შემდეგ იქ იხსნება სასადილო და ამას პარტიის სახელით აკეთებდნენ. ეს არის უსინდისო საქციელი. როდესაც შენ უკანონობას უკანონობით ებრძვი, ეს არასდროს გამოიღებს დადებით შედეგს. ძალიან სერიოზულად იკლებს ხელისუფლების რეიტინგი.

ერთადერთი სწორი გამოსავალი არის ნორმალური, პროპორციული საარჩევნო სისტემა. თვითმმართველობის არჩევნების სწორად ჩატარება მნიშვნელოვანია როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე ოპოზიციისთვის. დღეს ქვეყანაში იმდენად სერიოზული პრობლემებია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას არა აქვს მხოლოდ სახელმმართველობის დატვირთვა. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს ძალიან სერიოზული ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის შექმნის დატვირთვა. დღეს არის იმის მაღალი ალბათობა, რომ ამ სისტემითაც კი ოპოზიციამ საარჩევნო გაერთიანების შემთხვევაში გამარჯვება შეძლოს. ამის პრევენციისთვის იქმნება დღეს გიორგაძე. მე მყავს ძალიან ბევრი განათლებული მეგობარი, რომლებსაც უკვე დიდი ხანია გაუჩნდათ შიში, რომ შესაძლოა, ხელისუფლებაში მოვიდეს გიორგაძე. თუკი ხელისუფლებამ ეს სინდრომი კიდევ უფრო გაზარდა, მაშინ რა თქმა უნდა, ხალხში გაჩნდება აზრი, რომ არჩევნებს ვერ მოიგებს სხვა ოპოზიციური პარტია და უმჯობესია გაიმარჯვოს სახელისუფლებო პარტიამ.

**მ.ჭ.: რა შეიძლება იყოს დღეს ეროვნული კონსესუსის თემა?**

**თ.ხ.:** საყოველთაო კონსესუსზე საუბარი ძნელია... ოპოზიციურ ძალებში არის ხალხი, ვინც არ მოაწერა ხელი გიორგაძისგან გამიჯვნას. საქართველოს ინტეგრაციის საკითხებში არის კონსესუსი. ამ თემაზე დღეს არავინ არ დავობს. მიუხედავად საპარლამენტო ოპოზიციის ბოიკოტისა, ისინი მაინც შეუერთდნენ ნატო-სთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებას. არის თემები, რომელზეც არ ვდავობთ. პრემიერმა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში თავხედურად თქვა, რომ ქართული სახელმწიფო ყიდის მნიშვნელოვან ობიექტებს, რაც კარგია, და ამას ყიდულობს რუსეთის სახელმწიფო.

**მ.ჭ.: ქალბატონო სალომე, თქვენ არ შეუერთდით ოპოზიციას გიორგაძის თემასთან დაკავშირებით. ეს არ მიგაჩნიათ საფრთხედ?**

**სალომე ზურაბიშვილი:** მე არ მითქვამს, რომ არ მიმაჩნია საფრთხედ. ამ განცხადებას იმიტომ არ შევუერთდი, რომ უბრალოდ გიორგაძე არ მიმაჩნია მთავარ თემად. არ მესმის, რატომ შექმნა მისგან მედიამ და ხელისუფლებამ მთავარი თემა. ჩვენ დღეს საქმე გვაქვს ორპირ პოლიტიკასთან. ერთი მხრივ, ჩვენი ხელისუფლება ვითომ ძალიან აგრესიულია რუსეთის მიმართ და პატრიოტული, მაგრამ, ამავე დროს ვგრძნობ, რომ დაკარგული თუ არა, შენელებულია ევროპული ორიენტაცია. ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა ევროკავშირთან მოლაპარაკებებს, რაც გადამწყვეტია ჩვენთვის. ამ დროს მთელი ყურადღება გადატანილია მოსკოვზე და გიორგაძეზე - რას იტყვის მოსკოვი, ის, რომ რუსი ჟურნალისტი ჩამოდის - ეს ხდება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მთავარ თემად. მივხედოთ ჩვენს საქმეს, საქმე კი მართლაც ბევრი გვაქვს. თუნდაც, სამშვიდობო პროცესი, აქაც ხელოვნურ დაძაბულობას აქვს ადგილი. გვაქვს შანსი, რომ სამშვიდობო პროცესი სწორად წარიმართოს და ამაში მხარს გვიჭერენ ევროპელი, ამერიკელი პარტნიორები, ჩვენ არ ვიყენებთ ამ შანსს და რატომღაც ვიყურებით მოსკოვისკენ და ვლანძღავთ რუსეთს. ვეთანხმები თინა ხიდაშელს, რომ პრივატიზაციის პროცესი, რომელიც ჩვენთან მიმდინარეობს სხვა მიმართულებით მიჰყავთ.

**მ.ჭ.: თქვენი აზრით, დღეს რა ძალები წარმოადგენენ რუსეთის ნამდვილ საყრდენებს საქართველოში?**

**ს.ზ.:** პიროვნებები ნაკლებად მაინტერესებს, ვიდრე მიმართულებები. ფაქტია, რომ ჯგუფს, რომელიც შევარდნაძის დროის გამგრძელებელია, კავშირები აქვს მოსკოვთან - ფული იქნება ეს, თუ სხვა კავშირები. ეს ჩანს პრივატიზაციისა და ეკონომიკის საკითხებშიც. ნატო-ში შევდივართ და მივდივართ რუსეთისკენ, რაც არ მესმის.

კარგია, თუ უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ ევროკავშირს. მისი წარმომადგენლები აქაც იყვნენ ჩამოსულები, თუმცა ამას ნაკლები ყურადღება მიექცა. ფაქტობრივად, არაფერი ვიცით ამ მოლაპარაკებების შესახებ. მე მაინტერესებს ქართველებმა რაზე მოაწერეს ხელი და რაზე შეთანხმდნენ და არა ის, თუ რას იტყვის პუტინი. დავივიწყოთ რუსეთი, დავივიწყოთ გიორგაძე და მივხედოთ ჩვენს საქმეს.

**მ.ჭ.:** რადიო "უცნობისა" და "იმედის" ერთობლივმა ფილმმა 26 მაისზე დამიტოვა შთაბეჭდილება, რომ ამ პატარა ქვეყანაში არაფერი იცვლება. მაშინაც ძალიან ცოტა ადამიანი აკეთებდა პატიოსნად თავის საქმეს, დანარჩენი საზოგადოება მაშინაც უიმედოდ იყო და ლანძღავდა ამ ცოტა ადამიანს. ქართველები კი ისხდნენ გიტარით ხელში და სალაღობო სიმღერებს თხზავდნენ...

**თ.ხ.:** ...და ისევ ისე კიდევ ერთხელ ესვრიან ილია ჭავჭავაძეს (კრებითად, რა თქმა უნდა), სააკაშვილს კიდევ ერთხელ შეუძლია გაისროლოს იმ თოფიდან, რომლითაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს, მას ეს "შანსი" აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ მაქვს მცირე იმედი, რომ ის ამ შანსს არ გამოიყენებს.

# ზღვარი წარმატებასა და წარუმატებლობას შორის

ია ანთაძე

დღევანდელ საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, ძალზე მყიფეა ზღვარი წარმატებასა და წარუმატებლობას შორის. ამ სიმყიფის თვალსაჩინო ნიმუშები ხელისუფლების საქმიანობაშიც იჩენს თავს. მაგალითად ისიც კმარა, რომ გუშინ ყველაზე ძლიერი შინაგან საქმეთა სამინისტრო დღეს კრიტიკის უმძიმესი წნეხის ქვეშ არის მოქცეული. რა იწვევს მყარი მიჯნის მოშლას წარმატებასა და წარუმატებლობას შორის?

ქართველებს ახასიათებთ და უყვართ უკიდურესობები. ეს ზოგადი თვისება ერთნაირად ვრცელდება როგორც ხელისუფლებაზე, ისე საზოგადოებაზე და ძალიან უშლის ხელს სინამდვილის ადეკვატურ აღქმას. თუ მაინც შევეცდებით, კეთილსინდისიერად აღვწეროთ ჩვენი რეალობა, შესაძლოა, სამ პრინციპზე ჩამოვყალიბდეთ.

I. ამჟამინდელი ხელისუფლება გაცილებით ქმედითია, ვიდრე მისი წინამორბედი იყო.

II. ქმედითობა ზოგჯერ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეში გამოიხატება, ზოგჯერ - სახიფათო და რისკიან გადაწყვეტილებებში, ზოგჯერ კი - უკონტროლო და მავნე ნაბიჯებში.

III. იმის გამო, რომ დღევანდელი ხელისუფლება ბევრ კარგ რამეს აკეთებს, მას საშუალება ეძლევა, იმავდროულად, ბევრი ცუდი რამ გააკეთოს ისე, რომ პასუხი არ აგოს.

26 მაისს ყველამ ნახა ქართული ჯარის სააღლუმო სახე. ამ დღეს ადამიანები საუბრობდნენ ჯარის მშენებლობის დადებით ტენდენციაზე და პერსპექტივებზე, რაც ძლიერ ჯარს ბუნებრივად ახლავს თან. მეორე მხრივ, ასეთი წარმატებული დღეები თავდაცვის მინისტრს საშუალებას აძლევს, სრულად ჩაკეტოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება ქართულ ჯარში, რამდენად მიზნობრივად იხარჯება ფინანსები, ან რამდენადაა დაცული ადამიანის უფლებები.

ზუსტად იგივე ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. გასულ ზაფხულს ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები საზოგადოებამ რეფორმის დიდ წარმატებად შეაფასა. მართლაც, მრავალი ათწლეულის განმავლობაში, აბიტურიენტებს პირველად მიეცათ შანსი, ყოველგვარი პროტექციის გარეშე, მხოლოდ საკუთარი ცოდნით გამხდარიყვნენ თუნდაც ყველაზე პრესტიჟული ფაკულტეტების სტუდენტები. მეორე მხრივ, შარშანდელი წარმატება სამინისტროს საშუალებას აძლევს, წელს საშუალო სკოლებში სამეურვეო საბჭოს არჩევნები მეტისმეტად სწრაფად და დახურულად ჩაატაროს.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას უფასო სასადილოებთან დაკავშირებით, რომლებიც, წესით და რიგით, ბევრ გაჭირვებულ ადამიანს უნდა აპურებდეს, მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობია ყველაფერი, რაც გახსნის დღის შემდეგ ამ სასადილოებში რეალურად ხდება.

ისიც, რომ თბილისი სინათლის ქალაქია; ისიც, რომ გზები დაგებულია; ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი გაზრდილია - ხელისუფლების დამსახურებაა. მაგრამ ამ ყველაფრის უკან დგას გაუმჭვირვალეობა, ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, ადამიანების ბედის მიმართ გულგრილობა, სრული ცენტრალიზაცია. ხელისუფლება ხშირად საუბრობს პირველ, ფასადურ მხარეზე, მაგრამ არაფერს ამბობს მეორე, თანამდევ პროცესზე. თუმცა, როგორც იტყვიან: რაგინდ კაცმა ჭირი მალოს, ჭირმა თავი არ დამალოს.

ის, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ირგვლივ მოხდა ბოლო თვეების განმავლობაში, ყველა უწყებას და წამოწყებას შეიძლება ემუქრებოდეს, მათ შორის, ძალიან წარმატებულსაც. ახალი ხელისუფლების პირობებში ვერც ერთი სამინისტროს პირველი პირი ვერ მოიწონებდა თავს ისე, როგორც ვანო მერაბიშვილი - ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ. თუმცა, გუშინ ყველაზე წარმატებული უწყების მიმართ დღეს ყველაზე მეტი კრიტიკა ისმის, რაც, სულ მცირე, სამი გაკვეთილის შემეცნების საფუძველს იძლევა:

I. ძალაუფლების უკონტროლო თავმოყრა ერთი ადამიანის ან ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში შეიძლება ცუდად დასრულდეს არა მარტო სხვებისთვის, არამედ თავად ამ ადამიანებისთვისაც.

II. წარმატებული ფასადის მიღმა ბევრი ცუდი რამ შეიძლება იმალებოდეს, მაგრამ არაფერია დამალული, რაც ადრე თუ გვიან არ გამჟღავნდება.

III. ძლიერი სახელისუფლო ბანაკი შეიძლება დაანგრიოს ერთმა მიზანმიმართულმა ბიძგმაც კი, თუ ამ ბანაკში არ არსებობს რეალური პასუხისმგებლობა და გახსნილობა საზოგადოების მიმართ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თავს დატეხილი უბედურების დედააზრი ისაა, რომ როდესაც რეალურ და მოგონილ წარმატებებს შორის ბალანსი მოგონილის სასარგებლოდ ირღვევა, იმავდროულად ირღვევა მიჯნა წარმატებასა და მარცხს შორის. შესაბამისად, ადამიანებიც და უწყებებიც მყისეულად ინაცვლებენ ერთი მდგომარეობიდან მეორეში.

ჯერ კიდევ არის დრო, ეს გაკვეთილი ყველა ქართველმა მინისტრმა კარგად დაისწავლოს.

**მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით.**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# რობაქიძის მკვლელობის საქმე სასამართლოშია

*2004 წლის 23 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული 19 წლის ამირან რობაქიძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში გამწესრიგებელი სხდომა გაიმართა.*

შეგახსენებთ - ამირან რობაქიძე დიდუბის ეკლესიის წინ ჩატარებული ოპერაციის დროს დაიღუპა, ხოლო მისი მეგობრები სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით მაშინვე დააკავეს. მართალია, მოგვიანებით ახალგაზრდები წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ ბრალდება დღემდე ძალაში რჩება. აღნიშნული საქმის გამოძიება თვეების განმავლობაში რობაქიძის და მისი ახლობლების დამნაშავეებად ცნობის კუთხით მიდიოდა, თუმცა, გარდაცვლილი რობაქიძის ახლობლების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გამოძიების მიმართულება რადიკალურად შეიცვალა და პასუხისგებაში საპატრულო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გრიგოლ ბაშალეიშვილი მისცეს. პატრულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით აღიძრა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ოპერაციის გამო, რობაქიძის ოჯახის წევრები შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების დასჯას მოითხოვენ. ამირან რობაქიძის დედის ია მეტრეველის განცხადებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მისი შვილი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ მოკლეს და შემდეგ დანაშაულის ინსცენირება თავად მოაწყვეს.

**"პოლიციის თანამშრომლებმა იმ ავტომანქანას, რომელშიც ჩემი შვილი სხვა ბიჭებთან ერთად იჯდა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ჩემი შვილი გარდაიცვალა. თავდაპირველად საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ისე დაიბნენ, რომ გარდაცვლილ ამირან რობაქიძეს ხელბორკილებიც კი დაადეს. ამ ფაქტის შემდეგ შემთხვევის ადგილზე მისულმა "პატრულის" გადამლებმა ჯგუფმა და მისმა ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ კი განზრახ დაამახინჯა მომხდარი ფაქტი და საზოგადოებას ამცნო, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია ყაჩაღთა ბანდამ,"** - ამბობს ია მეტრეველი.

მისივე თქმით, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას და დაჭრილებისთვის და გარდაცვლილისთვის ცეცხლსასროლი იარაღების ჩადებას ხელმძღვანელობდა თბილისის საპატრულო პოლიციის მაშინდელი უფროსი ზურაბ მიქაძე. ამიტომ ამირან რობაქიძის ოჯახი ზურაბ მიქაძისა და გურამ დონაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს.

დაკმაყოფილდება თუ არა დაზარალებული ოჯახის მოთხოვნა, ძნელი სათქმელია, გუშინ კი სწორედ რობაქიძის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. პროცესს საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯემალ კოპალიანი განიხილავს, რომელმაც სხდომაზე განმარტა, რომ პროკურატურას აქვს საკმარისი მტკიცებულებები იმისთვის, რომ საპატრულო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გრიგოლ ბაშალეიშვილი პასუხისგებაში იყოს მიცემული.

პროცესს ესწრებოდა გარდაცვლილი ამირან რობაქიძის ბაბუა, რომელმაც საპატრულო პოლიციელისთვის აღმკვეთი ღონისძიების დამძიმება და წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. როგორც ცნობილია, გრიგოლ ბაშალეიშვილი ამჟამად პატიმრობაში არ იმყოფება. მას თავის დროზე სასამართლომ გირაო შეუფარდა და დარბაზიდან გაათავისუფლა. დაზარალებული მხარის შუამდგომლობა არც ამჟამინდელმა მოსამართლემ დააკმაყოფილა, რასაც ამირან რობაქიძის ახლობლების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას გარდაცვლილის ბაბუამ განაცხადა, აღნიშნული საქმე მთლიანად "ზემოდან" იყო შეკვეთილი, ამიტომ ოჯახი მართლმსაჯულებისგან სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს და საქმის ობიექტურად დასრულების იმედი აქვს.

**"უნდა დაისაჯონ პოლიციის ის მაღალჩინოსნები, რომლებმაც ჩემი შვილიშვილის მკვლელობის საქმე გააყალბეს და საზოგადოებას ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს,"** - ამბობს გარდაცვლილის ბაბუა ამირან რობაქიძე.

პროცესს ესწრებოდა განსასჯელი, საპატრულო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გრიგოლ ბაშალეიშვილი, რომელმაც სასამართლო დარბაზი უკომენტაროდ დატოვა. საქმეზე ძირითადი სხდომა კი 5 ივნისს ჩაინიშნა.

*24 საათი*

# კახეთის რწმუნებულის აპარატში აღმოჩენილი დარღვევები

*"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თელავის ოფისი ამჯერად პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის მიერ შეძენილ და აუქციონზე გაყიდულ მანქანებზე ამახვილებს ყურადღებას. იურისტების მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ პროცედურები მთელი რიგი კანონდარღვევებით ხდებოდა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

პირველი შემთხვევა არ არის, როცა ახალგაზრდა იურისტები კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში არსებულ დარღვევებზე ლაპარაკობენ. გაზეთი "24 საათი" ამის შესახებ ჯერ კიდევ თებერვლის თვეში წერდა. იურისტები მაშინ რწმუნებულის ფონდს სახელმწიფო თანხების არასწორად და, ხშირ შემთხვევაში, არამიზნობრივად ხარჯვაში ადანაშაულებდნენ.

ამჯერად, საქმე ეხება გუბერნიის ბალანსზე არსებული მანქანების რეალიზაციას, შესყიდვას და სალიკვიდაციო პროცედურებს. იურისტების მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ ავტომანქანები - "VOLVO" 90 და "გაზ" 31029, რომლებიც გუბერნიის ბალანსზე ირიცხებოდა, მთელი რიგი დარღვევებით გაიყიდა. კერძოდ, საუბარია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებულებაზე, სადაც თვალნათლივ მინიშნებულია, რომ **"კონკურსის ან აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და სამინისტროს ერთობლივი კომისია".**

მართალია, პრეზიდენტის რწმუნებულის განკარგულებით შედგა კომისია, მაგრამ მასში არ მონაწილეობდნენ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თელავის ოფისის ხელმძღვანელის ლელა ტალიურის განცხადებით, ამით დარღვეულია ეკონომიკის სამინისტროს 2001 წლის 12 თებერვლის N1-3/77 ბრძანებულების მეექვსე პუნქტის მოთხოვნა.

**"სარეალიზაციო კომისიის შემადგენლობა სამი წევრით განისაზღვრა, აქედან ორი - რწმუნებულის აპარატიდან, ერთი კი რწმუნებულის ფონდიდან შეირჩა. ეს იმ კანონმდებლობის დარღვევაა, რომლის თანახმადაც, გუბერნიაზე რიცხული მანქანის ბალანსიდან ჩამოწერა უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ კომისია სწავლობს ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ფიზიკურ მდგომარეობას, ასაბუთებს მათი ჩამოწერის აუცილებლობას, ამზადებს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების შეფასების ტიპურ და სალიკვიდაციო აქტებს, შემდეგ კი განისაზღვრება ვარგისი ნაწილების და ჯართის ოდენობა",** - განმარტავს ლელა ტალიური. მისივე თქმით, ზემოთ აღნიშნული მანქანების რეალიზაციასთან დაკავშირებით შეფასების ტიპური და სალიკვიდაციაო აქტებიც კი არ შემდგარა.

**"უნდა ითქვას, რომ ამით დარღვეულია ქონების მართვის სამინისტროს აღნიშნული ბრძანებულების პირველი თავის მეოთხე პუნქტის მოთხოვნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაღრვეულია აღნიშნული ქონების ბალანსიდან ჩამოწერის პროცედურა,** - ამბობს ტალიური და იქვე აღნიშნავს, **-აუდიტორული დასკვნით, ავტომანქანა 31 029 ვიზუალური დათვალიერებით მუშა მდგომარეობაში იყო. ძარას ემჩნევა ჟანგის ნიშნები და საჭიროებს გადაღებვას. თუმცა, აუქციონზე ის გაიტანეს, როგორც არამუშა მდგომარეობაში და ფორმალური აუქციონის პირობებში. აღნიშნული ავტომანქანები ასეთ ფასებში გაიყიდა: "Volvo" 90 2 ათას 500 აშშ დოლარად, "გაზ" 31029 1 050 აშშ დოლარად",** - ამბობს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თელავის ოფისის ხელმძღვანელი.

მანქანები, რომელთა გაყიდვაც სამხარეო ადმინისტრაციამ უამრავი დარღვევით განახორციელა, რევოლუციამდელი ხელისუფლების კუთვნილება იყო. ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ კი რეგიონის ხელმძღვანელობამ ხუთი ავტომობილი შეიძინა, თანაც - უცხოური მარკის. თუმცა, მნიშვნელოვანი ის ფაქტორია, რომ რწმუნებულის აპარატის ანგარიშზე ბალანსის გარეშე "მერსედეს ბენცისა" და "შევროლეტის" მარკის ავტომანქანები ირიცხება. რაც შეეხება "მიცუბიშ პაჯეროს", "ოპელ ვექტრას" და "მერსედერს ბენცის" მარკის ავტომანქანებს, მართალია, ისინი გუბერნიის ბალანსზე ითვლებოდა, მაგრამ კახეთის სამხარეო ადმინისტრიაცია იმდენად გულუხვი აღმოჩნდა, რომ "ოპელ ვექტრა" - შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველოს, ხოლო "მერსედესი" რეგიონის კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურს ათხოვა. რაც შეეხება "მიცუბიშ პაჯეროს", რომელზეც "24საათი" უკვე წერდა, 15 ათასი ლარის ღირებულებისაა. იურისტები ირწმუნებიან, რომ ფონდის ლიკვიდაციის შემდეგ იგი უკანონოდ გადაეცა კერძო სამართლის იურიდიულ პირს - "კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს". მისი დამფუძნებლები არიან - პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში პეტრე ცისკრიშვილი, რაიონის გამგებლები და, ასევე, ღვინის მწარმოებელი კომპანია "შუმი" და შპს "სოფიო". სააგენტოს ერთ-ერთი დამფუძნებელია ბიზნესმენი ნოდარ საქუაშვილიც.

გარდა იმისა, რომ კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია მანქანების გაყიდვას კანონდარღვევით ახდენდა, ის არანაკლებ კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა ყიდვის დროსაც. იურისტების მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ ხშირად იყო შემთხვევები, როცა ფონდის თანხებიდან მანქანების შეძენა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის დრღვევით ხდებოდა. ახალგაზრდა იურისტები ამ ყველაფერს ასეთ შეფასებას აძლევენ.

**"მონიტორინგის მანძილზე გამოვლენილი დარღვევები იმის დასტურია, თუ რამდენად კანონმორჩილნი არიან რეგიონებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში პრეზიდენტის წარმომადგენლები არიან. მონიტორინგი მიზნად ისახავს რწმუნებულების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, კორუფციული ფაქტების გამოკვეთას და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვას",** - ამბობს ტალიური.

კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ზურაბ ბეჟანიშვილი იურისტების მიერ წაყენებულ ბრალდებებებს უსაფუძვლოს უწოდებს და ამბობს, რომ რწმუნებულის აპარატს ყველაფერი რიგზე აქვს.

**"მართალია, მე ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნული ვარ, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არანაირი კანონდარღვევა არ გვაქვს. ჩემთვის ცოტა გაურკვეველია, მანქანები ბალანსის გარეშე როგორ უნდა ირიცხებოდეს? თუ ვინეს რაიმე დეტალური ინფორმაცია აქვს, წერილობით მოგვმართონ და პასუხს გავცემ",** - აცხადებს ბეჟანიშვილი.

*მოკლედ*

## მოზარდები გუანტანამოს ციხეში

გუანტანამოს ციხეში მყოფ პატიმრებს შორის 60-მდე მოზარდი იყო. ამის შესახებ ინფორმაციას ბრიტანული გამოცემა ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, ამგვარ დასკვნამდე მივიდა ადამიანის უფლებათა დამცველი ბრიტანული ჯგუფი "reprieve". სწორედ ამ ჯგუფმა შეისწავლა პატიმართა სიები, რომლებიც, საზოგადოების ზეწოლის შედეგად, აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა. იმ პატიმრებს შორის, რომლებიც გუანტანამოს ციხეში იმყოფებიან, არიან ისეთებიც, რომლებიც დაახლოებით 10-14-15 წლის ასაკში დააკავეს. მიუხედავად ასაკისა, ბავშვებს ისევე ეპყრობოდნენ, როგორც მოზრდილებს - მათ არ ათავსებდნენ ცალკე საკნებში და, სავარაუდოდ, აწამებდნენ კიდეც. ორგანიზაცია "reprieve"-ს დირექტორის განცხადებით, არასრულწლოვანი პატიმრების მოზრდილებთან ერთად მოთავსება ადამიანის უფლებათა ყველა კონვენციის, ასევე, თავად აშშ-ს კანონების სრული დარღვევაა.

*ინტერპრესნიუსი*

## ბავშვებით მოვაჭრეთა ქსელი

ევროპაში ბავშვებით მოვაჭრეთა ქსელი აღმოაჩინეს. იტალიის პოლიციამ მიაგნო დამნაშავეთა ქსელს, რომელიც ბავშვებით ვაჭრობითა და მათი ექსპლუატაციით იყო დაკავებული. ქსელი ევროპის ტერიტორიაზე მოქმედებდა. ოპერაცია რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად ჩატარდა. იტალიაში, ბულგარეთში, გერმანიასა და ავსტრიაში 41 ადამიანია დაკავებული.

დაჯგუფების წევრები ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციას ეწეოდნენ და აიძულებდნენ მათ, სხვადასხვა სახის დანაშაულები ჩაედინათ.

სამართალდამცველები ბანდის საქმიანობაში ჩართული ბავშვების ზუსტ ციფრს ვერ ასახელებენ. შესაძლებელია, საუბარი იყოს 100 ან მეტ ბავშვზე.

ბავშვების უმრავლესობა ბულგარელი იყო. მათი ასაკი 8-დან 13 წლამდე მერყეობს.

როგორც ბულგარეთის პროკურატურაში აცხადებენ, გალატაკებული მშობლები ბავშვებს თავად ყიდდნენ. შემდეგ ბავშვებისთვის ყალბი დოკუმენტები მზადდებოდა. სავარაუდოდ, დაჯგუფება ბავშვებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში აგზავნიდა. ბავშვების ყველაზე დიდი რაოდენობა გერმანიაშია გადაყვანილი.

*ინტერპრესნიუსი*

## კუპრეიშვილი მეორე განაჩენის მოლოდინში

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აჭარის უშიშროების ყოფილი მინისტრის მოადგილის გოგი კუპრეიშვილის საქმის განხილვა განახლდა.

სხდომაზე იმ ოქმის კანონიერებაზე მსჯელობდნენ, რომლის მიხედვითაც, კუპრეიშვილს ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის შენახვის უფლება ჰქონდა. კუპრეიშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი; ამავდროულად, გამოძიება მას იმ თანხის გადახდას აკისრებს, რომელიც სახელმწიფომ, ევროპის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თენგიზ ასანიძეს გადაუხადა.

გოგი კუპრეიშვილს იარაღის უკანონო შენახვა და ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ შეწყალებული თენგიზ ასანიძის პატიმრობაში დატოვება ედება ბრალად. გოგი კუპრეიშვილის ადვოკატის ეკა ბესელიას განცხადებით, ორივე ეპიზოდში კუპრეიშვილი მართალია, რადგან მისი დაკავება 2004 წლის 6 მაისს მოხდა, ხოლო ადგილი, სადაც ის დააკავეს, 10 მაისს გაჩხრიკეს და იარაღი იპოვეს.

რაც შეეხება ასანიძის ეპიზოდს, ბესელიას მტკიცებით, კუპრეიშვილი მაშინ სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა და "იგივე სახელმწიფომ მის მოხელეს არ შეიძლება რაიმე თანხა დააწეროს".

სასამართლო პროცესზე დამატებით მოწმეების დაკითხვა მოხდა. საბოლოო განაჩენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, დაახლოებით, ათ დღეში გამოიტანს.

*ინტერპრესნიუსი*

## დაკავება საავადმყოფოში ხულიგნობის ბრალდებით

რესპუბლიკურ საავადმყოფოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სამი პირია დაკავებული. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში აცხადებენ, ხულიგნობაში ბრალდებული სამი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოს, სავარაუდოდ, ხვალ მიმართავენ.

დაკავებულებს ბრალი ბოროტი ხულიგნობის მუხლით აქვთ წაყენებული. ვინაიდან ბრალდება საკმაოდ მძიმეა, მათთვის გამოძიება წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს. როგორც ცნობილია, ინციდენტი რესპუბლიკურ საავადმყოფოში 27 მაისს, გვიან ღამით მოხდა. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, რამდენიმე მოქალაქე მედპერსონალს საავადმყოფოში გადაყვანილი პაციენტისთვის სამედიცინო დახმარების დაუყოვნებლივ გაწევას სთხოვდა. გავრცელებული ინფორმაციით, ავადმყოფს დროულად გაუწიეს დახმარება, თუმცა საავადმყოფოში მყოფ მოქალაქეებსა და მედპერსონალს შორის ურთიერთშელაპარაკებას ფიზიკური შეხლა-შემოხლა მაინც მოჰყვა.

*ინტერპრესნიუსი*

## ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენა კვლავ გადაიდო

სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა პლენარულ სხდომაზე კიდევ ერთი კვირით გადაიდო. აღნიშნულის მიზეზად პარლამენტის კომიტეტების ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენელთა თავმჯდომარის მოადგილეების პოსტებიდან გადადგომა სახელდება. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, იგი სამუშაო ვიზიტით ესტონეთში მიემგზავრება, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარის ერთი მოადგილე - ლალი ფაფიაშვილი საქართველოში არ იქნება, მეორე მოადგილე, მემარჯვენე კოკა გუნცაძე თანამდებობიდან გადადგა და სახალხო დამცველს, ფაქტობრივად, თანამომხსენებელი არ ეყოლება. "საქართველოში არ იქნება ჩემი მეორე მოადგილე ლალი ფაფიაშვილი და იმის გამო, რომ სხვა მოადგილე არ მყავს, კომიტეტი უხერხულ მდგომარეობაშია. ვესაუბრე პარლამენტის თავმჯდომარეს და შევთანხმდით, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა ერთი კვირით გადაიდება," - აცხადებს ელენე თევდორაძე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ოპოზიცია აღნიშნული ხასიათის პერმანენტული ქმედებებით საპარლამენტო კრიზისის გამოწვევას ცდილობს, რომლის თავიდან ასაცილებლად საპარლამენტო უმრავლესობა შეეცდება, მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

*თვალსაზრისი*

# საარბიტრაჟო სასამართლო - პრეზიდენტის ინიციატივა მისალებია

პირველი გვერდიდან

უნდა მოისპოს საქართველოში არსებული ჯიბის არბიტრაჟების ინსტიტუტი. რამდენიმე კაცმა არ უნდა შექმნან შპს, არ უნდა შეიკრიბონ და სახელმწიფოს ხელოვნურად არ წააგებინონ საქმე, არ შეიძლება ყველა არბიტრაჟმა გაარჩიოს დავა. მკაცრად გათვლილი კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს, ვინ გაარჩიოს დავა სახელმწიფოსა და ბიზნესმენს შორის; უნდა ჩამოყალიბდეს დამცავი მექანიზმები, რათა ყველას არ ჰქონდეს დავების განხილვის უფლება და, თანაც, გარანტირებული უნდა იყოს დამოუკიდებლობის ხარისხი.



*დიმიტრი გაბუნია.*

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არბიტრაჟი ძალზე ეფექტურად მოქმედებს. ეს არის ერთინსტანციანი დავის განმხილველი ორგანო და ამ ინსტიტუტის საჭიროება ყველა ქვეყანაში დგას. სასამართლოსგან განსხვავებით, ბიზნესმენი დავის განმხილველ პირს თავად ირჩევს; არბიტრს ირჩევს სახელმწიფოც - ანუ არსებობს მიუკერძოებლობის მაღალი ხარისხი. დავის განხილვა ძალზე მოკლე დროში ხდება, გადაწყვეტილება დაახლოებით 1-2 თვეში უნდა გამოვიდეს, თანაც, საარბიტრაჟოს გადაწყვეტილება არ საჩივრდება. ეს ძალზე ეფექტური ინსტიტუტია - ბიზნესმენისთვის დრო ფულია და დავის განხილვის პროცესი გაწელილი არ არის ისე, როგორც ეს ქართულ სასამართლოში ხდება.

არის მეორე დადებითი მხარეც - პრევენცია. სახელმწიფო იძულებული ხდება, ბიზნესმენს კანონიერად დაარიცხოს თანხა, რადგან მან იცის, რომ დავა ობიექტურად გაირჩევა და მის ინტერესში წაგება არ შედის, რადგან წაგება სოლიდურ საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს.

და რაც მთავარია - მოხდება სასამართლოების განტვირთვა. სამოქალაქო საქმეებით გადატვირთული სასამართლოები დაიცლება, ამოისუნთქავს და ბიზნესდავების განხილვა მოხდება არბიტრაჟში. ამ პრაქტიკას მთელ მსოფლიოში დიდი წარმატებით იყენებენ, სადაც სასამართლოში არც ერთი ბიზნესდავა არ განიხილება.

ვიმეორებ, საარბიტრაჟო ინსტიტუტის შექმნა განვითარებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია. მზად ვარ, ჩემს მეგობრებთან ერთად აბსოლუტურად უანგაროდ ვიმუშაო ამ მიმართულებით. ჩამოვიყვანოთ უცხოელი ექსპერტები, გავაკეთოთ ისეთი ძლიერი კონცეფცია, რომელზე დაყრდნობითაც შევქმნით ძლიერ ინსტიტუტს, რაც ქვეყნის განვითარებისკენ, ბიზნესის განვითარებისაკენ წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება.

ოღონდაც, ჩემი სურვილია, მხოლოდ პრეზიდენტის განცხადების დონეზე არ გავჩერდეთ. უნდა დაიხვეწოს ეს ინიციატივა და შეიქმნეს მძლავრი, საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი საარბიტრაჟო ინსტიტუტი.

SMS-ჰოროსკოპი
შეხვდით მოულოდნელობას მომზადებული




ყოველ დილას მიიღეთ ასტროლოგიური პროგნოზი!
თუ დღის ასტროლოგიური პროგნოზის მისაღებად ყოველდღე რეკავდით შესაბამის ნომერზე, ამიერიდან შეძლებთ ერთი ზარით შეუკვეთოთ თვის ან წლის ინფორმაცია, რომელსაც დილის საათებში მიიღებთ. ტარიფი შეღავათიანია:
დღის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 12 თეთრი
თვის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 1 ლარი
წლის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 10 ლარი
თვის ან წლის ინფორმაციის გამოსაწერად მობილურზე აკრიფეთ:
44300171, თქვენი დაბადების თვე და რიცხვი (მაგ: 5 იანვარი ჩაიწერება, როგორც 0105) და OK.
25 11 11 25 00 00 525
www.magtigsm.ge
მაგთი MAGTI GSM

# Aγορά

აგორა ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს. მოგვიანებით მან სახალხო კრების მნიშვნელობა შეიძინა. ბერძნული მოედნები და მათი არქიტექტურა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აგორა, განსაკუთრებით ათენში, სხვა მიზეზით გახდა ცნობილი. იქ ხალხი იკრიბებოდა და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. რაც მთავარია, ერთმანეთს ყურს უგდებდნენ და ჭკვიანი თანამოქალაქეების აზრებს ხელისუფალნიც ითვალისწინებდნენ. გონიერი ხალხი დღესაც ბევრი გვყავს, საკითხავია, ვინ როგორ ეკიდება მათ სიტყვებს. ჩვენი აგორა - გაზეთის ერთი მონაკვეთია. ვერ შეგპირდებით, რომ აქ ამოკითხულ მოსაზრებებს უკლებლივ ყველა გაიზიარებს, მაგრამ გპირდებით, სწორედ იმ ავტორებთან ვითანამშრომლებთ, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. მაშ ასე, აგორაზე გეპატიჟებით.

დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტით sophiotodua@yahoo.com



## ქართული არმია - არჩევანი წარსულსა და მომავალს შორის

კახა კაციტაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი

საქართველოს სამხედრო აღმშენებლობა რომ სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, ამაზე, ვფიქრობ, არავინ იდავებს. საზოგადოებისათვის ნათელია, რა მიმართულებითაც უნდა წავიდეს ეს აღმშენებლობა: ნატოს სტანდარტებისაკენ. მაგრამ საზოგადოებას ეს სტანდარტები საკმაოდ ბუნდოვნად ესმის და მას უპირატესად ჯარების ევროპულად გაწრთვნილობას და მძიმე ტექნიკას უკავშირებს. ამიტომაცაა, რომ ხალხს ასე უხარია ქართული ტანკების ხილვა აღლუმებზე.

არადა, ნატოს სტანდარტები არ მოიცავს მხოლოდ საბრძოლო მომზადებასა და ტექნიკას. იგი გაცილებით ფართო სამხედრო-პოლოტიკური, ორგანიზაციული და სტრატეგიული ასპექტების შემცველია, თანაც ეს სტანდარტები ამჟამად სერიოზული გადასინჯვის პროცესშია. იცვლება თავად მიდგომა ომის არსისადმი. გადასინჯვის პირასაა თვით კლაუზევიცის ცნობილი თეზისი, რომელიც ბოლო საუკუნეების განმავლობაში ეჭქვეშ არ დამდგარა. ამ თეზისის თანახმად ომის არის სახელმწიფოს პოლიტიკის გაგრძელება სხვა, არაპოლიტიკური, ძალისმიერი საშუალებებით. ეს მიდგომა ევროპული ისტორიის იმ ეტაპზე ჩამოყალიბდა, როდესაც დინასტიურმა ომებმა (ვთქვათ, ასწლიანი ომის ტიპის) ადგილი დაუთმო ომებს, რომლის სუბიექტად ნაციონალური სახელმწიფო გამოდიოდა. ევროპაში გამანადგურებელი ოცდაათწლიანი ომის შედეგად დადებულმა ვესტფალიის ზავმა საბოლოოდ დააკანონა ნაციონალური სახელმწიფო, როგორც ევროპული პოლიტიკის უმთავრესი სუბიექტი. შესაბამისად, ომი იყო ამ სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების რეალიზაცია ძალისმიერი საშუალებებით. ამ დეფინიციას ეთანხმებოდა ყველა - ბისმარკიდან ჩერჩილამდე და ჰიტლერიდან ლენინამდე (თუმცა ამ უკანასკნელმა რუსეთის სამქალაქო ომის გათვალისწინებით ომი გამოაცხადა არა **სახელმწიფო პოლიტიკის,** არამედ საზოგადოდ პოლიტიკის - მაგალითად, კლასობრივის, - გაგრძელებად და ამით სათავე დაუდო კლაუზევიცის თეზისის რევიზიას, რომელმაც მოგვიანებით ალ-ყაიდას მიერ წარმოებული ტიპის ომამდე მიგვიყვანა).

კლაუზევიცის თეორია ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც ევროპის ინტელექტუალურ თვალსაწიერში ორი მთავარი, ერთი შეხედვით სრულიად დაპირისპირებული პარადიგმა ბატონობდა: გერმანული იდეალიზმი და გალილეი-ნიუტონთან დაკავშირებული სამყაროს მექანისტური სურათი. ორივე მათგანს ჰქონდა პრეტენზია, მოეცა სამყაროსა და კაცობრიობის განვითარების აბსოლუტურად ჭეშმარიტი სურათი, რომელიც გადასინჯვას აღარ ექვემდებარებოდა (ერთადერთი გამონაკლისი ამ ინტელექტუალურ მოძრაობაში კანტი იყო, მაგრამ ეს უკვე ფილოსოფიის საგანია და არა სამხედრო საქმისა).

კლაუზევიცმა მოინდომა, შეექმნა ასეთივე აბსოლუტური ხასიათის მოძღვრება ომის შესახებ, რომლის მეშვეობითაც ისევე აიხსნებოდა ყველა ცნობილი ომი, როგორც ნიუტონის კანონების მეშვეობით იხსნება მზის სისტემის ნებისმიერი პლანეტის მოძრაობა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კლაუზევიცის მსოფლმხედველობა ნაპოლეონთან ომებისას ჩამოყალიბდა, რომელთაგან მან თავის აბსოლუტურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით თავისებური დასკვნები გააკეთა. მისი აზრით ნაპოლეონის საიდუმლოს გასაღები იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მას რაღაც განსაკუთრებიული სტრატეგია გააჩნდა, არამედ იმაში, რომ ის მოწინააღმდეგეებისაგან განსხვავებით აბსოლუტურად შეუზღუდავად იყენებდა ძალას. "ომი არის ძალადობის ერთ-ერთი აქტი, რათა მოწინააღმდეგე ვაიძულოთ, შეასრულოს ჩვენი ნება," - წერდა იგი. ომი კლაუზევიცისათვის ძალის შეუზღუდავი, აბსოლუტური გამოყენებაა და ამ პრინციპის ერთგულება ნაპოლეონის ტალანტთან ერთად განაპირობებდა მის წარმატებებს.

მაგრამ ამით კლაუზევიცის ძირითადი პრინციპი არ იცვლებოდა. ძალადობის პრეროგატივა მხოლოდ ნაციონალურ სახელმწიფოს გააჩნდა. მისი სუბიექტიცა და ობიექტიც სახელმწიფო იყო, რომელიც ამ ძალას შეუზღუდავად იყენებდა ეროვნული ინტერესების რეალიზაციისათვის. მოგვიანებით გაირკვა, რომ ისტორიაში არსებული ომების აბსოლუტურ უმრავლესობას კავშირი არ ჰქონდა არავითარ ეროვნულ ინტერესებთან. აცტეკებისა და ინკების იმპერიების ომები, არაბთა დაპყრობები, ჯვაროსნული ლაშქრობები, ჩინგისხანის დაპყრობები ძალიან ძნელია დახასიათდეს პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის მოტივით. მოტივი შეიძლება სრულიად სხვადასხვა ყოფილიყო: რელიგიიურიდან ვიდრე ნადავლის ბანალურ მოპოვებამდე (და საერთოდ, გავიხსენოთ, რომ მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ცნობილი ტროას ომი სულაც ერთი მანდილოსნის სიკეკლუცის გამო ატყდა). მაშასადამე, კლაუზევიცის თეზისი უნივერსალური არ არის და, შესაბამისად, დასაშვებია სხვადასხვა სახის ომები, რომელთა სუბიექტი ნაციონალური სახელმწიფო ან ნაციონალურ სახელმწიფოთა კოალიცია არ არის.

სამხედრო თეორეტიკოსთა უმრავლესობა თვლიდა, რომ ამგვარი ომები უკვე ისტორიას ჩაბარდა (მესამე სამყაროში მიმდინარე გაუთავებელი ომები ხელისუფლებასა და მათ წინააღმდეგ ამბოხებულებს შორის მხედველობაში არ მიიღებოდა). ამერიკელების და ფრანგების წარუმატებლობამ ლიბანში 1982 წელს, როდესაც ორივე სახელმწიფო მათ კონტიგენტზე ტერორიტული თავდასმების შედეგად იძულებულნი გახდნენ გაეყვანათ თავისი ჯარები, "ცივი შხაპის" როლი ვერ შეასრულა. სომალიში, სადაც რამოდენიმე საველე მეთაურმა (ინგლისურად war-lord), რომლებიც არავითარ სახელმწიფო სტრუქტურებს არ წარმოადგენდნენ, აიძულეს, გაეროს ეგიდით მოქმედი ძალები დაეტოვებინათ სომალი. გარდატეხის პუნქტად 11 სექტემბერი უნდა მივიჩნიოთ. ამ დღეს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს სტრატეგიულ ობიექტებს (მათ შორის თავდაცვის სამინისტროს) დარტყმა მიაყენა არა რომელიმე სახელმწიფომ, არამედ სრულიად სხვა ძალამ. ომი ნაციონალურ სახელმწიფოს არ გამოუცხადებია და ომის მიზანი არ ყოფილა პოლიტიკური, ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მით უფრო არ ყოფილა ამ დარტყმის მიზეზი წინააღმდეგობა ნაციონალური სახელმწიფოების ინტერესებს შორის.

ალ-ყაიდა არ არის სახელმწიფო. ის მსოფლიოში გაფანტულ სხვადასხვა ორგანიზაციათა ქსელია, რომლის გაჩენის მიზეზები არა პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამე, უპირველეს ყოვლისა, ცივილიზაციურ, რელიგიურ და სოციოკულტურულ ფაქტორებშია საძიებელი. ბენ-ლადენი ალბათ კლაუზევიცის თეზისს ასე ჩამოაყალიბებდა: ომი არის რელიგიურ და ცივილიზაციურ საფუძვლებზე ჩამოყალიბებული დაჯგუფებების საქმიანობის გაგრძელება სხვა, ძალისმიერი საშუალებებით. დამეთანხმებით, ცოტა სხვაა, ვიდრე კლაუზევიცის მტკიცება, განსხვავებული წანამძღვრებიდან კი მოქმედების განსხვავებული სტრატეგიების შემუშავება ხდება.

ცნობილმა რუსმა სამხედრო თეორეტიკოსმა სერგეი პერესლეგინმა თავის სტატიაში "К оценке геополитического положения Европы" ჯერ კიდევ 1996 წელს დააპროგნოზა იმ ტაქტიკის შესაძლებლობა, რომელიც მოგვიანებით ალ-ყაიდამ გამოიყენა (ოღონდ პერესლეგინი დარტყმის შესაძლო ობიექტად დასავლეთ ევროპას იხილავდა). პერესლეგინი წერდა: Суть операции состоит в организации на территории европейского противника ряда террористических актов, направленных исключительно на уничтожение мирного населения. При желании, можно "прикрыть" силовым "зонтиком" важнейшие военные и промышленные объекты, можно обеспечить охраной политическое и военное руководство, но ни армия, ни спецназ, ни госбезопасность не в состоянии защитить все детские сады, школы, больницы и родильные дома (приводится наиболее вероятный список объектов-целей). Подготовка террористических групп, действующих против неохраняемых целей, может быть минимальной. С точки зрения "южного" менталитета, эти, состоящие из женщин и детей и убивающие женщин и детей, группы чрезвычайно дешевы и высокоэффективны. Причем, они эффективны не только, когда убивают, но и когда погибают. Массовые скоординированные действия таких групп приведут к панике. Нельзя заранее предсказать, какой будет реакция подвергнувшейся нападению европейской страны, но можно с уверенностью заключить, что она окажется неадекватной и приведет к дальнейшему усложнению обстановки.

როგორც ვხედავთ, ალ-ყაიდას სტრატეგიის პროგნოზირება შესაძლებელი იყო. უბრალოდ დასავლელ სამხედროებს ისევე გაუჭირდათ მისი ამოცნობა, როგორც ევროპელ რაინდებს ბათუ-ყაენის მიერ მათ წინააღმდეგ გამოყენებული ისეთი მარტივი ხრიკის გამოცნობა, როგორიც სტრატეგიული ჩასაფრება იყო. გაუჭირდათ იმიტომ, რომ ისინი კლაუზევიცის ტყვეობაში იყვნენ და თვლიდნენ, რომ სერიოზული ომი შეიძლება აწარმოოს მხოლოდ ნაციონალურმა სახელმწიფომ ან ასეთ სახელმწიფოთა კოალიციამ თავისი ეკონომიკური ან იდეოლოგიური (ვთქვათ, ნაცისტური გემანიის შემთხვევაში) ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც საბოლოო ჯამში პოლიტიკური ინტერესების ძალისმიერი საშუალებებით რეალიზაციის სახეს იღებს.

გლობალურ ტერორიზმთან ომი სრულიად სხვა ხასიათს ატარებს, ვიდრე ნაპოლეონის ომები, მეორე მსოფლიო ომი ან თუგინდ ერაყის ორივე კამპანია. მას სრულიად სხვა სტრატეგია და ტაქტიკა სჭირდება, სამხედროებისგან მოითხოვს სულ სხვა ჩვევების ჩამოალიბებას, მოითხოვს შეიარაღებული ძალების სხვაგვარ სტრუქტურას, ორგანიზაციასა და გაწვრთნას - ანუ, ასეთი ომისათვის განკუთვნილი ნაწილები, რომლებიც ე.წ. ინტეგრირებული სამხედროებისგან უნდა შედგებოდეს, საგანგებოდ უნდა შეიქმნას.

საქრთველო ამგვარი პოტენციური ომების ეპიცენტრში იმყოფება. ჩრდილოეთით ჩრდილო კავკასიაა, სადაც ჩეჩნების განმანთავისუფლებელმა ომმა უკვე მიიღო ტერორისტული ომის სახე (ეს პირველ რიგში რუსების სისასტიკის დამსახურებაა), სამხრეთით - ახლო აღმოსავლეთია ანალოგიური ტენდენციებით. აქედან გამომდინარეობს ელემენტარული დასკვნა: საქართველო გუშინდელი და მით უფრო გუშინწინდელი კი არა, 21-ე საუკუნეში ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელი ომებისათვის უნდა ემზადოს - როგორც კოალიციაში, ისე დამოუკიდებლად. ვითარებას, ცხადია, ართულებს ჩვენს ტერიტორიაზე სეპარატისტული ანკლავების არსებობა და მათ შესაკავებლად გარკვეული სამხედრო რესურსის გამოყოფის აუცილებლობა. მაგრამ თუ მათთან ომს არ ვაპირებთ, როგორც ამას ხელისუფლება გვიმტკიცებს, მათი შეკავებისათვის შეიძლება გარკვეული თანხა გამოიყოს, ხოლო დანარჩენი 21-ე საუკუნის არმიას მოხმარდეს. კომპეტენტური დაგეგმვისა და ბოლო წლებში ლამის ათგზის გაზრდილი თავდაცვის ბიუჯეტის პირობებში ეს შესაძლებელია. საკითხავი მხოლოდ ისაა, რამდენად შეუძლია ხელისუფლებას თავდაცვის ასეთი კომპეტენტური დაგეგმვა. ისე კი, საზოგადოებამ და პირველ რიგში ხელისუფლებამ უნდა გაიგოს მარტივი სიბრძნე, დე გოლს რომ ეკუთვნის: "ჩვენ უნდა გვყავდეს არა ის არმია, რომელსაც შევეჩვიეთ, არამედ ის არმია, რომელიც გვჭირდება".

## ჯადოსნური თარო

ბიბი სულაკაური
მწერალი

როდესაც თქვენმა გაზეთმა ამ თემაზე წერილის დაწერა მთხოვა, ჯერ გამიხარდა, მერე კი მეწყინა. გამიხარდა იმიტომ, რომ საბავშვო ლიტერატურაზე წერის დრო ყოველთვისაა, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როცა ბავშვებმა წიგნებზე გული აიცრუეს. გული კი იმაზე დამწყდა, რომ შვიდი წლის წინათაც იმასვე ვწერდი, რაც დღეს უნდა დავწერო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი გამომცემლები კიდევ უფრო მომძლავრდნენ, ბევრი კარგი წიგნიც გამოსცეს, მათ შორის - საბავშვოც, მაგრამ ჩემს ჯადოსნურ თაროს ისევ ძველი გამოცემები ამშვენებს. ამიტომაც ვიფიქრე, არაფერი დაშავდება, თუ ისევ იმ წერილს შემოგთავაზებთ, რომელიც თავის დროზე გაზეთ "ქომაგში" დაიბეჭდა.

ძალიან ძნელია ბავშვებისთვის წერა.

საბავშვო ნაწარმოების მთავარი შემფასებელი ანუ არბიტრი, პირველ რიგში ბავშვია და ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი მოზრდილი ადამიანი ზუსტად ვერ იტყვის, რომელი ნაწარმოები დაიპყრობს ბავშვის გულსა თუ გონებას.

... უფროსები ხომ თავიდან ბავშვები იყვნენ, თუმცა ძალიან ცოტა მათგანს ახსოვს ეს, - წერს სენტ-ეკზიუპერი და აქვე ასწორებს თავის მიძღვნას - ლეონ ვერტს, როცა ის პატარა იყო!..

კარგად მახსოვს, როგორ იწერებოდა "სალამურას თავგადასავალი" - მამა ყოველ თავს გვიკითხავდა ხოლმე მე და ჩემს ძმას და გვაკვირდებოდა, რა ეფექტი ჰქონდა წაკითხულს, ჩვენს რეაქციას, გნებავთ, შეფასებას ელოდა. ისიც მახსოვს, როგორი მოუთმენლობით ველოდებოდით მომდევნო თავებს.

15-20 წლის წინ ჟურნაელ "ანგლია"-ში ასეთი რამე წავიკითხე: ...ჩვენი ფაბრიკა ჩვენი ბავშვებისათვის ოთხჯერ უფრო გამძლე ფეხსაცმელს კერავს... შეიძლება ეს ძალიან უხეში შედარებაა, მაგრამ მართლაც ოთხჯერ უფრო ძნელია ბავშვებისთვის წერა, რადგან საბავშვო ნაწარმოები ოთხჯერ უფრო სიცოცხლისუნარიანი უნდა გამოდგეს, ადვილად რომ არ გაცვდეს და გადასაგდები რომ არ გახდეს.

საბედნიეროდ, საბავშვო ლიტერატურა (როგორც მშობლიური, ასევე მსოფლიო) იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ არჩევანის უდიდესი შესაძლებლობა გვაქვს. მე თუ მკითხავ, კითხვის დაწყებიდან პირველი წლები შეგიძლია გულდამშვიდებით იჯდე და იკითხო, რადგან ეს ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალი ბავშვის მიერაა შემოწმებული თუ შეფასებული.

ჩემთვის ხშირად უთქვამთ - ჩვენი ბავშვები წიგნს არ კითხულობენო. რა თქმა უნდა, დღევანდელი ბავშვების მსოფლმხედველობა და გონებრივი დიაპაზონი სულ სხვაა, ბავშვები (რა საოცრადაც არ უნდა ჟღერდეს) პრაქტიკულები, საქმიანები და წინდახედულები გახდნენ, მაგრამ არ მესმის, ამან რატომ უნდა შეუშალოს ვინმეს ხელი კითხვაში?! (თუმცა არც დაძალების მომხრე ვარ - გინდა თუ არა, წაიკითხე! შეიძლება ბავშვის ყურადღება უცებ ვერ მიიპყროს წიგნმა, მაგრამ მოგვიანებით ისე ინტენსიურად დაიწყოს კითხვა, რომ ბევრსაც აჯობოს).

წიგნის კითხვა ზღაპრებიდან იწყება ანუ მაშინ, როცა ბავშვი სულ პატარაა, ანუ მაშინ, როცა მშობელი უკითხავს მას წიგნს. სწორედ მაშინ უნდა შეაყვაროს მშობელმა შვილს წიგნი. მე ბორბალს კი არ ვიგონებ, არამედ ვიმეორებ - წიგნი სულიერად ამდიდრებს ბავშვს (სხვათა შორის, დიდებსაც!), აჩვევს თავისუფლებას, აზროვნებას, დედის, მამის, მეგობრის სიყვარულს, აჩვევს ვაჟკაცობას, უმტკიცებს მეხსიერებას, უმძაფრებს ფანტაზიას. კითხვის პროცესი უდიდესი სიამოვნებაა და ბავშვი ნელ-ნელა უნდა მიეჩვიოს იმ აზრსაც, რომ წიგნის კითხვა, ინფორმაციის გარდა, სიამოვნებას შეიცავს და ამ სიამოვნებით ტკბობაც უნდა ისწავლოს.

წიგნი და სიცოცხლე განუყოფელია. მე არ მეგულება თბილისში (და არც სხვაგან) სახლი, ერთი წიგნი მაინც რომ არ იდოს თაროზე. წიგნი ხომ ძალიან ბევრ საიდუმლოს მალავს (რომლის ამოცნობა, გახსნა მხოლოდ შენ შეგიძლია) და რადგან საიდუმლო ყოველთვის საინტერესოა, ამიტომ ჯობია, ბავშვი თავად ეზიაროს ამ საიდუმლოს.

არასოდეს მომბეზრდება ცალფეხა სილვერთან ერთად ბრისტოლის პორტში ხეტიალი, აივენჰოსა და ბრაიან დე ბუა გილბერის შერკინების ცქერა, კაპიტან აქაბის ველბოტში ჯდომა და ნიჩბების მოსმა, ოდისევსისა და ციკლოპის დიალოგის მოსმენა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კარდინალ რიშელიეს პირისპირ დგომაც კი მის ჩაბნელებულ სამუშაო ოთახში...

ძალიან მიყვარს ვაჟა-ფშაველას "საბავშვო მოთხრობები", დიდი სევდითა და უცნაური იუმორით დაწერილი წიგნი. კიდევ რეზო ინანიშვილისა და სერგო კლდიაშვილის მოთხრობები. თუ ამქვეყნად არსებობს რასპეს "მიუნჰაუზენი", არსებობს კლდიაშვილის "ლახუნდარელიც", ჩემი აზრით, ეს მშვენიერი საბავშვო წიგნია, დინამიური, ამბებით სავსე, სასაცილოცა და სევდიანიც...

ვთქვი, კითხვა ზღაპრებით იწყება-მეთქი. მართლაც, ზღაპარს რა გამოლევს დედამიწის ზურგზე, მაგრამ ჩვენთან არსებობს ლადო აღნიაშვილისა და მიხეილ ჩიქოვანის მიერ შეკრებილი ზღაპრები. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, 1938 წელს გამოცემული. სულ პატარა ვიყავი, როცა ამ წიგნს "გადავეყარე" და მას შემდეგ ჩემი "ჯადოსნური თაროს" ერთ-ერთი უცვლელი ლიდერია.

თუმცა დავანებოთ ყოველივე ამას თავი, მე ბევრ ადამიანს ვიცნობ, ვისაც თითქმის ზეპირად ახსოვს ბავშვობაში წაკითხული წიგნები.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ილუსტრირებულ, დასურათებულ წიგნზე. ცნობილია, რომ ადამიანს მხედველობითი მეხსიერებაცა აქვს და ბავშვიც თავის პირველ წიგნებს სწორედ ნახატების იმახსოვრებს, უყვარდება და მერე თან სდევს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

საბავშვო წიგნი და ილუსტრაცია (თუნდაც არაფერადი) განუყოფელი მგონია, ილუსტრაცია ძალიან ეხმარება ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვასაც უყალიბებს და კითხვასაც უადვილებს. მეტიც, კარგი მხატვარი, თამამად ვიტყვი, წიგნის თანაავტორიც კი ხდება. მერე უკვე წარმოუდგენელიცაა გარკვეული წიგნი გარკვეული ილუსტრაციის გარეშე. მაგალითად, "მობი დიკი" როკუელ კენტსა აქვს დასურათებული, გუსტავ დორეს - "დონ კიხოტი" და "მიუნჰაუზენი", ალექსანდრე ბანძელაძეს - "მაუგლი", ზურაბ ნიჟარაძეს - "გარგანტუა და პანტაგრუელი", ლაშა სულაკაურს - "ულენშპიგელის ლეგენდა", ჯემალ ლოლუას "ტომ სოიერის თავგადასავალი" და სხვა.

მე მაქვს ელენე ახვლედიანის მიერ შესანიშნავად გაფორმებული ძველი "ჰაივათას სიმღერა". ეს წიგნი ხელმეორედ ოთარ ჭილაძემ თარგმნა და ვახტანგ გაბუნიამ დაასურათა (თარგმანი იმდენად კარგია, რომ გაუთავებლად შეიძლება ლაპარაკი, შეიძლება ვცდები, მაგრამ რატომღაც არ მახსოვს, ამ წიგნზე ვინმეს რაიმე წამოსცდენოდეს, მგონი ლონგფელო ბიჩერ-სტოუში აერიათ, "ჰაიავათას სიმღერა" თავისი საზომით და ჟღერადობით ხომ ასე ძალიან "ჰგავს" "ბიძია თომას ქოხს"!).

ასევე წარმოუდგენელია სენტ-ეკზიუპერისა ("პატარა უფლისწული") და სეთონ-თომპსონის წიგნები ავტორისეული ნახატების გარეშე.

რამდენს დაკარგავდა გრიმების, ანდერსენის, პეროს, უაილდის ზღაპრები უილუსტრაციოდ. ზღაპარი იმდენად სერიოზული ჟანრია, რომ დასურათების გარეშე ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს კიდეც მისი აღქმა თუ გაგება...

ყველაზე მთავარი მაინც ის პირველი შთაბეჭდილებაა, რომელსაც ბავშვობაში ღებულობ. როცა მოგვიანებით მომიწია წაკითხული წიგნების გადაკითხვამ (თარგმნილ წიგნებს ვგულისხმობ), სწორედ იმ პირველი შთაბეჭდილების გამო (პროფესიული თვალსაზრისით) თარგმანის ზოგიერთი ნაკლისთვის აღარც კი მიმიქცევია ყურადღება...

ძნელია ბავშვებისთვის წერა, ძნელია რჩევის მიცემაც - რა წაიკითხონ, ჯერალდ დარელი თუ ალექსანდრე დიუმა. ამას წინათ ჩემს რვეულში ასეთ ჩანაწერს წავაწყდი - რა უნდა ჰქონდეს ახალგაზრდა კაცს (20 წლამდე) წაკითხული. ამ წიგნებში არ შემიტანია ყველა "მშობლიური მწვერვალი", რადგან მიმაჩნია, რომ ქართული ლიტერატურა "კლასგარეშე საკითხავის" მაღლა დგას და ყველა მეტ-ნაკლებად განათლებული კაცი პირველ რიგში სწორედ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს უნდა იცნობდეს.

მაშ ასე: შარლ დე კოსტერის "ულენშპიგელის ლეგენდა", სვიფტის "გულივერის თავგადასავალი" (არაადაპტირებული), სტივენსონის "განძის კუნძული", დიუმას "სამი მუშკეტერი", ტვენის "ტომ სოიერის და ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი", სკოტის "აივენჰო", "ათას ერთი ღამე", მელვილის "მობი დიკი", დოსტოევსკის (თუ მოერია) "ძმები კარამაზოვები", ტოლსტოის "ყაზახები", "ჰაჯი მურატი", "ომი და მშვიდობა", ჩეხოვის ნოველები და პიესები, ტურგენევის "მონადირის ჩანაწერები", ჰემინგუეის მოთხრობები, რუსთაველი, გურამიშვილი, ილია, ვაჟა, ჯოისის "დუბლინელები", შექსპირის "ჰამლეტი" და "მეფე ლირი", ბიბლია - "ძველი და ახალი აღთქმა" და რა თქმა უნდა, სერვანტესის "დონ კიხოტი".

აი, ასეთი სია მიწერია. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, რას ვფიქრობდი წერის დროს, მგონი ჰესეს წერილი "რა უნდა წაიკითხოს ადამიანმა" წავიკითხე და, ალბათ, იმის ასოციაციით შევადგინე ეს სია...



მოკლედ

## უფლება მოიპოვა

ჰოლივუდის ერთ-ერთმა უმსხვილესმა კინოსტუდიამ Universal Pictures-მა ბესლანის ტერაქტების მასალების ეკრანიზაციის უფლება მოიპოვა. ამის შესახებ ჟურნალი "ვერაიეტი" იუწყება. კინოსტუდია მოსკოველი ჟურნალისტის სიჯეი ჩივერსის სტატიაში ბესლანის ტერაქტის შესახებ მოყვანილ ფაქტებს დაეყრდნობა. Universal Pictures-ი სტატიას, კინოსცენარის ლიტერატურულ წყაროდ გამოიყენებს. ჩივერსის მასალა ბესლანის სკოლაში განხორციელებული ტერაქტის შესახებ თხრობის გარდა ყოფილ მძევლებთან ინტერვიუსაც შეიცავს, რომელიც ჟურნალისტმა ტერაქტიდან წელიწადნახევრის შემდეგ ჩაიწერა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სურნელოვანი ფილმი

იაპონელ მაყურებელს შესაძლებლობა ეძლევა კინოთეატრში ფილმის ყურებისას სხვადასხვა სურნელით დატკბეს. პირველი სურნელოვანი ფილმის პრეზენტაცია კოლინ ფარელის სურათის "ახალი სამყაროს" ფონზე რამდენიმე დღის წინ გაიმართა. ეკრანზე სასიყვარულო ეპიზოდების ხილვისას მაყურებელი ყვავილების სურნელით ტკბებოდა, მას, ეკრანზე გამოჩენილი კადრების შესაბამისად, გრეიფრუტის, ფორთოხლისა და ევკალიპტის სურნელი ენაცვლებოდა. ჯერჯერობით, იაპონელმა ტექნიკოსებმა მაყურებელს მხოლოდ სასიამოვნო სურნელი შესთავაზეს. რთული სათქმელია, როგორ გამოსავალს იპოვიან ისინი მაშინ, როდესაც ფილმში საზოგადოებრივი საპირფარეშო ან სხვა უხერხული კადრი გამოჩნდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჰეიდარ ალიევის ძეგლი

უახლოეს მომავალში თბილისში დაიდგმება აზერბაიჯანის ექსპრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ძეგლი. თბილისის მთავრობის ხელმძღვანელის თემურ ქურხულის განცხადებით, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ძეგლი მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ალიევის სახელობის სკვერში იგეგმება. ქურხულის თქმით, ძეგლის გახსნის შესახებ გადაწყვეტილება მხარეებმა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის საქართველოში ვიზიტის დროს მიიღეს. "ძეგლი ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა შორის მეგობრობის სიმბოლო იქნება," - განაცხადა ქურხულმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჯულია რობერტსი თეატრით დაკავდა

ჯულია რობერტსი სულ რამდენიმე ხანია, თეატრალური შემოქმედებით დაკავდა. მისი სადებიუტო თეატრალური პრემიერა სპექტაკლში "სამი წვიმიანი დღე" შედგა. მსახიობს პარტნიორობა პოლ რადმა და ბრედლი კუპერმა გაუწიეს. სპექტაკლი, გამოსვლის დღიდან, დიდი კრიტიკისა და მითქმა-მოთქმის საგნად იქცა, მიუხედავად ამისა, ყოველი წარმოდგენა ანშლაგით მიმდინარეობდა. ამ გარემოებამ კინემატოგრაფისტებიც დააინტერესა და გადაწყვიტეს სპექტაკლის კინოვერსია შექმნან. მათ ეკრანიზაციის უფლება უკვე მოიპოვეს და გადაღებებისთვის ემზადებიან. ფილმში მთავარ როლს კვლავ ჯულია რობერტსი შეასრულებს. გაუწევენ თუ არა მას კომპანიონობას ძველი პარტნიორები, ჯერჯერობით, უცნობია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "მშვიდობა თქვენდა"

კავკასიის კამერული ორკესტრი უვე ბერკემერის ხელმძღვანელობით აწყობს თბილისის II საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს "მშვიდობა თქვენდა". ფესტივალი საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის პატრონაჟით თბილისში 3-დან 8 ივნისამდე ჩატარდება.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება კავკასიური და ევროპული მუსიკის კონცერტები, რომელშიც ცნობილი კავკასიელი და უცხოელი შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას. გაიმართება ასევე პოეზიის საღამო და პირველად შესრულდება უვე ბერკემერის "საბავშვო ოპერა". ფესტივალს დახურავს პოპულარული მუსიკის საღამო, რომელზეც გერშვინის, ჩაპლინის, ნინო როტას, რევაზ ლაღიძისა და ბიძინა კვერნაძის ნაწარმოებები აჟღერდება. მუსიკის II საერთაშორისო ფესტივალის "მშვიდობა თქვენდა" ორგანიზატორია ამერიკისა და იტალიის საელჩოები საქართველოში და "საქართველოს ბანკი". **ინტერპრესნიუსი**

## ქართველი კინოდოკუმენტალისტები რიგაში

რიგაში ლატვიის ნაციონალური კინოცენტრი - European Documentary Network, the Baltic Films, ლატვიელ პროდიუსერთა ასოციაციასთან ერთად, 6-დან 10 სექტემბრამდე დოკუმენტური ფილმების პროდიუსერებისათვის მე-10 ფორუმს აწყობს. ქართველ დოკუმენტალისტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ფორუმის მუშაობაში, მათ განაცხადები საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში 20 ივნისამდე უნდა წარადგინონ. როგორც საქართველოს ეროვნული კინოცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერმა ნინო ანჯაფარიძემ განაცხადა, ფორუმი სრულყოფილი ადგილია დოკუმენტური კინოპროექტების თანადაფინანსების მოსაპოვებლად და ახალი პროფესიული ქსელებისა და პარტნიორობის შესაქმნელად. მისი თქმით, ფორუმის მიზანია ხელი შეუწყოს დოკუმენტური ფილმების მწარმოებლებს, საკუთარი პროექტები ევროპული ტელევიზიებისა და კინო ფონდების წარმომადგენელებს წარუდგინონ. **ინტერპრესნიუსი**



**ირაკლი ჩხეიძის ხსოვნას**

**იყო შაშვი მგალობელი...**
**წუთისოფელი მართლაც წუთია...**
**რამდენი ღიმილი, თბილი სიტყვა, რამდენი ადამიანი, რამდენი ოცნება გვრჩება შეუმჩნეველი...**
**იყო შაშვი მგალობელი...**
**დგება წამი განშორებისა და ვხვდებით, ვერასდროს ამოვავსებთ სიცარიელეს, რომელსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე გვივსებდა...**
**ადამიანის, რომელიც ეტრფოდა სილამაზეს...**
**ადამიანის, რომელშიც შერწყმული იყო თავადური დარბაისლობა და ბავშვური სიმსუბუქე...**
**ვაჟკაცის, რაინდის, რომელსაც ასე უყვარდა სიცოცხლე...**
**რომელსაც უყვარდა ოცნება...**
**იყო შაშვი მგალობელი...**
**წუთისოფელი მართლაც წუთია...**
**(რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი 2004-2006 წლებში).**


## განცხადება

ქ. თბილისის მერია და შპს "აბრეშუმის კოშკი", არქიტექტორთა კავშირთან ერთად, აცხადებს ღია არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობით კონკურსს ქ. თბილისში, მეტროს სადგურ "რუსთაველის" მიწისზედა ვესტიბიულის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანება-კეთილმოწყობის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოვლენის მიზნით.

კონკურსის მონაწილეთა რეგისტრაცია და მასალების გაცემა იწარმოებს არქიტექტორთა კავშირში, დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 მე-3 სართული, 2006 წლის 31 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით, სადაგ დღეებში, 12-დან 17 საათამდე.

კონკურსის პასუხისმგებელი მდივანი რევაზ ავალიშვილი. ტელ.: (995 32) 96 86 58; ფაქსი: (995 32) 95 99 87; მობილური ტელ.: 8 99 27 50 61; ელ. ფოსტა: archunion_geo@yahoo.com

კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.zemel.ge

**კონკურსის ორგანიზატორები**


# "ბანი" ფოლკლორს დააჯილდოებს

პირველი გვერდიდან

თუმცა, როგორც გუშინ გავიგე, სულ მალე ეს ბიზნეს-ჯგუფი კიდევ ერთი ახალი კონკურსის ინიციატორად მოგვევლინება და ამ კონკურსის მიზანი ტრადიციული ფოლკლორული სიმღერის გადარჩენა და წარმოჩენა იქნება.

კონკურსი "ბანი", რომელიც 1 ივნისს დაიწყება, დეკემბრამდე რეგიონებში მცხოვრები ოჯახების ერთგვარ მონიტორინგს ჩაატარებს და რამდენიმე ნომინაციაში გამარჯვებულთ გამოავლენს. ნომინაციები ასეთია: საუკეთესო მომღერალი ოჯახი, საუკეთესო სოლო შემსრულებელი, საუკეთესო დუეტი, ტრიო, ხალხური საკრავის შემსრულებელი, საუკეთესო ჯგუფი. კიდევ იქნება სპეციალური პრიზი კრიმანჭულის საუკეთესო შესრულებისთვის და, როგორც უმეტეს კონკურსებში გვხვდება ხოლმე, პრემია ფოლკლორში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. თუმცა, პირველ ეტაპზე, ანუ მიმდინარე წელს, "ბანი" მხოლოდ პირველ და უკანასკნელ ნომინაციაში გამარჯვებულთ დააჯილდოებს.



ახალი ინიციატივის ორგანიზატორები.

"თიბისი" ბანკისა და "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" გარდა, კონკურსის მხარდამჭერია ტელეკომპანია "იმედი". ფოლკლორის ჟანრში კონკურსის დაარსების იდეის ავტორია ბატონი ჯემალ ჭკუასელი. მასთან ერთად "ბანის" დამფუძნებელია ბატონი ანზორ ერქომაიშვილი.

გუშინ საღამოს "თიბისი" ბანკის საგამოფენო დარბაზში ახალი კონკურსის ავტორები მედიასაზოგადოებას შეხვდნენ და ეს სიახლეც ამცნეს. მართალია, "ბანი" სულ სხვა სფეროს ეხმიანება, თუმცა, ბატონ მამუკა ხაზარაძესთან საუბარში ახალი კონკურსი "საბასთან" მიმართებაშიც დავინახეთ:

**- "საბა" უკვე ცნობილი და წარმატებული კონკურსია. ახლა ახალ სახელოვნებო კონკურსს წარმოადგენთ. რატომ კიდევ ერთი კონკურსი და რატომ მაინცდამაინც ფოლკლორი?**

- ჩვენი ამოცანაა ყველა ასპექტში დავუჭიროთ მხარი პროცესს, ანუ პროცესის მიმდინარეობას დავეხმაროთ. მიგვაჩნია, რომ კონკურსი "ბანი" ამ მიზანს ემსახურება. ეს იქნება მუდმივი კონკურსი, რომელშიც გამოვლინდებიან საუკეთესო შემსრულებელი ოჯახები. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, რადგან რეგიონებში ქართული ხალხური სიმღერა დავიწყებას ეძლევა. ეს დარგი შეძლებისდაგვარად უნდა გამოვაცოცხლოთ. წარმატების იმედს კი მაძლევს ის, რომ კონკურსს უხელმძღვანელებს ამ საქმის ორი უზადო პროფესიონალი - ჯემალ ჭკუასელი და ანზორ ერქომაიშვილი. სწორედ მათმა ინიციატივამ და მონაწილეობამ გადაგვაწყვეტინა ამ პროექტის დაფინანსება.

**- დავუბრუნდეთ "საბას". უკვე ოთხი წელი გავიდა მისი დაარსებიდან. რამდენად მიიღო ამ ფესტივალმა ის სახე, რომელსაც ელოდით და არის თუ არა იგი დღესაც ისევე, ანდა უფრო საინტერესო, ვიდრე მისი დაარსების დროს?**

- მე ვფიქრობ, რომ ის არა მხოლოდ ჩვენთვის, საზოგადოებისთვისაც საინტერესოა. ეს კონკურსი უკვე ოთხი წელია არსებობს და ეს იმას ნიშნავს, რომ ის მიიღო საზოგადოებამ. თუ გადახედავთ სტატისტიკას და იმ მწერლების რაოდენობას, რომლებიც მონაწილეობენ ამ კონკურსში, დაინახავთ, რომ ეს მზარდი ციფრებია. ვფიქრობთ, რომ წიგნების გამოცემის ზრდაში "საბამაც" შეიტანა გარკვეული წვლილი.

ვთვლი, რომ ასეთი კონკურსები საჭიროა. საჭიროა, ვიღაცამ შეაფასოს ვიღაცის შრომა, შემოქმედება. ჩვენ გვინდა დავაჯილდოოთ, წავახალისოთ ის მწერლები, რომლებმაც იშრომეს და სიამოვნება მიანიჭეს მკითხველს. ასეთივე მიზანს მოემსახურება კონკურსი "ბანი". დარწმუნებული ვარ, საზოგადოება მას მიიღებს.

ბატონ ანზორ ერქომაიშვილს ვესაუბრეთ ფოლკლორის დღევანდელობასა და იმ ფესტივალებზე, რომლებიც ბოლო დროს მომრავლდა.

**- ბოლო პერიოდში გახშირდა ფოლკლორის ფესტივალები, კონცერტები და კონკურსები. ფოლკლორის დღევანდელობა აქტუალურ პრობლემად დაისახა. სხვა საქმეა, რამდენად წარმოაჩენს ხოლმე ჭეშმარიტ ფოლკლორს ის, რასაც ამ სათაურით წარმოადგენენ. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს და ახლად დაარსებულ კონკურსს "ბანი"?**

- ფოლკლორის ფესტივალები, რომლებიც მართლაც ხშირად ტარდება, ჩემი აზრით, დადებითი მოვლენაა. ის, რომ ფოლკლორი ახსოვთ, ის, რომ მას ყურადღებას აქცევენ, თავისთავად კარგია, მაგრამ ჩვენი კონკურსი განსხვავდება უკვე არასებულთაგან. პირველ რიგში იმით, რომ ეს არის კონკურსი, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ტრადიციულ ოჯახს და მას სოლიდური თანხით დააჯილდოებს. ეს იქნება სტიმული ამ ტიპის ოჯახებისთვის. ისინი დაინახავენ, რომ მათ ყურადღება მიაქციეს.

**- არსებობს არა ერთი და ორი უკვე კლასიკად ქცეული ფოლკლორული ჯგუფი, რომლებიც დედაქალაქში მოღვაწეობენ. რას აითვისებენ ისინი ამ კონკურსიდან? რა არის ისეთი, რასაც ეს აკადემიური ანსამბლები კარგავენ და მისი ხელახალი აღმოჩენა რეგიონებში მცხოვრებ შემსრულებლებში შეიძლება?**

- დიახ, ეს კონკურსი გათვლილი გვაქვს რეგიონებისთვის, რომ აღმოვაჩინოთ, წარმოვაჩინოთ და პოპულარიზაცია გავუწიოთ ცნობილ, ან თუნდაც ახალ გვარებს, რომლებიც საუკეთესონი გამოდგებიან, და მათ ოჯახურ ტრადიციებს. თუ აღმოვაჩენთ უცხო სიმღერებს, ცხადია, მათი შესრულებით დაინტერესდებიან დედაქალაქის ანსამბლები და რეპერტუარსაც გაიმდიდრებენ.

ჯემალ ჭკუასელი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მეუბნებოდა, რომ აკადემიური ანსამბლები გარკვეულ ვაკუუმში ექცევიან და რომ საჭიროა იმ ძალების გაძლიერება, რომლებიც სოფელშია და რომლებიც ნამდვილ ფოლკლორულ ხელოვნებას ასაზრდოებენ. "თუ სოფელში არ იმღერეს, ჩვენ აქედან ვერაფრით ვუშველით საქმეს", - ბატონმა ჯემალმა ეს ფრაზა მაშინ მითხრა, გუშინ საღამოს კი გახარებული იყო იმით, რომ დახმარების პროცესი იწყება:

- 15 წელია ამ საქმეზე ვფიქრობ. არ გამოდიოდა, მაგრამ მას მაინც ეწერა აღსრულება. საერთოდ, ოცნებები მაშინ სრულდება, როცა ძალიან გინდა ის განახორციელო. ამას გარდა, მთავარია ადამიანები, რომლებიც გვერდით დაგიდგებიან. ვის მოვნახავდი მამუკა ხაზარაძეზე უკეთესს? ოთხი-ხუთი წელია ვსაუბრობთ, როგორ ჩავატაროთ ეს კონკურსი. ამ კაცს სიმღერა უყვარს, მეცენატია და ისე დაგვიდგა გვერდით, როგორც მას ეკადრება.

# ფოთში საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა

ქეთინო ჭაკობია

24-26 მაისს ფოთმა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ბავშვთა ფოლკლორული ცეკვების საერთაშორისო ფესტივალ "ოქროს საწმისს" უმასპინძლა. ღონისძიება მსოფლიოს ფოლკლორის ფესტივალების ასოციაციის საქართველოს კომიტეტის, ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირისა და ფოთის მთავრობის ორგანიზატორობით ჩატარდა და მასში 63-მა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა.

"ეს იყო ბავშვთა ფოლკლორის დიდი ზეიმი. პატარებს თავიანთი შემოქმედების წარმოჩენის საშუალება მივეცით. ბევრმა კოლექტივმა ტრადიციული ცეკვები ახლებური იმპროვიზაციით წარმოადგინა. იყო საინტერესო კომპოზიციებიც. ფესტივალში რუსეთის, ბულგარეთის, უკრაინის, თურქეთისა და ინგუშეთის ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ. თითოეული კოლექტივი დაჯილდოვდა ფესტივალის მონაწილის ოქროს მედლით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით," - განუცხადა "24 საათს" საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ თენგიზ ურთხმელიძემ.

ფესტივალი ფოთში მეორედ გაიმართა. უცხოელი სტუმრების დაბინავების, კვებისა და სხვა საორგანიზაციო ხარჯებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარი გამოიყო. თანხის რაოდენობა 2003 წელს ჩატარებული ღონისძიების მიხედვით დადგინ-



და, ისე რომ ფასების შედარებისთვის თავი არავის შეუწუხებია. ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსი ტარიელ ზარანდია ფესტივალის გადავადებასა და პასუხისმგებლობის მოხსნაზე მონაწილე ქვეყნებისთვის მოსაწვევების გაგზავნის შემდეგაც საუბრობდა, მაგრამ მოგვიანებით, ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის მოთხოვნის შედეგად, სხვაგვარად ალაპარაკდა:

"მასშტაბური ღონისძიების ჩასატარებლად გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში ფოთის მთავრობამ მაქსიმუმი გააკეთა. 30 ათასი ლარი ფესტივალის ორგანიზებისთვის მინიმალური თანხაა. პირადად მე ყველა რესურსი ამოვწურე, რომ ფორუმი შემდგარიყო," - აღნიშნა ზარანდიამ.

ფესტივალის სპონსორობის სურვილი არავის გამოუთქვამს. არსებობს ვერსია, რომ თანხების არაეფექტური ხარჯვით დაეჭვების გამო ადგილობრივი ბიზნესმენები მსგავსი ღონისძიების ნებაყოფლობით დაფინანსებას არ თანხმდებიან. მთავრობის წევრები საპირისპიროს ამტკიცებენ, თუმცა "24 საათმა" ერთი დეტალი დააფიქსირა: შემდგომი კორექტირების მომიზეზებით, ფესტივალის წინა დღეებში კულტურის სამსახურში ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენაზე უარი განაცხადეს. ორი სცენის ასაგებად თავიდან გათვალისწინებული 700 ლარი 7 ათასამდე გაიზარდა, რისთვისაც, სპეციალისტების განმარტებით, რეალურად მხოლოდ ორი ათასამდე ლარი იყო საჭირო. როგორც გაირკვა, სამუშაოები სამშენებლო ფირმა "ნუგომ" შეასრულა. მისი საქმიანობით დიდი ხანია ფინანსური პოლიცია დაიტერესდა, მაგრამ, არაპროფესიონალიზმის მიუხედავად, მთავრობის ფავორიტ კერძო კომპანიად ითვლება. ფაქტია, რომ მსგავსი ტენდენციით, ფესტივალის ორგანიზებისთვის 30 ათას ლარზე გაცილებით მეტი თანხაც არასაკმარისია.

"იმედი მაქვს, მომავალი ფესტივალი შემოქმედებითი და ორგანიზაციული თვალსაზრისით უკეთესი იქნება. სასურველი იყო, უფრო კარგი სცენები გვქონოდა. ფოთს უნდა მოეგვარებინა საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხიც. ხარვეზია ღონისძიების არასათანადო გაშუქება, ცუდი რეკლამა. ქალაქს თუ სურს ფესტივალის მასპინძლობა, საკონცერტო დარბაზის პრობლემაც უნდა გადაწყვიტოს," - განაცხადა თენგიზ ურთხმელიძემ.

კონცერტები ღია ცის ქვეშ, ცენტრალურ პარკსა და სტადიონზე გაიმართა. სანახაობას მოკლებული ფოთელი ახალგაზრდები პატარა მოცეკვავეებს გულშემატკივრობდნენ, თუმცა 3-4-საათიანი პროგრამების ერთგული მაყურებელი მხოლოდ მშობლები და კოლექტივების ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ.

უამინდობის გამო დასკვნითი კონცერტი ფოთიდან 20 კილომეტრის მოშორებით, დაბა ურეკის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. დასწრების მსურველთა ტრანსპორტირებაზე არავის უზრუნია. დარბაზი მასშტაბური ღონისძიებებისთვის არ არის გათვალისწინებული და მაყურებლის ფუნქცია ფორუმის მონაწილეებმა შეითავსეს. მედიასაშუალებებიდან საერთაშორისო ფესტივალის ბოლო აკორდით მხოლოდ "24 საათი" დაინტერესდა.

# კულტურის ფესტივალი 2006

მზევინარ ხუციშვილი

14 მაისს რუსთავში გაიხსნა კულტურის ფესტივალი, რომელიც მეშვიდე წელია ტრადიციულად გაზაფხულზე ტარდება. ფესტივალს ქალაქის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სამსახური აწყობს. ის მოიცავს ხელოვნების ყველა სფეროს: ფოლკლორს, ვოკალს, ქორეოგრაფიას (ხალხური, თანამედროვე, ლათინოამერიკული), სახვით და გამოყენებით ნიმუშებს, თეატრს. რაც მთავარია, მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც განაცხადს წარადგენს. თითოეულ სფეროს ჰყავს კომპეტენტური ჟიური, რომელიც საუკეთესოებს გამოავლენს.

ფესტივალი ფოლკლორული მუსიკით გაიხსნა. 23 მაისიდან 3 ივნისამდე მიმდინარეობს თეატრალური სპექტაკლების წარდგენა, რომელშიც მოყვარულთა შვიდი ჯგუფი იღებს მონაწილეობას. 24 მაისს მოეწყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შერჩევა. წარმოდგენილი იყო გობელენი, ფერწერა, სხვა ხელით ნაკეთი ნიმუშები. 26 მაისს მოეწყო მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. დაგეგმილია: 30 მაისს - სიმფონიური ორკესტრის კონცერტი რევაზ ტაკიძის დირიჟორობით, 31 მაისს - ხელოვნების სასწავლებლის 45 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, 11 ივნისს - კომპოზიტორ მანანა ალფაიძის შემოქმედებითი საღამო, 14 ივნისს - "ფიროსმანს" წარმოადგენს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, 16 ივნისს - ერთობლივ კონცერტს შალვა პაპიაშვილის ქორეოგრაფიული ანსამბლი "სალხინო" და ანსამბლი "იამბიკო" და სხვა.

როგორც მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სამსახურის უფროსმა, ფოლკლორისტმა, მომღერალმა იზოლდა ფიფიამ აღნიშნა, "თუ აქამდე რუსთავი ითვლებოდა მუშათა ქალაქად, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ის ხელოვნების ქალაქია. ესპანეთის საერთაშორისო ფესტივალზე ჩვენმა ბავშვებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ბათუმის ფესტივალზე ორი გრან-პრი იყო დაწესებული და ორივე ჩვენ წამოვიღეთ. მინდა ამ ფესტივალის ფარგლებში ფილარმონიაში მოვაწყო რუსთავის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, რომ ჩვენს შესაძლებლობებში მთელი საქართველო დარწმუნდეს. დიდ მადლობას ვუხდი დახმარებისთვის ქალაქის მერიის თანამშრომლებს, რომლებიც ფესტივალის მიმდინარეობისას ჩვენს გვერდით არიან."

ფესტივალს რამდენიმე სპექტაკლი რუსთავის სახელმწიფო მუნიციპალურმა თეატრმაც აჩუქა. 28 მაისს მათ წარმოადგინეს პრემიერა კიტა ბუაჩიძის პიესისა "ეზოში ავი ძაღლია" (რეჟისორი დიმიტრი ღვთისიაშვილი), 13 ივნისს კი აჩვენებენ მიხეილ ჯავახიშვილის "რამდენიმე ეპიზოდს კვაჭი კვაჭანტირაძის ცხოვრებიდან" (რეჟისორი ლევან წულაძე).

ფესტივალი 26 ივნისს დაიხურება.

# ქანში ქარი ამოვარდა

პირველი გვერდიდან

2006 წლის ფესტივალის პრიზები ასე განაწილდა:

**ოქროს პალმით**, ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, დაჯილდოვდა ბრიტანელი რეჟისორის კენ ლოუჩის ფილმი "ქარი ამოვარდება"; **ფესტივალის მთავრი პრიზი** ერგო ფრანგ რეჟისორს ბრუნო დიუმონს ფილმისთვის FLANDRES; ოქროს პალმა **საუკეთესო სცენარისთვის** გადაეცა ესპანელ რეჟისორს პედრო ალმოდოვარს ფილმისთვის VOLVER ("დაბრუნება"); პრიზით **საუკეთესო რეჟისურისთვის** დაჯილდოვდა მექსიკელი რეჟისორის ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუს ფილმი BABEL ("ბაბილონი"); პრიზი **მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის** გადაეცა ერთდროულად ხუთ მსახიობს: ჯამელ დებუზს, სამი ნასერს, როსშდი ზემის, სამი ბუაჟილას და ბერნარ ბლანკანს ალჟირელი რეჟისორის რაშიდ ბუშარების ფილმისთვის INDIGENES ("აბორიგენები"); პრიზი **ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის** ერგო ასევე მსახიობთა ჯგუფს, კერძოდ: პენელოპა კრუზს, კარმენ მაურას, ლოლა დუენასს, ბლანკა პორტილოს, იოჰანა კობოს და ჩუზ ლამპრეავს პედრო ალმოდოვარის ფილმისთვის VOLVER; 2006 წლის ფესტივალის **ჟიურის პრიზით** კი დაჯილდოვდა ინგლისელი რეჟისორის ანდრეა არნოლდის ფილმი RED ROAD ("წითელი გზა").



კადრი ფილმიდან "ქარი ამოვარდება".

ეჭვგარეშეა, რომ კანის ფესტივალი კვლავ ინარჩუნებს კინოსამყაროს ეპიცენტრისა და დახვეწილი ესთეტიკური ღირებულების საავტორო კინოს დამცველი კინომანიფესტაციის რეპუტაციას. თუმცა ცხადია ისიც, რომ წლიდან წლამდე ფესტივალი თავისი განსაკუთრებული რეპუტაციის ხარჯზე ერთგვარი პოლიტიკური ტრიბუნის ფუნქციასაც ითავსებს. რამდენად ეფექტურად, ეს ცალკე დისკუსიის საგანია. ის, რომ 2004 წლის ფესტივალის ოქროს პალმა ამერიკელ რეჟისორს მაიკლ მურს დოკუმენტური ფილმისთვის გადაეცა, ამის ყველაზე ნათელი მაგალითია. ეს ფაქტი მწვავე დებატების საბაბიც გახდა. ამერიკის პრეზიდენტის მოახლოებული არჩევნების წინ 2004 წლის ჟიურის ეს ჟესტი ერთმნიშვნელოვნად შეფასდა როგორც ჯორჯ ბუშის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა, რომელსაც მოახლოებული არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის პრეტენზიაც კი ჰქონდა. თუმცა პროგნოზი არ გამართლდა. ჯორჯ ბუში კვლავ პრეზიდენტი გახდა, მაიკლ მური - საერთაშორისო გმირი, მისი ფილმისთვის გადაცემული ოქროს პალმა კი - კანის ფესტივალის ისტორიის სამარცხვინო ფურცელი. თუმცა ამ წარუმატებელ მცდელობას ორგანიზატორებისთვის ხელი არ შეუშლია 2006 წლის კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამა თამამად დაეთმოთ იმ ფილმებისთვის, რომლებიც მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე მოვლენებს ეხმაურებიან და ისტორიული ფაქტების შესახებ სიმართლის თქმის ამბიციაც აქვთ. ამ ნიშნით 2006 წლის პროგრამაში რამდენიმე ფილმი გაერთიანდა. კერძოდ: არგენტინელი რეჟისორის იზრაელ ადრიანო კაეტანოს Cronica di una fuga, რომლის თემა არგენტინაში სამხედრო გადატრიალების შემდეგ დაწყებული სასტიკი რეპრესიები გახდა; მექსიკელი რეჟისორის გილერმო დელ ტოროს El labirinto del Faun, რომელიც ესპანეთში სამოქალაქო ომის პერიოდს მოიცავს; ალჟირელი რეჟისორის რაშიდ ბუშარების "აბორიგენები", რომელიც მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის არმიის რიგებში ჩრდილოაფრიკელი მოხალისეების მონაწილეობას ეხმაურება; ნანი მორეტის El Caimano სილვიო ბერლუსკონის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ფილმი; და კენ ლოუჩის "ქარი ამოვარდება"; ფილმი, რომელშიც ბრიტანელი რეჟისორი მეოცე საუკუნის დასაწყისში ირლანდიაში მიმდინარე დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის თემას და ბრიტანული იმპერიის სისასტიკეს ეხება. ოქროს პალმის რტოს გადაცემის შემდეგ კენ ლოუჩმა განაცხადა: "იმედი გვაქვს, რომ ეს ფილმი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმ დამოკიდებულებაში, რომელიც ბრიტანელებს აქვთ თავიანთ იმპერიალისტურ წარსულთან. თუ გავბედავთ და სიმართლეს ვიტყვით წარსულზე, გავბედავთ და აწმყოზეც ვიტყვით სიმართლეს."

კენ ლოუჩი, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა დაეზუსტებინა, რომ "ქარი ამოვარდება" არ უნდა განვიხილოთ როგორც ანტიბრიტანული ფილმი, უკვე მეთორმეტედ მონაწილეობს კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში. ჯერ კიდევ ფესტივალის დაწყებამდე მისი ბოლო ფილმი ფავორიტთა შორის და ოქროს პალმის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად სახელდებოდა. ჩვენების შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ 2006 წლის ფესტივალის ფავორიტის სტატუსი მისთვის სრულიად გამართლებული იყო - იგი საუკეთესო აღმოჩნდა საუკეთესოთა შორის. ჟიურის სამართლიანმა და ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ კენ ლოუჩის ფილმისთვის ოქროს პალმის გადაცემის შესახებ მისი სხვა გადაწყვეტილებების ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა. გადაწყვეტილებებისა, რომელთაც თავისუფლად შეეძლოთ კიდევ ერთხელ შეერყიათ ფესტივალისა და მისი ჟიურის რეპუტაცია.

აუხსნელი და გაუგებარი დარჩა ფრანგი რეჟისორის ბრუნო დიუმონის ფილმის FLANDRES ირგვლივ შექმნილი ის აჟიოტაჟი, რომელიც მის ჩვენებას მოჰყვა ფრანგულ პრესაში. ასევე გაუგებარია ამ ფილმის 2006 წლის ფესტივალის მთავარი პრიზით დაჯილდოების მოტივებიც. ერთადერთ არგუმენტად ის შეიძლება დასახელდეს, რომ დიუმონის ფილმის მოულოდნელი დაჯილდოება ფესტივალზე წარმოდგენილი, ერთგვარ ასფიქსიურ მდგომარეობაში მყოფი ფრანგული კინოს ხელოვნური სუნთქვის მეთოდით გაცოცხლების მცდელობაა. სამაგიეროდ, მოსალოდნელი იყო ის, რომ ალჟირელი რეჟისორის რაშიდ ბეშარაბის ფილმი "აბორიგენები" უყურადღებოდ არ და ვერ დარჩებოდა კანში. და არა იმიტომ, რომ ფილმის მხატვრული ღირსებები დაიმსახურებდნენ პუბლიკის აღფრთოვანებას და ჟიურის პრიზს, არამედ იმიტომ, რომ ფილმი საფრანგეთის კოლონიური წარსულის კიდევ ერთი, არცთუ ისე სასიამოვნო შეხსენება გახდა. საფრანგეთს ბევრი ბოდიში აქვს მოსახდელი, მით უმეტეს დღეს, როდესაც მწვავე დებატები მიმდინარეობს ემიგრაციის ახალი კანონის მიღების თაობაზე. ფილმის სიუჟეტი მეორე მსოფლიო ომში ფრანგული არმიის რიგებში ჩრდილოაფრიკელი მოხალისეების მონაწილეობის ირგვლივ ვითარდება და მასთან დაკავშირებულ მრავალ ისტორიულ უსამართლობას ასახავს. როგორც მოსალოდნელი იყო, ფესტივალის ჟიური კომპრომისზე წავიდა და ამ საეჭვო ესთეტიკური ღირებულების ფილმის დაჯილდოების ხერხი გამონახა. ფილმში მთავარი როლების შემსრულებელი ხუთი მსახიობი, რომელთაგან ოთხი სწორედ ჩრდილოაფრიკული ემიგრაციის შთამომავლია, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზით დააჯილდოვა. მოსალოდნელი სიურპრიზით "მოულოდნელად" გახარებულმა ჯამელ დებუზმა, სამი ნაცერმა, როსშდი ზემმა, სამი ბუაჟილმა და მათთან ერთად ფრანგმა ბერნარ ბლანკანმა მრავალი მადლობის შემდეგ ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე ძალიან უშუალოდ საფრანგეთის სადიდებელი საომარი სიმღერაც კი შეასრულეს ფილმიდან, რომელმაც მათ 2006 წლის კანის ფესტივალის ჯილდო მოუტანა.

ასევე ჯგუფური დაჯილდოება გაიმართა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზის გადაცემისას, რომელიც პედრო ალმოდოვარის ფილმის VOLVER-ის მსახიობ ქალებს ხვდათ წილად. "აბორიგენებისგან" განსხვავებით, ალმოდოვარის ქალების რიცხვმა ექვსს მიაღწია. პრიზი, რომელიც წინასაფესტივალო პროგნოზების თანახმად, მხოლოდ პენელოპა კრუზს უნდა შეხვედროდა, მასთან ერთად კიდევ ხუთმა ესპანელმა მსახიობმა გაიყო. ალმოდოვარის ფილმი წლევანდელ ფესტივალზე ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც ჟიურის ორი პრიზი ერგო. მეორე ჯილდო ესპანელმა რეჟისორმა და კანის ფესტივალის ტრადიციულმა ფავორიტმა ჟიურის გადაწყვეტილებით საუკეთესო სცენარისთვის დაიმსახურა. თუმცა ნათელი იყო, რომ ესპანური კინოს "enfant terrible", როგორც მას სიყვარულით უწოდებენ ფრანგები, გაცილებით მეტს ელოდა კანის ფესტივალისა და მისი ჟიურისგან. უკმაყოფილება და დაძაბულობა დაჯილდოების ცერემონიაზე ალმოდოვარს (რომელიც ფესტივალის პირველი დღიდან მის დახურვამდე კენ ლოუჩთან ერთად ფავორიტად ითვლებოდა), სახეზეც ეტყობოდა. დაჯილდოების შემდეგ მან ეს უკმაყოფილება პრესკონფერენციაზე გაახმაურა: "იყო ფესტივალის ფავორიტი, ნიშნავს იყო დაწყევლილი". 1999 წლის კანის ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელმა ფილმისთვის "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" 2006 წელს სათანადო აღიარების გარეშე დატოვა კრუაზეტი. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი VOLVER, რომლის სცენარზეც ალმოდოვარმა დედის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მუშაობა და რომელშიც სწორედ გარდაცვლილი დედა (კარმენ მაურა) უბრუნდება თავის შვილებს (პენელოპა კრუზი და ლოლა დუენას), ფესტივალის ორი პრიზის მფლობელი გახდა. თუმცა ალმოდოვარისთვის ორი მეორეხარისხოვანი პრიზი ერთ პირველხარისხოვანს არ უდრის. და სამართლიანადაც! ხოლო იმას, თუ რამდენი ხნით გაებუტა ესპანელი რეჟისორი თავის საყვარელ კანის ფესტივალს, მომავალი გვაჩვენებს.

მოულოდნელი არ აღმოჩნდა მექსიკელი რეჟისორის ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუს ფილმის "ბაბილონი" ისეთი მნიშვნელოვანი პრიზით დაჯილდოება, როგორიც არის პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის. წლევანდელი ფესტივალი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მის საკონკურსო პროგრამაში 5 ლათინოამერიკული ფილმი მონაწილეობდა. ამიტომ თავმდაბალმა ინიარიტუმ, რომელიც უდავოდ დარწმუნებული იყო, რომ ჟიურის ყურადღების გარეშე არ დარჩებოდა მისი "ბაბილონი", რომელშიც მთავარ როლებს ბრედ პიტი, კეიტ ბლანშეტი, გაელ გარსია ბერნალი, კოჟი იაკუშო და ადრიანა ბარაზა ასრულებენ, მოკრძალებით განაცხადა, რომ ეს პრიზი თანამედროვე ლათინოამერიკული კინოს აღიარებაც არის.

სასიხარულო მოულოდნელობა აღმოჩნდა ჟიურის წევრების მიერ სოფია კოპოლას ფილმის "მარია-ანტუანეტას" პრიზის გარეშე დატოვება. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის ჩვენება სტვენით დასრულდა, ისევე როგორც ფესტივალის გახსნის დღეს რონ ჰოვარდის "და ვინჩის კოდის" პრემიერა, საერთაშორისო პრესა და წინასწარი გამოკითხვები უმცროს კოპოლას ერთ პატარა პრიზს მაინც უწინასწარმეტყველებდნენ. ასეთ კომპრომისზე წასვლას ჟიური ვერც უფროსი კოპოლას, ვერც ვერსალის სასახლის დიდებული დეკორისა და ვერც იმ 40 მილიონი დოლარის ხათრით ვერ შეძლებდა, რომელიც "მარია-ანტუანეტას" გადაღებაზე დაიხარჯა.

ასეა თუ ისე, ფესტივალი ფესტივალია და მასში განსაზღვრული პრიზების რაოდენობაზე ბევრად მეტი ფილმი მონაწილეობს. ფესტივალის და, მით უმეტეს, კანის ფესტივალის რეალობის განუყოფელი ნაწილი ისიც არის, რომ მრავალ მიზეზთა გამო (რომელთაც ხშირად პოლიტიკური თუ კინოინდუსტრიული ინტერესები განსაზღვრავენ), ფილმები, რომლებიც იმსახურებენ ჯილდოს, არ ჯილდოვდებიან, ფილმები, რომლებიც არ იმსახურებენ - ჯილდოვდებიან. მაგრამ ისეც ხდება, რომ ფილმები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ, აუცილებლად ჯილდოვდებიან. საბედნიეროდ!

კანის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალი დასრულდა. 60 წლის იუბილესთვის მოსამზადებლად მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ კინოფესტივალს ანუ "კინოს ყველაზე ლამაზ დღესასწაულს", როგორც მას კენ ლოუჩმა უწოდა დაჯილდოების ცერემონიაზე, სრული ერთი წელი აქვს.


"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge






# საინფორმაციო ცნობა

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე

| N 1 | მიწის ნაკვეთის მისამართი | გაცემის ფორმა | სარგებლობის ფორმა | მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივობა) | მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ | მოშენების ფართობი კვ.მ. | სართულიანობა | საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი) | კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი კვ.მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | მთაწმინდა-კრწანისის რაიონი ოქროყანის გადასახვევი გზის მიმდებარედ, მინიავტოსერვისის ქვედა მხარეს | აუქციონი | საკუთრება | | 300 კვ.მ | | | | 150 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 25 დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 2 | მთაწმინდა-კრწანისის რაიონი, კოჯრის გზატკეცილი N5-ის მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | | 220 კვ.მ | | | | 180 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 20 დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 3 | ლდანი-ნაძალადევის რაიონი ქსნის და ფეიქრების ქუჩის მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | | 22000 კვ.მ | | | | 15 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 5 დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 4 | იდუბე-ჩუღურეთის რაიონი ალმაშენებლის ხეივანი ,,გრეკოს" მიმდებარედ. | აუქციონი | საკუთრება | | 360 კვ.მ | | | | 30 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 20 დოლარის ექვივალენტი ლარებში) |

შენიშვნა: აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილ იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 30.05.2006 წლის 11 საათიდან, 30.06.2006 წლის 17 საათამდე. აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 93 45 73, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21.




სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# წინსვლა აფხაზეთთან დაკავშირებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში

*მრავალ საკითხზე არსებული უთანხმოების მიუხედავად, თბილისისა და სოხუმის მიერ სამშვიდობო ინიციატივების წამოყენების ფაქტი პოზიტიურ ნაბიჯად აღიქმება.*

ანტონ კრივენიუკი, სოხუმი
სოფო ბუკია, თბილისი

გასულ კვირას აფხაზეთის სამშვიდობო პროცესი ახალ ფაზაში შევიდა – საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ირაკლი ალასანიამ აფხაზეთის ხელისუფლებას სამშვიდობო გეგმა პირადად გადასცა.
ალასანიას მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო გეგმა და პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშის მიერ 15 მაისს თბილისისთვის გადაცემული აფხაზური მხარის გეგმა კონფლიქტის დასრულების შემდეგ შემუშავებული ყველაზე დეტალური დოკუმენტებია.
ბაგაფშმა მის მიერ წარმოდგენილ გეგმას ჟურნალისტებთან საუბრისას „მომავლის გასაღები“ უწოდა.
„წარმატების მიღწევასა და საბოლოოდ მშვიდობის დამყარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ორივე მხარის კეთილი ნებაა“, – განაცხადა სერგეი ბაგაფშმა.
მართალია დოკუმენტების გაცვლა წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ თითოეული მხარე მეორეს მიერ წარმოდგენილ წინადადებებს უკიდურესად ცივად შეხვდა.
„დოკუმენტის სახელწოდებას ორი სიტყვა აკლია. მას „დამოუკიდებელი აფხაზეთის მომავლის გასაღები“ უნდა ერქვას“, – განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გიორგი ხაინდრავამ.
ხაინდრავას განცხადებით, გეგმა „ძირითადად აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაა“, თბილისი კი ამ იდეას ეწინააღმდეგება.
„ქართული მხარის გეგმის გაცნობის შემდეგ, ვერც კი ვხვდები, საიდან შეიძლება დავიწყოთ საუბარი“, – განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ მას შემდეგ, რაც 24 მაისს ალასანიამ სამშვიდობო გეგმა წარმოადგინა.
ოთხწლიანი პაუზის შემდეგ თბილისში ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გაიმართა. აფხაზურმა მხარემ გეგმა შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე წარმოადგინა.
დოკუმენტი თბილისს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების, რესპუბლიკის ეკონომიკური ბლოკადის დასრულების, წარსული პოლიტიკის გამო მობოდიშების, აგრეთვე უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად შესაბამის ზომებზე შეთანხმებისკენ მოუწოდებს.
როგორც თბილისის შეხვედრის მონაწილე აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ განაცხადა, აფხაზეთის ხელისუფლება ორი წლის განმავლობაში გალის რაიონში ყველა ქართველი დევნილის დაბრუნებას გეგმავს.
„დაღვრილი სისხლი არსებული პრობლემების მოგვარებას ხელს უშლის. დრო ჭრილობებს აშუშებს. მოვა დრო, როცა დევნილთა მთელ აფხაზეთში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში დადგება“, – განაცხადა შამბამ.
ჯერჯერობით, ქართული მხარის მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო გეგმის შინაარსი საზოგადოებისთვის უცნობია.
როგორც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ირაკლი ალასანიამ საკოორდინაციო საბჭოს განუცხადა, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი იძულებით გადაადგილებული 250 ათასამდე ქართველის აფხაზეთში დაბრუნებაა. მომდევნო ნაბიჯები მხარეებს შორის ნდობის აღდგენასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოიცავს. ეკონომიკური რეაბილიტაცია და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა მხოლოდ პროცესის ბოლოს არის გათვალისწინებული.
ალასანიას განცხადებით, ორივე სამშვიდობო გეგმა განსახილველად საქართველოს პარლამენტს გადაეცემა.
„ორივე სქემის განხილვა დახურულ კარს მიღმა წარიმართება და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ მათი შეჯერების შემდეგ შემუშავებული ერთიანი გეგმა გახდება“, – განაცხადა ალასანიამ.
ახლად წარმოდგენილ სამშვიდობო გეგმებამდე საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ეტაპობრივად მოგვარების მხოლოდ ერთი მსგავსი სქემა – ე.წ. ბოდენის დოკუმენტი არსებობდა, რომელიც საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის ხელმძღვანელობით შემუშავდა.
,,ბოდენის დოკუმენტი“ ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს საზღვრებში სოხუმსა და თბილისს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გადანაწილებას ითვალისწინებდა. სქემას თბილისი მხარს უჭერდა, მაგრამ აფხაზურმა მხარემ აღნიშნული წინადადების მიღებაზე უარი განაცხადა და სრული სუვერენიტეტი მოითხოვა.
საწყის წერტილად ბაგაფშის მიერ წარმოდგენილი ბოლო გეგმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობას ითვალისწინებს. ბაგაფშის ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ასეთმა პოზიციამ შესაძლოა ქართული მხარის მიერ დოკუმენტის განხილვაზე უარის თქმა გამოიწვიოს.
„დოკუმენტი აფხაზეთში რეალურად არსებულ სიტუაციას ასახავს. რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ეს მიუღებელია, მაგრამ დოკუმენტში კონფლიქტში ჩვენი ქვეყნის პოზიცია მკვეთრად არის გამოხატული“, – განაცხადა IWPR-თან საუბრისას აფხაზეთის პარლამენტის საბიუჯეტო და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ილია გამისონიამ.
„შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, ასევე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში რეგიონულ დონეზე უფრო ინტენსიური ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები შესაძლოა მხარეთა მიერ კეთილმეზობლობის ძირითადი პრინციპების დაცვის გარანტია გახდეს“, – ნათქვამია დოკუმენტში.
რუსეთის ნაცვლად ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის ხაზგასმით ხსენება კონფლიქტის დარეგულირების საკითხისადმი აფხაზეთის ახლებურ მიდგომებზე მიანიშნებს.
„ყველა ჩვენგანი გრძნობს, რომ აფხაზეთის იზოლაცია თანდათან წარსულს ბარდება. ყველა პრობლემის მიუხედავად, ევროპაში ინტეგრაციის ალტერნატივა არ გაგვაჩნია. ჩვენთვის უცხო და მტრულად განწყობილი ევროპის შესახებ წარსულიდან შემორჩენილ შეხედულებებს თანდათან ვცვლით. ის ფაქტი, რომ ხელისუფლება შავი ზღვის ქვეყნებთან ინტეგრაციის შესახებ საუბრობს, აფხაზეთს საშუალებას აძლევს, მომავალს უფრო გაბედულად უყუროს“, – ამბობს მწერალი ნადეჟდა ვენედიქტოვა.
„აფხაზები უკვე მართლაც საკმაოდ საინტერესო წინადადებებით გამოდიან, რომლებზეც დიალოგის გამართვა შეგვიძლია. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ისინი რუსეთის გარეშე ევროპაში ინტეგრაციისთვის მზად არიან. ფაქტობრივად, აფხაზები აცხადებენ, რომ რუსები შეიძლება დარჩნენ, მაგრამ მათი გავლენა ევროპის საშუალებით გავანეიტრალოთო“, – აღნიშნა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა.
„შავი ზღვის რეგიონში ინტეგრაციის იდეა შესანიშნავი წინადადებაა, მისი ერთადერთი მინუსი ის არის, რომ ეს ინიციატივა ჩვენ არ გვეკუთვნის“, – აცხადებს ზაქარეიშვილი.
გამისონია და სხვა აფხაზი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების გაჭიანურებული პროცესის მიუხედავად ეკონომიკური თანამშრომლობის დაწყება მაინც შესაძლებელია. მათი განცხადებით, მხარეებმა ერთამანეთთან შესაძლოა გარემოს დაცვის საკითხებსა და აგრეთვე ისეთი ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებაში ითანამშრომლონ, როგორიც აფხაზეთის გავლით (რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით) სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაა.
თუმცა, აფხაზეთში ბევრი შიშობს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის არაღიარების პირობებში თბილისთან ეკონომიკური თანამშრომლობა შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდეს.
„საქართველოში ეკონომიკური მეთოდების საშუალებით აფხაზეთის ,,ჩაყლაპვის“ გარკვეული გეგმები არსებობს და ისინი ამის შესახებ ღიად საუბრობენ. ამიტომ ეკონომიკური კავშირის დამყარების შესაძლებლობაზე საუბრით საკუთარ თავს ვძირავთ“, – განაცხადა ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ყოფილმა მხარდამჭერმა, ამჟამად ახალი ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფმა ალიას ხაჯიმბამ.
ამ ეტაპზე თბილისისა და სოხუმისთვის ყველაზე მწვავე საკითხი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რუსებით დაკომპლექტებული სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გაყვანაა. თუ საქართველო რუსეთთან არსებული დაპირისპირების ესკალაციის შედეგად თანამეგობრობიდან გამოსვლას გადაწყვეტს, დსთ-ის სამშვიდობო ძალებმა შესაძლოა აფხაზეთი დატოვონ.
„თუ დსთ-ის ჯარისკაცები აფხაზეთიდან გავლენ, საქართველოსთან საზღვარს საკუთარი შეიარაღებული ძალებით სრულად გავაკონტროლებთ“, – განაცხადა სერგეი ბაგაფშმა.
„ასეთ შემთხვევაში შესაძლო პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად ერთობლივი ღონისძიებები უნდა გავაძლიეროთ“, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.
ალასანიას თქმით, აფხაზეთში სამშვიდობო მანდატის შეცვლის შესახებ გაერო-სთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.
თუმცა კონფლიქტის მოგვარების საკითხში უეცარ გარღვევას ცოტა თუ მოელის, დიდი ხნის პაუზის



ირაკლი ალასანია

შემდეგ ორივე მხარის მიერ სამშვიდობო გეგმების ერთდროულად წარმოდგენის ფაქტმა გარკვეული იმედი გააჩინა.
„აღნიშნული დოკუმენტები ერთ მთლიან პაკეტს არ შეადგენს და ერთიან გეგმად არ უნდა მოიაზრებოდეს. მათზე მუშაობაა საჭირო. დიალოგისთვის აუცილებელი ასეთი ხელსაყრელი საფუძველი 1997 წლის შემდეგ არ შექმნილა. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია მუშაობა გავაგრძელოთ და ყველაფერი არ გავაფუჭოთ“, – დასძინა ზაქარეიშვილმა.

www.iwpr.net

## ევროკავშირი სამშვიდობო მისიის შესასრულებლად მზადაა

*ევროკავშირის ახალი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების საკითხში ევროკავშირის როლის გააქტიურებაზე საუბრობს.*

თომას დე ვაალი, ლონდონი

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის ახლადდანიშნული წარმომადგენლის პიტერ სემნების განცხადებით, თუ კონფლიქტის გადაჭრისთვის გზების ძიება წარმატებით წარიმართება, მომავალში ევროკავშირმა შესაძლოა მთიანი ყარაბაღში სამშვიდობო მისიას უხელმძღვანელოს.
ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობაზე ახლახან დანიშნულმა შვედმა დიპლომატმა სემნებიმ გასულ კვირას, ლონდონში IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ მას სურს, თავისი მანდატი რეგიონში არსებულ მოუგვარებელ კონფლიქტებზე მუშაობას დაუთმოს.
„ჩემი საქმიანობის უმთავრესი პრიორიტეტი კონფლიქტის მოგვარების საკითხში მაქსიმალურად ჩართვაა“, – განაცხადა სემნებიმ.
სემნებიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის შესახებ მიმდინარე დეტალურ მოლაპარაკებებში ოფიციალურ როლს არ თამაშობს, რადგან აფხაზეთში შუამავლის როლს გაერო, ხოლო სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღში კი ეუთო ასრულებს.
თუმცა, როგორც ცნობილია, ყარაბაღის შესახებ ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებებში სხვა საკითხებთან ერთად კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანის საკითხიც განიხილება. და თუ მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართა, მათ საერთაშორისო სტრუქტურამ უნდა უხელმძღვანელოს. ევროკავშირს აქტიური როლის თამაში სწორედ ასეთ შემთხვევაში შეუძლია.
„თუ კონფლიქტის მოგვარების გზა გამოიძებნება, ჩვენგან მნიშვნელოვანი თანადგომა გახდება საჭირო – როგორც კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის პრობლემების გადაწყვეტაში, ისე (თუ მხარეები მოისურვებენ) სამშვიდობო ძალების დაკომპლექტებაში. ევროკავშირმა შესაძლოა სამშვიდობო მისიას თავად უხელმძღვანელოს. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით, ამაზე საუბარი მხოლოდ თეორიულად შეიძლება. ეს მხოლოდ ერთ-ერთია რამდენიმე ვარიანტიდან, მაგრამ აღნიშნული საკითხი ნამდვილად განიხილება“.
International Crisis Group-ის მიერ ახლახან გამოქვეყნებული ანგარიში „კონფლიქტების მოგვარება სამხრეთ კავკასიაში: ევროკავშირის როლი“ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების საკითხში ევროკავშირის მეტისმეტი პასიურობა მკაცრად არის გაკრიტიკებული.
„ევროკავშირი მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებებში უშუალოდ არ მონაწილეობს. მთიან ყარაბაღში ან მის ფარგლებს გარეთ კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართული ძალისხმევა უმნიშვნელოა. პარტნიორებთან მაღალი რანგის შეხვედრების დღის წესრიგში სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების საკითხი იშვიათადაა შეტანილი. აგრეთვე მცირეა ევროკავშირის მიერ მშვიდობის დასამყარებლად დაწესებული სანქციებისა თუ სტიმულირების შემთხვევები“, – ნათქვამია ანგარიშში.
სემნების წინამორბედის, ჰეიკი ტალვიტიეს მანდატთან შედარებით ახალი წარმომადგენლის მანდატის სიტყვიერ ფორმულირებაში მცირეოდენი შინაარსობრივი ცვლილება იმის მანიშნებელია, რომ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს უკვე არა მხოლოდ „კონფლიქტების მოგვარებაში დახმარების გაწევა“, არამედ „კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობის მიღება“ მოეთხოვება.
სემნების განცხადებით, მანდატის ფორმულირების ცვლილება მართალია მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანია.
მისი თქმით, ეს ,,იმის პოლიტიკური სიგნალია, რომ კონფლიქტების საკითხი დღის წესრიგში დგას“.
ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტი 2003 წელს შეიქმნა. მას ფართო მანდატი, მაგრამ მცირე ბიუჯეტი აქვს. სემნები აღიარებს, რომ ყველა სფეროში აქტიურად ჩართვა შეუძლებელი იქნება. იგი უმთავრეს პრიორიტეტებად სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობაში მონაწილეობის მიღებასა და სხვადასხვა ინიციატივების (მათ შორის სასამართლო რეფორმის საშუალებით რეგიონში სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის) მხარდაჭერას ასახელებს.
46 წლის სემნების პროფესიული კარიერა ძირითადად აღმოსავლეთ ევროპას უკავშირდება. 1988 წელს მან შვედი დიპლომატის სტატუსით სომხეთში მიწისძვრის ზონა მოინახულა, 1992 წელს კი საქართველოში ეუთო-ის პირველი მისიის წევრი იყო. სემნები ლატვიაში ეუთო-ს უკანასკნელი ელჩი იყო, მოგვიანებით აღნიშნული ორგანიზაციის ელჩად მსახურობდა ხორვატიაშიც. მისი განცხადებით, ბოლო თანამდებობამ მას კავკასიაში არსებული კონფლიქტების დარეგულირების პროცესში მუშაობისთვის საჭირო გამოცდილება შესძინა.
სემნები აღიარებს, დიდი ხნის შემდეგ რეგიონში დაბრუნება „დეჟა ვუს“ გრძნობას აღუძრავს.
„ამდენი წლის შემდეგ კავკასიაში დაბრუნებისას ეს ყველაზე სამწუხარო ასპექტია. რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებები მოხდა, მათ შორის ბევრი სასიკეთოც, მაგრამ კავკასიაში საზოგადოებათა ნორმალური განვითარებისთვის უდიდესი ბარიერი სწორედ კონფლიქტებია“, – განაცხადა სემნებიმ.
სემნები რეგიონში ევროკავშირის იმიჯის პრობლემის მოგვარებას შეეცდება. ევროკავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით სამხრეთ კავკასიაში ნაკლებად თვალსაჩინო როლით გამოირჩევა.
ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი 25 ქვეყნის სახელით საუბრობს, რომელთაგან ბევრს რეგიონში საკუთარი ინტერესები აქვს. სემნები აცხადებს, რომ მის საქმიანობას ევროკავშირის კონსტიტუციის არარსებობა ართულებს, რადგან საერთო კონსტიტუცია უფრო კოორდინირებული საგარეო პოლიტიკის შემუშავებას შეუწყობდა ხელს.
თუმცა ახლა, როცა მომავალ წელს ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების საკითხი გადაწყვეტილია, ხოლო თურქეთი ამ ორგანიზაციის წევრობის შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად ემზადება, ბრიუსელისთვის სამხრეთ კავკასია გაცილებით მნიშვნელოვანი რეგიონი გახდება.
სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ევროკავშირის მიერ ინიცირებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წევრები არიან. სემნების განცხადებით, ეს ბრიუსელთან ამ ქვეყნების ურთიერთობას აღრმავებს და გაზრდილი დახმარების მიღების შესაძლებლობასაც უჩენს.
„საუბარია თითოეული ქვეყნისთვის ასობით მილიონი ევროს გამოყოფაზე. ევროკავშირი ამ ქვეყნებში თავის წარმომადგენლობასაც გააფართოებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სამხრეთ კავკასიაში თვალსაჩინო როლის შესრულებას დაიწყებს“, – განაცხადა სემნებიმ.
„შევეცდები, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის მიზნებისა და საქმიანობის შესახებ საზოგადოება გავათვითცნობიერო. ევროკავშირის საქმიანობასთან დაკავშირებით აქ ცოტა იციან. ინფორმაციის სიმცირის გამო რეგიონში ევროკავშირზე ბევრს არასწორი წარმოდგენა აქვს“, – აღნიშნა სემნებიმ.
„ვფიქრობ, რომ თავის მხრივ ევროკავშირშიც არასაკმარისად იციან სამხრეთ კავკასიისა და მისი პრობლემების, ასევე ევროკავშირისთვის ამ რეგიონის მნიშვნელობის შესახებ. თუ შესაძლებელი იქნება, მინდა ჩემი საქმიანობის დიდი ნაწილი სწორედ ამ საკითხებზე მუშაობას დავუთმო“, – დასძინა სემნებიმ.
რაც შეეხება ევროკავშირის წევრობის პერსპექტივასთან დაკავშირებით რეგიონის ბევრი მცხოვრების მოლოდინს, ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ფრთხილად განაცხადა, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა „წევრობის პერსპექტივას არ ითვალისწინებს“.
„თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შედეგად ამ ქვეყნებმაც ბევრი ისეთი პრივილეგიით ისარგებლონ, რაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ“, – განაცხადა სემნებიმ.
„ეს პრობლემაა და მე პირველი ვარ, ვინც ამას აღიარებს. ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის მასტიმულირებელი ფაქტორის არარსებობა ხელიდან ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ბერკეტს გვაცლის, რაც მტკივნეული რეფორმების გატარებაში ცენტრალური ევროპის ქვეყნების წასახალისებლად ეფექტურად გამოვიყენეთ“, – აღნიშნა სემნებიმ.

www.iwpr.net

## ბესლანის სასამართლო პროცესი უკმაყოფილებას აღვივებს

*ბესლანის სკოლაში დატრიალებული ტრაგედიის დროს გადარჩენილები აცხადებენ, რომ თანამდებობის პირებმა პასუხი უნდა აგონ დაუდევარი ქმედებებისთვის, რამაც უამრავი ადამიანის დაღუპვა გამოიწვია.*

ალან ცხურბაევი, ვლადიკავკაზი

ხანგრძლივი სასამართლო პროცესის შემდეგ 2004 წელს სკოლაზე განხორციელებული თავდასხმის მონაწილეთაგან, ოფიციალური ვერსიის თანახმად გადარჩენილი ერთადერთი მამაკაცი დამნაშავედ სცნეს. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ეს საქმე სამართლის აღდგენის შესახებ ხალხის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, თუმცა აღნიშნულმა სასამართლო პროცესმა ქალაქში არსებული უკმაყოფილება კიდევ უფრო გააღრმავა.
2004 წლის სექტემბერში სკოლაზე განხორციელებული თავდასხმა რუსეთის უშიშროების სამსახურის ძალების მიერ შენობის შტურმით დასრულდა. მომხდარის შედეგად 331 ადამიანი დაიღუპა და 783 დაიჭრა. დღეს მათი ნათესავები ეჭვქვეშ აყენებენ ოფიციალურ განცხადებებს, რომელთა მიხედვითაც ნურფაშ კულაევი ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი „ბოევიკია“.
როგორც დაღუპულთა ნათესავები ამბობენ, რომ აღნიშნული პროცესით ყურადღების იმ თანამდებობის პირებისგან გადატანას ცდილობენ, რომელთაც, მათი განცხადებით, მომხდარ ტრაგედიაში ბრალი მიუძღვით.
„კულაევთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია. მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ მნიშვნელოვანი შეკითხვები კვლავ უპასუხოდ რჩება“, – განაცხადა იურისტმა ტაიმურაზ ჩეჯემოვმა, რომელიც მსხვერპლთა ოჯახების ინტერესებს იცავს.
ერთ წელიწადზე მეტხანს მიმდინარე სასამართლო პროცესი გასულ კვირას ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქის – ვლადიკავკაზის უზენაეს სასამართლოში დასრულდა. ნურფაშ კულაევი მკვლელობისა და ტერორიზმის მუხლებით წაყენებულ რვა ბრალდებაში დამნაშავედ სცნეს. პროკურატურა სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილით დასჯას ითხოვდა, მაგრამ რუსეთის მიერ სიკვდილით დასჯაზე გამოცხადებული მორატორიუმის გამო კულაევს, სავარაუდოდ, სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან.
ნურფაშ კულაევი აცხადებს, რომ მას სკოლის შენობაში ადამიანების დაღუპვაში ბრალი არ მიუძღვის.
კულაევი წარმოშობით ჩეჩნეთის სოფელ ენგენოიდანაა, მაგრამ 2002 წელს საცხოვრებლად ინგუშეთში გადავიდა, სადაც მისი ძმა ჰანპაში ცხოვრობდა. იგი ირწმუნება, რომ ძმასთან ერთად ბესლანში ძალით ისე წაიყვანეს, რომ არც კი იცოდნენ, სად მიდიოდნენ.
დაცვის არგუმენტები იმ ფაქტმა გააძლიერა, რომ ნურფაშ კულაევი ძალიან ცოტა გადარჩენილმა მძევალმა ამოიცნო. ხელში იარაღი მას მხოლოდ რამდენიმე მძევალმა დაუნახა, თუმცა არც ერთ მათგანს არ დაუნახავს, რომ კულაევმა ისროლა.
„პროკურატურის ბრალდება მძევლების მიერ მიცემული ჩვენების კონტექსტიდან ამოვარდნილ ფრაზებს ეყრდნობოდა. თუ კულაევი გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებას მოინდომებს, ვალდებული ვიქნები, დავემორჩილო“, – განაცხადა კულაევის ადვოკატმა ალბერტ პლიევმა.
თუმცა, ტრაგედიის დროს გადარჩენილებმა და მსხვერპლთა ნათესავებმა, რომლებიც ბესლანში მომხდარი ტრაგედიის ოფიციალურ ვერსიას ეჭვქვეშ აყენებენ, კულაევის საქმე საზოგადოებრივი განხილვის საგნად აქციეს.
„სასამართლო პროცესი გამოძიებაზე უფრო ობიექტური იყო. პროცესის დროს ხელისუფლების წარმომადგენელთა უპასუხისმგებლობის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი გამოაშკარავდა. ეს ფაქტები „ბოევიკებთან“ მოლაპარაკებებსა და უეცარი შტურმის გამომწვევ მიზეზებს უკავშირდება“, – განაცხადა ჩეჯემოვმა IWPR-თან საუბრისას.
ბესლანის ტრაგედიის გამოძიება ორჯერ ჩატარდა. ერთი მოკვლევა რუსეთის პარლამენტმა ჩაატარა და წინასწარ ანგარიშში მხარი მოვლენათა განვითარების ოფიციალურ ვერსიას დაუჭირა. მეორე, ჩრდილოეთ ოსეთის ადგილობრივი პარლამენტის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგები ხელისუფლების თანამდებობის პირებისადმი უფრო კრიტიკული იყო.
ტრაგედიის დროს დაღუპულთა ნათესავების განცხადებით, ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა კვლავ უპასუხოდ რჩება. მაგალითად, სკოლის სპორტულ დარბაზში მომხდარი პირველი აფეთქების გამომწვევი მიზეზები (რასაც უშიშროების ძალების მიერ შენობის შტურმით აღება მოჰყვა) სათანადოდ ჯერაც არ არის შესწავლილი. მოგვიანებით შენობაში მყოფი მძევლები ამბობდნენ, რომ მათ ჯერ „კვამლის ღრუბელი“ დაინახეს, შემდეგ კი თავს ზემოთ მხოლოდ ცა.
ყოფილმა ტანკისტმა ელბრუს ტედტოვმა სკოლაში დატრიალებული ტრაგედიის დროს ვაჟიშვილი დაკარგა. მან მოკვლევა თავად ჩაატარა და დარწმუნებულია, რომ ეს აფეთქებები უშიშროების ძალების მიერ იყო მოწყობილი.
ბევრი ბესლანელის მსგავსად, ტედტოვსაც სჯერა, რომ კულაევი ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი „ბოევიკი“ არ არის. მისი აზრით, გაქცევა, სულ მცირე, სამმა თავდასხმელმა მაინც მოახერხა. ტედტოვი აცხადებს, რომ მან სამი გაქცეული „ბოევიკის“ სახელი იცის და ამის შესახებ პროკურატურასაც აცნობა.
დანარჩენი მძევლები „კისერზე შრამიან და წვერიან ბოევიკს“, ასევე „სლავური გარეგნობის ქალსაც“ იხსენებენ. დაღუპულ თავდამსხმელებს შორის ვერცერთი მათგანი ვერ ამოიცნეს.
რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის ნიკოლაი შეპელის განცხადებით, ეს საკითხი სხვა დანარჩენ შეკითხვებთან ერთად „მთავარი საქმის“ მოსმენის დროს გაირკვევა. შეპელი სკოლაზე თავდასხმის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს გულისხმობდა. კულაევის პროცესი ძირითადი საქმის მხოლოდ ნაწილია. ბესლანის მილიციის სამი ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე საქმედ არის გამოყოფილი.
„მთავარ საქმეში“ ბრალდებები აქვთ წაყენებული ჩეჩენ ექსტრემისტთა ლიდერს შამილ ბასაევსა და ერთ-ერთ საველე მეთაურს აბუ ძეიტს (რომელიც არაბია და გავრცელებული ინფორმაციით, 2005 წელს მოკლეს), მაგრამ რადგან ისინი არ დაუკავებიათ, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაც გაჭიანურდა. რუსეთის ხელისუფლების განცხადებით, გამოძიება 1 ოქტომბრამდე უნდა დასრულდეს.
ბესლანის ტრაგედიის მსხვერპლთა ნათესავები და ყოფილი მძევლები ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენლის გვარსაც ასახელებენ. მათი თქმით, ეს ადამიანები ტერაქტის დროს ფიგურირებდნენ და გამოძიება უნდა დაინტერესდეს. მათ შორის არიან ფედერალური უშიშროების სამსახურის დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილეები ვლადიმირ პრონიჩევი და ვლადიმირ ანისიმოვი, ჩრდილოეთ ოსეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი კაზბეკ დზანტიევი და მისი მოადგილე ვლადიმირ პოპოვი.
„ამ საქმეში ბევრი ადამიანია დამნაშავე, მაგრამ მათ მხოლოდ კულაევი გაასამართლეს. ეს უბრალო სტიქიური უბედურება არ ყოფილა, რომელშიც ბრალი არავის მიუძღვის“, – განაცხადა ვალერი კარპოვმა, რომლის მამაც ბესლანის საშუალო სკოლაში დაიღუპა.
„კულაევის პროცესი კიდევ ერთი არგუმენტი იყო, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას მათი შვილების დაღუპვაში დამნაშავეების დადგენის საშუალება მიეცა. პროცესის დროს ნახსენები ფაქტები მძიმე შეიარაღების გამოყენების შესახებ და აგრეთვე მძევლების გამათავისუფლებელი წარუმატებელი პროცედურები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ყველაფერს ჯიუტად მალავდა. ამან კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება, რომ ადამიანების დაღუპვაზე პასუხისმგებლობა სწორედ მათ ეკისრებათ“, – განაცხადა პარტია ,,ერთიანი სამოქალაქო ფრონტის“ თავმჯდომარემ, ბესლანის მკვიდრმა ვისარიონ ასეევმა.

www.iwpr.net

[24 საათი B]
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

ამერიკის ფინანსთა მინისტრი თანამდებობას დატოვებს



საერთაშორისო საფინანსო ბირჟები დროებით დაიხურება

იაპონია ეკონომიკის დამოუკიდებლობაზე ფიქრობს

მადრიდში საერთაშორისო ავტოსალონი გაიხსნა



B3

## ქართველი მეწარმეების შანსი ლუდის ხარისხის გაუმჯობესებაა

### ლუდის მოხმარება ყოველ წელიწადს 10-15 პროცენტით იზრდება

ეთერ მამულაშვილი

*თავის დროზე საგადასახადო კოდექსში შეტანილმა რამდენიმე ცვლილებამ და სპეციალურად ამ ბიზნესისთვის დაწესებულმა შეღავათებმა ქვეყანაში ლუდის წარმოება და, შესაბამისად, მისი რეალიზაცია ერთ-ერთ ყველაზე სარფიან ბიზნესად აქცია. "ვარდების რევოლუციისა" და ახალი საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლის დღიდან კი, სიტუაცია იცვლება. მართალია, ლუდის ბიზნესი ისევ მოგებიანად რჩება, თუმცა ადგილობრივ მწარმოებლებზე მეტად ახლა იმპორტიორები ხეირობენ.*

**ახალი კოდექსის მიღების შემდეგ იმპორტირებული ლუდის რაოდენობა ქართულ ბაზარზე გაიზრდება. თუმცა, ეს მოხდება უფრო გრძელვადიან პერიოდში და არა მყისიერად. ცვლილება საბაჟო კოდექსში ქართული წარმოებისთვის სტიმული უნდა გახდეს, რათა ზოგიერთმა მეწარმემ ხარისხი გააუმჯობესოს, ზოგმა კი არსებული მაღალი ხარისხი შეინარჩუნოს."**

*ლუდის წარმოება საქართველოში*

| ზომის ერთეული | 2004 | | 2005 | |
|---|---|---|---|---|
| | ნატურალურ გამოსახულებაში | 1000 ლარი | ნატურალურ გამოსახულებაში | 1000 ლარი |
| ათ. დეკალ. | 4,761.5 | 34,837.5 | 5,863.7 | 43,909.8 |

*ლუდის მოხმარება საქართველოში*

| | ათასი ტონა | კგ-სულზე წელიწადში | გრ/სულზე დღეში |
|---|---|---|---|
| 2004 | 1.4 | 0.4 | 1.0 |
| 2005 | 1.6 | 0.4 | 1.2 |

*საქართველოში იმპორტირებული ლუდი*

| დასახელება | 2004 | 2005 | 2006 3 თვე |
|---|---|---|---|
| სულ ალკოჰოლური სასმელი | 10,485.2 | 18,293.7 | 5,415.1 |
| სულ ლუდი | 2,249.4 | 5,257.4 | 590.0 |
| იმპორტირებული ლუდის წილი იმპორტირებულ alkoholur sasmelSi (%) | 21.5 | 28.7 | 10.9 |

B2

## ბირთვული დილემის წინაშე

### ევროპაში ქარი ბირთვული ენერგიის სასარგებლოდ ქრის

დიანა ჩაჩუა

*ჩერნობილის მემკვიდრეობა ევროპაში კვლავაც სერიოზული დებატების თემაა. კატასტროფიდან ორი ათწლეულის შემდეგ ევროპის ანტიბირთვული დინების მიმართულების აშკარა ცვლა შეინიშნება. ზოგიერთი ევროპული ქვეყანა ახალი სადგურების მშენებლობას იწყებს, ექვსჯერ მეტი სახელმწიფო კი ამას მომავალ ათწლეულში გეგმავს. თუმცა არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც მიმდინარე ბირთვული პროგრამების შეჩერება იგეგმება. ევროპელი ექსპერტების შეფასებით, ევროპაში ქარი ბირთვული ენერგიის სასარგებლოდ ქრის.*

*მსოფლიოში ბირთვული რეაქტორების რიცხვი და სიმძლავრეები*




**დიაგრამაზე მსოფლიოში უკვე მოქმედ ბირთვულ რეაქტორებთან ერთად, ასახულია მშენებარე და დაგეგმილი ობიექტების რიცხვი და სიმძლავრეები.**

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3562 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9973 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4897 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7980 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8386 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1742 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3080 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3119 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2960 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4678 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3458 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1720 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1596 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3600 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1966 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2467 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3981 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6121 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,2750 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6798 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3570 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2938 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5831 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6040 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0665 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1357 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4144 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5584 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4721 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5831 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8762 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2187 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1470 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4422 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2466 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4772 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0815 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2241 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2318 |




## მსოფლიოს მეორე მენავთობე

### Shell-ი დაკარგული პოზიციის დაბრუნებას ცდილობს

გოჩა ქიმუცაძე

*1999 წლამდე მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობკომპანია ბრიტანულ-ნიდერლანდური Royal Duch/Shell Group-ი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ორი ამერიკული კომპანია Exxon-ი და Mobil-ი გაერთიანდა და სანავთობე გიგანტი ExxonMobil-ი შეიქმნა, Shell-მა თავის სფეროში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ჟურნალ Forbes-ის უმდიდრეს კომპანიათა რეიტინგში კი იგი მეშვიდე ადგილზეა და უმსხვილესი ევროპული კომპანიაა. გასული წლის მონაცემების მიხედვით, მისი საბაზრო კაპიტალიზაცია 203,52 მილიარდი დოლარი გახლავთ, ხოლო შარშანდელმა შემოსავალმა 306,73 მილიარდი შეადგინა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი კომპანიამ 75,964 მილიარდი დოლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო.*
*დღეისათვის Royal Duch/Shell Group-ში შემავალი 2000-მდე კომპანია ნავთობსა და ბუნებრივ აირს მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში მოიპოვებს, დღე-ღამეში 500 ათას ტონაზე მეტ ნავთობს გადაამუშავებს და მსოფლიო ბაზრის თითქმის 10 პროცენტს აკონტროლებს. Royal Duch/Shell Group-ის ფლოტი ერთ-ერთი უმსხვილესია მსოფლიოში და 12 მილიონი ტონა საერთო ტვირთამწეობის 90-მდე ტანკერისაგან შედგება. გარდა ამისა, კომპანიის ბიზნესის ერთ-ერთ მიმართულებას ალტერნატიული ენერგომატარებლების შექმნის პროექტებზე მუშაობა წარმოადგენს.*



B3

### ონიშჩენკო 10 მილიონ ბოთლზე მეტი ბორჯომის" განადგურებას აპირებს

რუსეთის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი გენადი ონიშჩენკო უახლოეს მომავალში 10 მილიონ ბოთლზე მეტი ქართული მინერალური წყლის "ბორჯომის" განადგურებას აპირებს. იმპორტიორების საწყობში 10 მილიონ 328 ათასი ბოთლი "ბორჯომი" ინახება, რომლის ბედიც სულ მალე გადაწყდება, თუმცა, ონიშჩენკოს თქმით, მინერალური წყალი საცალო ვაჭრობაში არ გაიყიდება. რუსეთში ქართული წარმოების მინერალური წყლის რეალიზაცია მაისის დასაწყისში აიკრძალა. ონიშჩენკომ თავისი გადაწყვეტილება პროდუქციის სანიტარულ ნორმებთან შეუსაბამობით ახსნა. **მედიანიუსი**

### რუსეთმა, შესაძლოა, ღვინის იმპორტი დასავლეთ ევროპიდანაც აკრძალოს

"როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, რუსეთმა, შესაძლოა, აკრძალოს უხარისხო ღვინის იმპორტი არა მხოლოდ საქართველოდან და მოლდოვადან, არამედ სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის - ევროპიდანაც. ონიშჩენკოს თქმით, რუსეთმა უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებას საქართველოსა და მოლდოვაში წარმოებული უხარისხო ღვინის ამოღების თვალსაზრისით. თუმცა, მისი თქმით, აუცილებელია იმ ღვინომასალების კონფისკაცია, რომელთაგანაც სუროგატული ღვინო იწარმოება. "წესები და სანიტარული ნორმები ყველასათვის ერთნაირია," - აცხადებს რუსეთის მთავარი სანიტარი და დასძენს, რომ გამონაკლისს არავისთვის დაუშვებენ. მისი თქმით, "თუ აღმოჩნდა, რომ ევროპიდან შემოსული პროდუქტი ნორმებს არ შეესაბამება, ამ ქვეყნიდან იმპორტი სრულად აიკრძალება." ამგვარი ღონისძიებების გატარებას რუსეთი გერმანიაში, ესპანეთში, პორტუგალიასა და საფრანგეთში წარმოებული ღვინოების წინააღმდეგ გეგმავს. 2006 წლის აპრილსა და მაისში გატარებული სადამსჯელო ღონისძიებების შედეგად რუსეთის ბაზრებიდან ამოღებულია მოლდოვადან შემოტანილი 6 მლნ. დეკალიტრი, ხოლო საქართველოდან შემოსული 1, 5 მლნ. დეკალიტრი პროდუქცია. ზოგიერთი კანონდამრღვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ზოგიერთებს ლიცენზიები ჩამოერთვათ, სხვებზე კი გაიცა მითითება, თავად გაენადგურებინათ პროდუქცია. **ინტერპრესნიუსი**

### სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ღვინის ქარხნებიდან ნიმუშების აღება დაასრულა

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კახეთში, რაჭა-იმერეთსა და შიდა ქართლში ღვინის ქარხნებიდან ნიმუშების აღება დაამთავრა. ღვინის ქარხნებიდან აღებულ ნიმუშებს საქართველოში მოქმედ გერმანულ (Gძd) ლაბორატორიაში შეამოწმებენ, ხოლო ფალსიფიკაციის გამოვლენის შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ სერიოზული ღონისძიებები გატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოსათვის ყველაზე მისაღები, რუსეთის შემდეგ, უკრაინის ბაზარია

ამის შესახებ გუშინ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, საქართველო აღარ უნდა იყოს 90 პროცენტით რომელიმე ბაზარზე დამოკიდებული, როგორც ეს რუსეთთან მიმართებაში ხდებოდა წლების განმავლობაში, "უნდა მოხდეს ალტერნატიული რამდენიმე ბაზრის მოძიება. მათ შორის ყველაზე პერსპექტიული უკრაინის ბაზარია. ეს არის ქვეყანა, სადაც 55 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც რუსეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარია." მინისტრის თქმით, ახალ ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით საჭიროა აქტიური სარეკლამო კამპანიის წარმართვა. კიევში ყოველ რამდენიმე მეტრში უკვე დგას ქართული ღვინის სარეკლამო აბრები. რაც შეეხება რუსეთის საცალო სავაჭრო ქსელიდან "ბორჯომის" ამოღებას, მას ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გაუმართლებელი და ბარბაროსული აქტი უწოდა. "რთულია აქედან იქ "ბორჯომის" დასაცავად რაიმე ზომების გატარება. რუსეთმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ეკონომიკური მეთოდებით ახორციელებს ბინძურ პოლიტიკურ ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ. უნდა ვიყოთ ძლიერები და ახალი ბაზრები მოვიძიოთ," - განაცხადა მან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 99,29 პროცენტი შეადგინა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 19 მაისიდან 25 მაისამდე 99,29 პროცენტი შეადგინა. რაც 0,71 პროცენტით ნაკლებია გასულ კვირასთან შედარებით. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ფასების საერთო დონემ სასურსათო საქონელზე - 1,38 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონელზე - 0,10 პროცენტით, დაიწია, ხოლო მომსახურების ტარიფები კი კვლავ უცვლელი დარჩა. გასულ კვირასთან შედარებით, ფასები შემცირდა სიგარეტებზე - "პირველი" და ასტრა" (14,1 და 4 პროცენტით), პამიდორზე (12,4 პროცენტით), ხახვზე (7.9 პროცენტით), ჭარხალზე (6,2 პროცენტით), ყველზე (5,5 პროცენტით), გაყინულ თევზზე (5,1 პროცენტით), კიტრზე (1,9 პროცენტით). სამაგიეროდ, ფასები გაიზარდა სტაფილოზე (7,3 პროცენტით), კვერცხზე (6,3 პროცენტით), ადგილობრივ ლუდზე (6,0 პროცენტით), დაფქულ (მარცვლოვან) ყავაზე (0,9 პროცენტით) და ფოთლოვან კომბოსტოზე (0,7 პროცენტით). წინა კვირასთან შედარებით, ფასები შემცირდა დიზელის საწვავზე (2 პროცენტით) და ბენზინზე "რეგულარი" (0,6 პროცენტით). **ჯი-ეიჩ-ენი**

### საერთაშორისო პროექტის - "ბრენდების საერთაშორისო ლისტინგის" განხორციელება პირველ ივნისს დაიწყება

საქართველოში საერთაშორისო პროექტის - "ბრენდების საერთაშორისო ლისტინგის" განხორციელება პირველ ივნისს დაიწყება. პროექტის, რომელიც ქართული ბრენდების შეფასებასა და მათი ნუსხის (ლისტინგის) შექმნას ითვალისწინებს, დეტალური განხილვა სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დაგეგმილ პრეზენტაციაზე გაიმართება. საქართველოში აღნიშნული საერთაშორისო პროექტის განხორციელების მიზანია ქართული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - მართვის თანამედროვე სტილის დანერგვა და ეროვნული ბრენდების როგორც დსთ-ს, ასევე აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და დასავლეთის ბაზრებზე დამკვიდრება. პროექტით გათვალისწინებულია კონსალტინგი საქართველოში ბრენდების შექმნასა და განვითარების საქმეში, ქართული ბრენდების შეტანა საერთაშორისო ნუსხაში და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება პროექტის მონაწილე ყველა ქვეყანაში საერთაშორისო ნუსხის გამოქვეყნების გზით.

როგორც პროექტის ორგანიზატორები აცხადებენ, პროექტის შემდგომ ეტაპზე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის უშუალო ხელშეწყობით, გათვალისწინებულია პროექტის მონაწილე ქვეყნებში ქართული ბრენდის დაპატენტების უზრუნველყოფა და უცხოეთში დაცვის მექნიზმების შემუშავება. **ინტერპრესნიუსი**

# ქართველი მეწარმეების შანსი ლუდის ხარისხის გაუმჯობესებაა

პირველი გვერდიდან

## ზოგადი მიმოხილვა

უკანასკნელი წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ალკოჰოლურ სასმელებს შორის ლუდი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მისი მოხმარება წელიწადში საშუალოდ 10-15 პროცენტით იზრდება.

სხვა ალკოჰოლურ სასმელებთან შედარებით, ლუდის ასეთ ფართო მოხმარებას, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მისი ხელმისაწვდომი ფასიც განაპირობებს.

ბაზარზე ჯერჯერობით ისევ სამამულო წარმოების ლუდი ჭარბობს. ის დაახლოებით ბაზრის 80 პროცენტზე მეტს შეადგენს, თუმცა იმპორტირებული ლუდის რაოდენობა ქვეყანაში ისე სწრაფად იზრდება, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მეწარმე ქართული წარმოების გაჩერების საფრთხეებზე საუბრობს.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ლუდის წარმოება წელიწადში საშუალოდ 15 პროცენტით იზრდება, რასაც ადგილობრივი მოხმარების გარდა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართულ ლუდზე გაზრდილი მოთხოვნაც განაპირობებს. სამამულო წარმოების ლუდის ექსპორტი, ბოლო რამდენიმე წელია, წარმატებით ხორციელდება.

ეს ბიზნესი - როგორც იმპორტი, ისე წარმოება - სეზონურია და ამას ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე ციფრიც ადასტურებს. საქართველოში როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული ლუდის მოხმარება ზამთარში მნიშვნელოვნად კლებულობს. ლუდის წარმოება საქართველოში პიკს, აპრილიდან მოყოლებული, სექტემბრის ჩათვლით აღწევს. დანარჩენ თვეებში, შესაბამისად, მცირდება ლუდის წარმოებაც და იმპორტიც. თუმცა ეს მაჩვენებელი სხვადასხვა კომპანიებისთვის ერთნაირი არ არის. მაგალითად, კომპანია "თბილლუდში" აცხადებენ, რომ მათი წარმოება ზამთრის სეზონზე, ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით, თითქმის 80 პროცენტით მცირდება. დაახლოებით 55 პროცენტით მცირდება კომპანია "ლომისის" მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. კომპანია "ყაზბეგი" კი ლუდის წარმოებას ამ პერიოდში მხოლოდ 30 პროცენტით ამცირებს.

## იმპორტი

უცხოური წარმოების ლუდის მოზღვავება ადგილობრივ ბაზარზე განსაკუთრებით შესამჩნევი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გახდა. 2003 წლიდან მოყოლებული, ლუდის იმპორტი წელიწადში საშუალოდ 100 პროცენტით იზრდება.

მარტივი შედარებისთვის: თუკი 2004 წელს ქვეყანაში შემოტანილი უცხოური წარმოშობის ლუდის წილმა იმპორტირებულ ალკოჰოლურ სასმელში 21.5 პროცენტი შეადგინა. 2005 წელს იგივე მაჩვენებელმა 28.7 პროცენტს მიაღწია, მიმდინარე წლის მარტო პირველ სამ თვეში კი - თითქმის 33 პროცენტს.

იმპორტირებული ლუდის მოცულობა დეკალიტრებსა და ღირებულებებში ასე გამოიყურება: 2004 წელი - 3 მილიონ 361 ათასი ლიტრი, რომლის საერთო ღირებულებამ 2 მილიონ 250 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. 2005 წელს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა შემდეგი მონაცემები დააფიქსირა - 5 მილიონ 257 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 9 მილიონ 246 ათასი ლიტრი. მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში კი ქვეყანაში 590 ათასი აშშ დოლარის (1 მილიონ 84 ათასი ლიტრი) ღირებულების ლუდი შემოვიდა.

საერთო ჯამში, ქვეყანაში რეალიზებული ლუდის 15 პროცენტი იმპორტირებულზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი შარშან მთელი წლის განმავლობაში 9 პროცენტს აჭარბებდა, ხოლო 2004 წელს მხოლოდ 5 პროცენტს აღწევდა.

ლუდის ადგილობრივი მწარმოებლები იმპორტის ასეთ მკვეთრ ზრდას უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით ხსნიან. **"აშკარაა, რომ ხელისუფლება იმპორტირებულ ლუდს, განსაკუთრებით, რუსულ და უკრაინულ ლუდს ლობირებს, რასაც ბაზარზე უცხოური ლუდის განსაკუთრებული ზრდა მოჰყვა,"** - აღნიშნავენ მეწარმეები.

ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ ლუდის იმპორტიორ ქვეყნებს შორის მართლაც უკრაინა ლიდერობს. წელს, იანვრიდან მარტის თვის ჩათვლით უკრაინიდან საქართველოში 180 ათასი აშშ დოლარის 445 ათასი ლიტრი ლუდი შემოვიდა, რაც საერთო იმპორტის თითქმის 50 პროცენტს შეადგენს.

ქართველი მეწარმეები შიშობენ, რომ ახალი საბაჟო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ ქვეყანაში იმპორტირებული ლუდის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. კოდექსის არსებული პროექტი, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო, იმპორტირებულ ლუდზე საბაჟო გადასახადს 12-დან 5 პროცენტამდე ამცირებს.

ერთი საინტერესო დეტალი: თუკი 2005 წელს საქართველოში 30-მდე მეწარმე-სუბიექტი იყო რეგისტრირებული, რომლებიც ქვეყანაში უცხოური ლუდის იმპორტით იყვნენ დაკავებულნი, წელს მათი რაოდენობა 60-მდე გაიზარდა. მათ შორის უმრავლესობა - მცირე შპს და ინდივიდუალური მეწარმეები არიან, რომლებიც ლუდის იმპორტს, ძირითადად, ზაფხულის თვეებში ახორციელებენ. ლუდის იმპორტიორთა გრძელ ნუსხაშია ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომპანია "თბილღვინო" და, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, კომპანია "ლომისი", რომელსაც საქართველოში, ლუდის წარმოებისა და რეალიზაციის მიხედვით, სს "ყაზბეგის" შემდეგ მეორე ადგილი უკავია.

დღეისათვის საქართველოში 40-ზე მეტი დასახელების უცხოური ლუდი შემოდის.

*ლუდის იმპორტი ქვეყნების მიხედვით*

| ქვეყნების დასახელება | 2004 | | 2005 | | 2006 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1000 აშშ დოლარი | ლიტრი | 1000 აშშ დოლარი | ლიტრი | 1000 აშშ დოლარი | ლიტრი |
| უკრაინა | 31.7 | 55,121.0 | 2,179.8 | 4,702,805.8 | 179.8 | 444,586.0 |
| ბელგია | - | - | 69.9 | 42,596.9 | - | - |
| ბულგარეთი | 7.6 | 9,500.0 | - | - | - | - |
| ჩეხეთი | 86.2 | 87,716.0 | 118.7 | 125,283.2 | 10.5 | 13,500.0 |
| გერმანია | 242.0 | 240,718.3 | 229.3 | 204,585.1 | 39.7 | 40,891.5 |
| ირლანდია | 37.3 | 34,560.0 | 10.6 | 11,520.0 | - | - |
| ნიდერლანდები | 248.5 | 189,030.0 | 402.5 | 412,585.4 | 76.4 | 82,090.6 |
| რუსეთი | 1,256.4 | 2,150,971.0 | 1,834.2 | 3,023,315.0 | 222.5 | 394,649.8 |
| სომხეთი | 143.7 | 271,200.0 | 208.1 | 395,060.0 | 30.6 | 59,280.0 |
| შვეიცარია | 2.1 | 1,331.0 | - | - | - | - |
| თურქეთი | 194.0 | 321,093.0 | 204.5 | 328,812.8 | 30.5 | 48,544.9 |
| **სულ** | **2,249.4** | **3,361,240.3** | **5,257.4** | **9,246,564.2** | **590.0** | **1,083,542.8** |

*ლუდის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით*

| ქვეყნების დასახელება | 2004 | | 2005 | | 2006 3 თვე | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1000 აშშ დოლარი | ლიტრი | 1000 აშშ დოლარი | ლიტრი | 1000 აშშ დოლარი | ლიტრი |
| ყირგიზეთი | 25.4 | 16,941.0 | - | - | - | - |
| ალბანეთი | - | - | 0.1 | 80.0 | - | - |
| აშშ | 7.9 | 9,765.0 | - | - | - | - |
| აზერბაიჯანი | 107.9 | 65,617.0 | 33.8 | 31,878.3 | - | - |
| ბელგია | 0.5 | 1,080.0 | - | - | - | - |
| გერმანია | 2.4 | 2,280.0 | - | - | - | - |
| ისრაელი | 0.0 | 9.0 | - | - | - | - |
| იტალია | - | - | 0.1 | 93.0 | - | - |
| კაიმანის კუნძულები | - | - | 0.1 | 112.0 | - | - |
| კვიპროსი | - | - | 9.7 | 14,612.0 | - | - |
| ლიბერია | 0.1 | 50.0 | 0.9 | 752.0 | 0.3 | 660.0 |
| ნიდერლანდები | - | - | 14.4 | 12,960.0 | - | - |
| ნორვეგია | 0.2 | 200.0 | - | - | - | - |
| რუსეთი | 0.1 | 60.0 | 0.1 | 109.0 | - | - |
| საბერძნეთი | - | - | 1.8 | 2,268.0 | - | - |
| საფრანგეთი | - | - | 0.2 | 300.0 | - | - |
| სომხეთი | - | - | 147.8 | 132,075.7 | 69.4 | 65,632.1 |
| უნგრეთი | - | - | 1.0 | 1,620.0 | - | - |
| **სულ** | **144.4** | **96,002.0** | **210.0** | **196,860.0** | **69.7** | **66,292.1** |

## ექსპერტის შეფასება

*ახალი საბაჟო კოდექსი, რომელსაც პარლამენტი უახლოეს მომავალში დაამტკიცებს, ქართული ლუდის მწარმოებლებს სერიოზულად აშინებთ. მათი მტკიცებით, კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ ბაზარზე იმპორტირებული ნაწარმის წილი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ქართულ ლუდის გაყიდვის მაჩვენებელს შეამცირებს. ემუქრება თუ არა რეალურად ქართულ წარმოებას საფრთხე და რა გავლენას მოახდენს ახალი საბაჟო კოდექსი ბაზარზე? ამ საკითხზე "24 საათი" "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" თავმჯდომარეს დავით ნარმანიას ესაუბრა.*

"საბაჟო გადასახადის ასეთი მკვეთრი კლება, ბუნებრივია, ლუდის იმპორტზე ხარჯების შემცირებას გამოიწვევს. იმპორტირებული ლუდის თვითღირებულება საქართველოში შემცირდება და ბაზარზე, ადგილობრივ წარმოებასთან მიმართებაში, ის უფრო კონკურენტული გახდება. ადგილობრივ ნაწარმთან შედარებით, იმპორტირებული ლუდი უფრო ძვირი ღირს. ადგილობრივ წარმოებას ცვლილება მნიშვნელოვნად რომ არ შეეხოს, ვფიქრობ, რომ ქართულმა ლუდმა ადგილობრივ ბაზარზე საკუთარი ნიშა ხარისხით უნდა შეინარჩუნოს.

არის მომხმარებელთა კატეგორია, რომელიც იმპორტირებულ ლუდის ხარისხს ანიჭებს უპირატესობას და ის ყოველთვის მზად არის უფრო მეტი გადაიხადოს. არის მეორე კატეგორია, რომელიც დაბალი ფასის გამო ადგილობრივ წარმოებას ეტანება.

ამ კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, მე ვერ ვხედავ ადგილობრივი წარმოებისთვის მნიშვნელოვან და საგანგაშო საფრთხეს.

მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო გადასახადი თითქმის ნახევრდება, ეს მაინც არ გამოიწვევს იმპორტიებული და ადგილობრივი ლუდის ფასების გათანაბრებას. იმპორტირებულის ფასი კი შემცირდება, მაგრამ ქართული წარმოების ლუდთან შედარებით, ის მაინც ძვირი ეღირება.

თუმცა ერთი რამ ცხადია, ახალი კოდექსის მიღების შემდეგ იმპორტირებული ლუდის რაოდენობა ქართულ ბაზარზე გაიზრდება. თუმცა, ეს მოხდება უფრო გრძელვადიან პერიოდში და არა მყისიერად.

ჩემი აზრით, ცვლილება საბაჟო კოდექსში ქართული წარმოებისთვის სტიმული უნდა გახდეს, რათა ზოგიერთმა მეწარმემ ხარისხი გაუმჯობესოს, ზოგმა კი არსებული მაღალი ხარისხი შეინარჩუნოს."

## ადგილობრივი წარმოება

საქართველოში ადგილობრივი ლუდის წარმოება შარშან, 2004 წელთან შედარებით, თითქმის 20 პროცენტით გაიზარდა. ამის მიზეზად ლუდის მწარმოებელი კომპანიები, "24 საათთან" საუბრის დროს, ამ ალკოჰოლურ სასმელზე გაზრდილ მოთხოვნას ასახელებენ, როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, შარშან მთელი წლის განმავლობაში ქვეყანაში 34 მილიონ 864 ათასი ლარის ღირებულების ლუდი ჩამოისხა, ხოლო 2004 წელს იგივე მაჩვენებელმა 44 მილიონ ლარს მიაღწია.

გასული წლის მონაცემებით, საქართველოში ლუდის 15 საწარმო ფუნქციონირებდა, აქედან 6 მათგანი თბილისში იყო და დაახლოებით 32 დასახელების პროდუქტს აწარმოებდა.

ლუდის ადგილობრივ მეწარმეებს ალკოჰოლური სასმელისთვის საჭირო ნედლეულის თითქმის 95 პროცენტი გერმანიიდან და ჩეხეთიდან შემოაქვთ. რაც შეეხება ლუდის ჩამოსასხმელ ტარას, მეწარმეები ამ შემთხვევაში ყველაზე ხშირად ადგილობრივ პროდუქციას იყენებენ. მათ მინის ქილები იშვიათად რუსეთიდანაც შემოაქვთ.

საქართველოში წარმოებულ ლუდში ალკოჰოლის მინიმალური შემცველობა 3.5 პროცენტი, მაქსიმალური - 7.5 პროცენტია. 5.5 პროცენტი - ეს ის მაჩვენებელია, რასაც ადგილობრივი ლუდი ყველაზე ხშირად შეიცავს. რაც შეეხება სიმკვრივეს, საქართველოში წარმოებული ლუდის სიმკვრივის საშუალო მაჩვენებელი 10-დან 12-მდე მერყეობს.

## ექსპორტი

უკანასკნელი რამდენიმე წელია, ზოგიერთ ქართველი მეწარმე ლუდის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანითაც არის დაკავებული. გასული წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქართული ლუდი საზღვარგარეთ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება და, შესაბამისად, წლიდან წლამდე იზრდება ლუდის ექსპორტის მოცულობაც. ასე, მაგალითად: თუკი 2004 წელს 145 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 92 ათასი ლიტრი ლუდი გავიდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, 2005 წელს იგივე მაჩვენებლებმა 210 ათასი აშშ დოლარი და 197 ათასი ლიტრი შეადგინა. 2006 წლის იანვარ-აპრილში ლუდის ექსპორტმა 70 ათას აშშ დოლარს (66 ათას 293 ლიტრი) მიაღწია.

ოცდაათამდე შპს და სააქციო საზოგადოებაა რეგისტრირებული, რომლებსაც ქართული წარმოების ლუდი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააქვთ. საექსპორტო ქვეყნების რაოდენობა 18-ს აღწევს. სომხეთში ყველაზე მეტი რაოდენობის ქართული ლუდი იყიდება. შარშან ამ მეზობელ სახელმწიფოში 132 ათასი ლიტრი ლუდი გაიყიდა, წელს კი პირველ კვარტალში - 65 ათას ლიტრზე მეტი.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, 3000 ლიტრამდე ქართული ლუდი 2004 წელს - გერმანიაში და 1000 ლიტრზე ცოტა მეტი ბელგიაშიც კი გაიყიდა.

ქართული ლუდის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია კომპანია "ყაზბეგი", რომლის წლიური წარმოების დაახლოებით 7-8 პროცენტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადის.

## "ყაზბეგი" - ბაზრის უცვლელი ლიდერი

ლუდის ბაზარზე წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, კომპანია "ყაზბეგი" ლიდერობს. როგორც კომპანიის მარკეტინგის სამსახურის უფროსმა ლადო გაწერელიამ განაცხადა, "ყაზბეგის" პროდუქციას დღეს ადგილობრივ ბაზარზე 65-70 პროცენტი უკავია, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია შარშან 8 დასახელების ლუდს აწარმოებდა, დღეს კი მხოლოდ 4-ს. "ყაზბეგის" წარმოება, გასულ წელთან შედარებით, წელს 8 პროცენტით გაიზარდა. 2005 წელს კომპანია "ყაზბეგმა" 40 მილიონ ბოთლზე მეტი ლუდი აწარმოა.

"ყაზბეგს" ლუდის ჩამოსასხმელი სამი ქარხანა გააჩნია, ორი - თბილისში და ერთიც - რუსთავში.

ყველაზე მეტი მოთხოვნა - 80 პროცენტი - კომპანიის ყველაზე ცნობილ ბრენდზე "ყაზბეგზე" მოდის, დანარჩენი 20 პროცენტი თითქმის თანაბრად ნაწილდება "თბილისურზე", "თოფაძესა" და "პორტერზე". კომპანიის მარკეტინგის სამსახურის უფროსის თქმით, "ყაზბეგის" მიერ წარმოებული პროდუქციის თითქმის 7-8 პროცენტი ზაფხულის თვეებში ექსპორტზე გადის.

კომპანია "ყაზბეგის" პროდუქციის ექსპორტირება 1998 წლიდან დაიწყო. ძირითადი საექსპორტო ბაზარი დსთ-ს სახელმწიფოებია: რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი. როგორც კომპანიაში აცხადებენ, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, "ყაზბეგის" ლუდის შეძენა შესაძლებელია აშშ-ში, საბერძნეთში, კვიპროსზე, გერმანიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. კომპანიაში სიამაყით აცხადებენ, რომ "ყაზბეგი" პირველი ქართული კომპანიაა, რომლის პროდუქცია ერაყში გაიგზავნა. **"შარშან ჩვენი პროდუქციის გარკვეული ნაწილი ერაყსა და კორეაშიც გავიდა. ახლახან გავაფორმეთ ხელშეკრულება და მალე ჩვენი პროდუქცია გერმანიაშიც გავა. "ყაზბეგის" საექსპორტო გეოგრაფია ყოველწლიურად ფართოვდება,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრის დროს "ყაზბეგის მარკეტინგის სამსახურის უფროსმა.

## "ლომისს" საკუთარ წარმოებაზე საუბარი არ სურს

შპს "ლომისი", რომელიც ქართულ ბაზარზე 1991 წლიდან გაჩნდა, დღეს რიგით მეორე, ლუდის მწარმოებელი მსხვილი კომპანიაა. საწარმომ ბაზარზე პოზიციები შარშან კიდევ უფრო გაიმყარა, როდესაც ახალი ლუდსახარში გახსნა. "თიბისი ბანკისგან" მიღებული 7 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის კრედიტის მიღების შემდეგ, "ლომისმა" ნატახტარში უახლესი ტექნოლოგიების მქონე ქარხანა გახსნა. ახალი საწარმოს პრეზენტაციაზე კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი კახა პაიჭაძე თავმომწონედ აცხადებდა, რომ "ნატახტრის" სიმძლავრეები სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ლუდზე მათ საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნის 75 პროცენტი დაეკმაყოფილებინათ. ორიოდე დღის წინ "24 საათი" კომპანიის ამჟამინდელი მუშაობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად კომპანია "ლომისს", უშუალოდ კი, კახა პაიჭაძეს დაუკავშირდა. "ლომისის" მარკეტინგის მენეჯერმა "24 საათთან" საუბარი არ ისურვა და, შესაბამისად, მან ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განგვიცხადა. **"არ მინდა და არაფერს არ გეტყვით,"** - აი, ასე პასუხობს ჟურნალისტებს ამ კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი. "2001 წელს "ლომისი", უახლესი ტექნიკით მსხვილმასშტაბიანი გადაიარაღების შემდეგ, ჩამოყალიბდა, როგორც რესპუბლიკური მნიშვნელობის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი საწარმო," - ციტატა კომპანია "ლომისის" ოფიციალური ვებგვერდიდან.

შარშანდელი მონაცემებით (რომელიც "24 საათს" გასულ წელს კომპანიის სადისტრიბუციო სამსახურმა უპრობლემოდ მიაწოდა), "ლომისის" წილი ადგილობრივ ბაზარზე 18 პროცენტი შეადგინა.

კომპანია სამი დასახელების ლუდს აწარმოებს და მათზე მოთხოვნა, როგორც კომპანიის სადისტრიბუციო სამსახურში განაცხადეს, შარშან თანაბრად ნაწილდებოდა. "ლომისის" წარმოება შარშან, 2004 წელთან შედარებით, 5 პროცენტით იყო გაზრდილი. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 3 პროცენტი ექსპორტზე მეზობელი სომხეთის რესპუბლიკაში გადის. **"მოლაპარაკებას ვაწარმოებთ სხვა ქვეყნებთან და, შესაძლოა, მომავალ წელს საექსპორტო ქვეყნებს შორის კიდევ რამდენიმე ქვეყანა გამოჩნდეს,"** - აღნიშნავდნენ "ლომისის" სადისტრიბუციო სამსახურში.

"ლომისი", ბოლო 15 წელიწადია, ქართული ლუდის წარმოებით არის დაკავებული. როგორც კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზეა ნათქვამი, დაფუძნების პირველ, 1991 წელს "ლომისის" ქარხანაში დღეში საშუალოდ 90 ბოთლი ლუდი ისხმებოდა. 2006 წლის მონაცემებზე კი კომპანიაში საუბარი გაურკვეველი მიზეზების გამო არ სურთ.

## "კასტელი" წარმოებას 100 პროცენტით ზრდის

გასული წლის მონაცემებით კომპანია "კასტელს" ლუდის წარმოებისა და რეალიზაციის მიხედვით საქართველოს ბაზარზე მესამე ადგილი ეკავა. მისმა წილმა ადგილობრივ ბაზარზე 2005 წელს 15 პროცენტი შეადგინა. კომპანიის კომერციული დირექტორი გიორგი ჯიქია "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე "კასტელი" წარმოების გაორმაგებას გეგმავს. შარშან კომპანიამ 60 ათასი ჰექტოლიტრი ლუდი აწარმოა. **"120 ათასი ჰექტოლიტრი - ეს ჩვენი 2006 წლის გეგმაა. ვფიქრობთ, რომ წელს ბაზარზე ვითრება რადიკალურად შეიცვლება და ბაზარზე "კასტელი" მეორე ადგილს დაიკავებს",** - განაცხადა გიორგი ჯიქიამ.

"კასტელი" შვიდი დასახელების ლუდს აწარმოებს, აქედან ყველაზე დიდი მოთხოვნა "ალუდაზე" დაფიქსირდა. კომპანიის მიერ რეალიზებული ლუდის 30 პროცენტი სწორედ ამ ბრენდზე მოდის. კომერციული დირექტორის ინფორმციით, დანარჩენი 70 პროცენტი თითქმის თანაბრად ნაწილდება "კასტელის" დანარჩენ ექვს ბრენდზე.

"კასტელს" რამდენიმე წლის წინათ საკუთარი წარმოების გარკვეული ნაწილი რუსეთში გაჰქონდა, თუმცა ამ დროისთვის კომპანიას ექსპორტი დროებით შეჩერებული აქვს. გიორგი ჯიქიას ინფორმციით, ამჟამად "კასტელი" მოლაპარაკებებს აწარმოებს უკრაინელ და ერაყელ დისტრიბუტორებთან და შესაძლოა, წლის ბოლოს, ან მომავალი წლიდან მაინც, კომპანიამ ლუდის ექსპორტი ამ ქვეყნებში დაიწყოს.

"კასტელი" კავკასიაში, სადაც ქართულ ლუდზე ყველაზე დიდი მოთხოვნაა, ექსპორტს არ გეგმავს, იმ უბრალო მიზეზით, რომ მას საკუთარი საწარმოები გააჩნია სომხეთსა და აზერბაიჯანში.

"კასტელს" ლუდის წარმოებისთვის საჭირო ნედლეული ძირითადად გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ჩეხეთიდან შემოაქვს.

როგორც გიორგი ჯიქიამ "24 საათს" განუცხადა, "კასტელის" წარმოება ზამთრის თვეებში თითქმის ხუთჯერ მცირდება.

## "თბილლუდს" იმპორტული ლუდი აშინებს

წელსაც, ისევე როგორც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ლუდის ბაზარზე წარმოებისა და რეალიზაციის მხრივ მეოთხე პოზიცია კომპანია "თბილლუდს" უკავია. კომპანიის გენერალური დირექტორი ნუგზარ მდივანი ამბობს, რომ წელს მისი წილი ადგილობრივ ბაზარზე 7 პროცენტამდე შემცირდა. (გასულ წელს "თბილლუდის" წილი 10 პროცენტს აღწევდა). 2005 წელს კომპანიამ 3 მილიონ 200 ათასზე მეტი ბოთლი ლუდი და დაახლოებით 10 ტონა ჩამოსასხმელი ლუდი აწარმოა, თუმცა წელს საწარმოში ამ ციფრის მნიშვნელოვნად შემცირებას ვარაუდობენ. როგორც ნუგზარ მდივანი ამბობს, გასულ ხუთ თვეში, შარშანდელთან შედარებით, კომპანიამ 40 პროცენტით ნაკლები ლუდი აწარმოა. ამის მიზეზად კომპანიის გენერალური დირექტორი ბაზარზე დაბალფასიანი იმპორტირებული ლუდის მოზღვავებას ასახელებს. ნუგზარ მდივანი იმასაც ამბობს, რომ უცხოური ლუდის დიდი ნაწილი ქვეყნის ფარგლებში აღურიცხავად და კონტრაბანდული გზით შემოდის.

გასულ წლებში კომპანია "თბილლუდი" დღეში 200 ათას ბოთლ ლუდს ასხამდა, დღეს კი ეს მაჩვენებელი, როგორც საწარმოს დირექტორი ამბობს, 15 ათას ბოთლამდე შემცირდა.

**"ძალიან გაჭირდა ლუდის რეალიზაცია. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ჩვენს წარმოებას საერთოდ აზრი აღარ ექნება,"** - უთხრა "24 საათს" "თბილლუდის" გენერალურმა დირექტორმა.

კომპანიის პროდუქციის რეალიზაცია ამჟამად მთლიანად საქართველოში ხდება, თუმცა რამდენიმე წლის წინ "თბილლუდის" პროდუქციას, როგორც ნუგზარ მდივანი ირწმუნება, მეზობელი "აზერბაიჯანის" გარდა, გერმანიასა და ბულგარეთშიც სვამდნენ. დღეს კომპანია სამი დასახელების ლუდს აწარმოებს, აქედან ყველაზე დიდი მოთხოვნა "შატილზეა". "თბილლუდის" წარმოებული პროდუქციის 65 პროცენტი სწორედ "შატილზე" მოდის, დანარჩენი 35 პროცენტი - "ხევსურულსა" და "თუშურზე."

**P.S** 2004 წელს ლუდის სეზონზე (ზაფხულში) კომპანიებმა "ლომისმა" და "ყაზბეგმა" მომხმარებელს, პირველად საქართველოში, ალუმინის ქილაში ჩამოსხმული ლუდი შესთავაზეს. ამ სიახლემ მომხმარებლის ყურადღება გამოჩენისთანავე მიიპყრო, რაც შესაბამისად აისახა მის წარმოებასა და რეალიზაციაზე. ლადო გაწერელია ამბობს, რომ შარშან, თუნუქის ქილაში წარმოებული ლუდის ოდენობა კომპანია "ყაზბეგის" შემთხვევაში უკვე 15 პროცენტზე ავიდა.

## ამერიკის ფინანსთა მინისტრი თანამდებობას დატოვებს



ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი ჯონ სნოუ "დიდი რვიანის" სამიტის დასრულების შემდეგ დაკავებული თანამდებობიდან გადადგება. "დიდი რვიანის" სამიტი ივნისში, სანკტ-პეტერბურგში ჩატარდება. 66 წლის ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან წასვლის შესახებ პირველი ინფორმაცია 2006 წლის აპრილის დასაწყისში გავრცელდა, თუმცა ფინანსთა მინისტრის პოსტის გათავისუფლების კონკრეტული ვადები მაშინ არ დაუსახელებიათ. Wall Street Journal Online-ის ინფორმაციით, თეთრი სახლი სნოუს თანამდებობიდან გადადგომისა და, შესაბამისად, ახალი მინისტრის დანიშვნის შესახებ ოფიციალურ განცხადებას სანკტ-პეტერბურგის სამიტის დაწყებამდე გააკეთებს. ფინანსთა მინისტრის პოსტზე რამდენიმე შესაძლო კანდიდატურა მოიაზრება. მათ შორის არიან ვაჭრობის მინისტრი კარლოს გუტიერეზა, ენერგეტიკის მინისტრი სამუელა ბოდმანი, ვაჭრობის მინისტრის ექსმეთაური დონა ევანსა და ჯორჯ ბუშის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში სტივენ ფრიდმანი. ამასთან, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სნოუს გადადგომის კონკრეტული მიზეზები მისთვის ცნობილი არ არის. "ის თავის საქმეს შესანიშნავად უძღვებოდა," - აცხადებს ჯორჯ ბუში. ჯონ სნოუს წასვლის შესახებ ოფიციალური კომენტარის გაკეთებისგან, ამ ეტაპზე, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები თავს იკავებენ.

## საერთაშორისო საფინანსო ბირჟები დროებით დაიხურება

მსოფლიოს წამყვანი, ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟები გუშინ დახურული იყო. 29 მაისს დიდ ბრიტანეთში - ბანკის დღე, აშშ-ში კი მიტევების დღე აღინიშნება. ამავდროულად, ეს დღე აშშ-ში ზაფხულის საავტომობილო სეზონის ოფიციალურ დასაწყისად ითვლება. სანავთობო ბირჟების დახურვის მიზეზი სწორედ ამაში მდგომარეობს. ვაჭრობა ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე დღეს, 30 მაისს განახლდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მადრიდში საერთაშორისო ავტოსალონი გაიხსნა

ესპანეთის დედაქალაქში მეექვსე საერთაშორისო ავტოსალონი გაიხსნა. 120 ათას კვადრატულმეტრიან დარბაზში და რვა პავილიონში საკუთარ პროდუქციას 193 კომპანია განათავსებს. სალონის მსოფლიო პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო კომპანია KIA Carens-ის, Toyota Avensis-ის, CitroeN C4-ის (რომლებიც გაყიდვაში უახლოეს მომავალში ჩინეთის და ევროპის ბაზარზე გამოვა) და, ასევე, Citroen-ის კიდევ ერთი ახალი ორკარიანი ავტომობილი C-buggy. როგორც მოსალოდნელია, უახლოეს დღეებში ამ ახალ ავტოსალონს ავტომობილების მოყვარული, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსიც ეწვევა. მადრიდის ავტოსალონი კოლექციონერებს ანტიკვარული ავტომობილების გამოფენის საშუალებასაც მისცემს.

## იაპონია ეკონომიკის დამოუკიდებლობაზე ფიქრობს

იაპონიის მთავრობა ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობს. ქვეყნის ენერგეტიკის სპეციალური კომიტეტი გამოვიდა განცხადებით, რომ მოხდეს უცხოურ ნავთობზე ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულების შემცირება, 50%-დან 40%-მდე. მოხსენებაში, ასევე, ნათქვამია, რომ 2030 წლისთვის ატომური ელექტროსადგურების წილმა ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში უნდა შეადგინოს 40%. ამავე დროისთვის ივარაუდება იაპონიაში ავტომობილების 20%-ის გადაყვანა საწვავის ალტერნატიულ წყაროებზე, მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უცხოეთში ნავთობის დამოუკიდებლად დამუშავების საკითხს. ექსპერტთა რეკომენდაციით, მთავრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ 2030 წლისთვის იაპონიაში იმპორტირებული ნავთობის 40% მოპოვებულ იქნეს იმ საბადოებზე, რომლის დამუშავებაც ხდება იაპონიის კაპიტალის მიერ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# მსოფლიოს მეორე მენავთობე

*პირველი გვერდიდან*

### ნიჟარების გამყიდველიდან როკფელერის კონკურენტამდე

1750 წელს ნიდერლანდებიდან ლონდონის უღარიბეს უბანში გადაბარგებული ებრაელი ვაჭრების შთამომავალი მარკუს სამუელი მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში თავს ეგზოტიკური ნივთებით ვაჭრობით ირჩენდა, რომლებსაც დოკებში მეზღვაურებისაგან ყიდულობდა. ასე ზრდიდა იგი ორ შვილს - მარკუს უმცროსს და სამუელს, და თავისი საქმის მათთვის გადაცემას აპირებდა.

ზღვის ნიჟარებისაგან დამზადებული სამკაულებითა და ზარდახშებით ვაჭრობით სამეულმა თანდათანობით ფული იშოვნა და კოლონიური პროდუქციის ასორტიმენტი გვარიანად გაზარდა. როცა 1869 წელს ოჯახურ ფირმაში 16 წლის მარკუს უმცროსმა კლერკის თანამდებობა დაიკავა, ბიზნესის მასშტაბებით სიამაყის საშუალება ჰქონდა: მისი ოჯახი წარმატებით ახორციელებდა საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებს, მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა მთელს აღმოსავლეთ აზიაში მიმოფანტულ ბრიტანეთის სავაჭრო სახლებთან.

ეს მეტად საინტერესო დრო იყო: საქმიანი სამყარო პროგრესის მიღწევებს ითვისებდა, სათანადოდ დააფასეს ტელეგრაფის და თბომავლების უპირატესობა. ბიზნესმენები სუეცის არხის გახსნის შედეგად გაჩენილ პერსპექტივებზე მსჯელობდნენ და ამერიკელ როკფელერზე, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში ლეგენდად იქცა, აღტაცებით საუბრობდნენ. მარკუს სამუელს, რომელსაც, ალბათ, როკფელერი არაერთხელ უხსენებია, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ უახლოეს მომავალში სწორედ იგი დაუსვამდა წერტილს როკფელერისა და მისი Standard Oil-ის სანავთობე მონოპოლიას.

სამუელმა მაშინ არც ის იცოდა, რომ ნავთობის ბაზარი სამი მთავარი კონკურენტის - როკფელერის, ძმები ნობელების და როტშილდის ოჯახის ბრძოლის არენად იყო ქცეული. ნობელებმა და როტშილდებმა, რომლებიც "შავ ოქროს" რუსეთის იმპერიის კუთვნილ აფშერონის ნახევარკუნძულზე მოიპოვებდნენ, როკფელერის წინააღმდეგ გაერთიანება რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს.

ამის შემდეგ როტშილდებმა გადაწყვიტეს, ეპოვნათ ადამიანი, რომელსაც ბაქოს ნავთობის გასაღებს ჩააბარებდნენ. მათ ორგანიზატორული თვისებებით დაჯილდოებული, ცოტათი ავანტიურისტი საქმოსნის მოძებნა ცნობილ ლონდონელ მაკლერ ფრედერიკ ლეინს დაავალეს, რომელმაც თავისი ძველი ნაცნობი და კლიენტი მარკუს სამუელ უმცროსი შესთავაზა.

### თამამი იდეა

ამ დროისათვის მარკუსი უკვე მდიდარი კაცი იყო. მან და მისმა ძმამ მამის ბიზნესი გააფართოეს, მათი სავაჭრო ფირმა ლონდონსა და იოკაჰამაში წარმატებით მოღვაწეობდა. მაგრამ სამუელს მეტი სურდა. უნდოდა, ისეთი მასშტაბებისათვის მიეღწია, რომელიც ისტ-ენდელ კაცს საზოგადოებაში საპატიო ადგილის დაკავების საშუალებას მისცემდა. ამიტომ, როცა ლეინმა როტშილდების ნავთობის ბიზნესის გაძღოლა შესთავაზა, დაუფიქრებლად დაეთანხმა.

ცხადია, მარკუსს მშვენივრად ესმოდა, ვის უნდა დაპირისპირებოდა. სიტუაციის გაანალიზების შემდეგ მან გადაწყვიტა, რომ როკფელერთან ბრძოლა დემპინგური ფასებით, Standard Oil-ისათვის ტრადიციულ ბაზარზე ტოტალური "დესანტით" და თავისი საქმიანობის სრული გასაიდუმლოებით ეწარმოებინა.

1890 წელს სამუელი და ლეინი, სიტუაციის ადგილზე გასაცნობად, რუსეთში გაემგზავრნენ. იქ მარკუსმა ნახა პირველი, მეტად პრიმიტიული ნავთობმზიდი გემი, შეიძლება ითქვას, დღევანდელი ტანკერების წინაპარი. მან უმალ გადაწყვიტა, რომ როკფელერთან საბრძოლველად საჭირო იყო ამგვარი გემის სრულყოფა და მისი სეუცის არხში გატარების უფლების მიღება. Standard Oil-ს თავისი ნავთობი კასრებით იალქნიან გემებზე გადაჰქონდა, რაც მიწოდების მოცულობას ზღუდავდა. თანაც, იმის გამო, რომ სუეცის არხი, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მოსაზრებით, მისთვის დაკეტილი იყო, გემები კეთილი იმედის კონცხის შემოვლით დაცურავდა, რაც გზას 4 ათასი მილით აგრძელებდა.



მარკუს სამუელი.



რუსეთიდან სამუელმა აზიას მიაშურა და მხარდაჭერის საძებნელად ყველა ბრიტანული სავაჭრო სახლი, რომლებთანაც თავის დროზე მამამისი თანამშრომლობდა, შემოიარა. მისი მისია წარმატებული აღმოჩნდა, ლონდონში დაბრუნებულმა მარკუსმა ინჟინრებს ახალი, სრულყოფილი ტანკერი შეუკვეთა. ამასთან, როტშილდებთან ნავთობის გარანტირებულ მიწოდებაზე მოლაპარაკებების წარმოებას და სუეცის არხში გემების გატარებისათვის ლობის ძებნას შეუდგა. გარდა ამისა, ორი ძმისშვილი აღმოსავლეთ აზიაში ნავთობის რეზერვუარების ასაშენებლად გაგზავნა.

საქმე 1891 წელს დაიძრა, როცა როტშილდებმა სამუელს ბაქოს ნავთობის 10 წლის განმავლობაში გარანტირებულ მიწოდებაზე კონტრაქტი გაუფორმეს. 1992 წლის დასაწყისში მარკუსმა სუეცის არხში გემების გატარების ოფიციალური ნებართვაც მიიღო და ზაფხულში ბათუმის პორტიდან საწვავით დატვირთული პირველი ტანკერი "მიურესკი" გავიდა, რომელსაც ასე სამუელმა იმ ნიჟარების პატივსაცემად დაარქვა, რომლებითაც მამამისი ვაჭრობდა.

1892 წლის აგვისტოში "მიურესკი" ბანგკოკის ნავსადგურში შევიდა. სამეულის აგენტებმა ბაზარზე ერთბაშად გაიტანეს იმ დროისათვის ძალიან დიდი რაოდენობის, Standard Oil-ის პროდუქციაზე იაფი საწვავი. დღემდე არავინ იცის, როგორ დარჩა საიდუმლოდ ეგზომ მასშტაბური და წარმატებული ოპერაცია. Standard Oil-ის შეშფოთებულმა წარმომადგენლებმა ისლა მოახერხეს, რომ ნიუ იორკის სათავო ოფისს სერიოზული კონკურენტის გამოჩენა უდეპეშეს.

მარკუსი კი უკვე შეუჩერებელი იყო. შემდეგ წელიწადს მან კიდევ ათი ტანკერი ააგო, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში, სუეცის არხის გავლით, მთელი ნავთობის ტრანსპორტირებას სამუელის, ლეინის და აღმოსავლეთ-აზიური სავაჭრო სახლების კუთვნილი კომპანია Shell Transport & Trading-ი აწარმოებდა.

### ჰოლანდიელი კონკურენტი

მაშინ, როცა 1890 წელს სამეული რუსეთის იმპერიის ნავთობის მარაგის შესწავლით იყო გართული, შორს, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთში ბურღვას შეუდგა ნიდერლანდებში შექმნილი კომპანია Royal Duch -ი. იგი აღმოსავლეთ-სუმატრული თამბაქოს კომპანიის მმართველმა იანს ზეიკელმა დააარსა, რომელმაც 1880 წელს სუმატრში სეირნობისას შემთხვევით შენიშნა მიწის ზედაპირზე ამოსული ბლანტი, მუქი და ნავთის სუნის მქონე სითხე.

ზეიკელმა ხელი უმალ ახალ საქმეს მოჰკიდა, მაგრამ ყოფილ მეთამბაქოეს ქრონიკულად არ უმართლებდა. მთელი ხუთი წლის განმავლობაში ნავთობი ვერა და ვერ იპოვნეს და ზეიკელს ფინანსური პრობლემები შეექმნა. 1890 წელს კი იგი, ის იყო, წელში გაიმართა, Royal Duch-ი შექმნა და აქციებიც გამოუშვა, რომ სინგაპურში გარდაიცვალა.

ამის შემდეგ კომპანიას სათავეში ჟან-ბატისტ ავგუსტ კესლერი ჩაუდგა, რომელიც ბიზნესს მშვენივრად გაუძღვა და, უკვე 1892 წელს, Royal Duch-ი თავისი საკუთარი, Crown Oil-ის მარკის ნავთობით ვაჭრობდა. ამის შემდეგ კესლერს აღმოსავლეთ აზიის ბაზრის დაპყრობის სურვილი ეწვია, მაგრამ სამუელთან კონკურენცია არ შეეძლო და ამიტომ ჰოლანდიის მთავრობას მარკუსის ტანკერებისათვის ოსტ-ინდოეთის პორტებში შესვლა ააკრძალვინა.

Royal Duch-მა კონკურენტების ყურადღება მიიქცია და სამუელმა და როკფელერმა კესლერს კომპანიის მიყიდვის წინადადებით მორიგეობით მიმართეს, მაგრამ შეუპოვარმა ჰოლანდიელმა უარი განაცხადა. როკფელერი ყოველთვის კონკურენტთა შთანთქმისაკენ ისწრაფვოდა და მისგან ამგვარი ნაბიჯი მოსალოდნელიც იყო, სამუელს კი როტშილდებთან კონტრაქტი უმთავრდებოდა და ნავთობის ახალი წყაროს პოვნა სურდა. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს მარკუსმა ბორნეოზე კონცესია შეიძინა, მაგრამ საბადოებმა მისი იმედები ვერ გაამართლა. 1901 წელს Shell-მა კონტრაქტი გააფორმა ამერიკულ Gaffi Petroleum-თან, რომელიც სპინდლტოპის განთქმულ ტეხასურ საბადოზე მუშაობდა, მაგრამ ამჯერადაც არ გაუმართლა: ერთი წლის შემდეგ "ახალ ამერიკულ სასწაულად" წოდებულ საბადოში ნავთობის მარაგი მკვეთრად შემცირდა. საბოლოოდ მარკუსმა სიტუაციის გამოსწორება როტშილდებთან კონტრაქტის განახლებით მოახერხა.

### მეტოქეთა თანამშრომლობა

მეოცე საუკუნის დასაწყისში Shell-ი და Royal Duch-ი აღმოსავლეთ აზიიდან და რუსეთიდან ნავთობის ექსპორტის ნახევარზე მეტს აკონტროლებდნენ. 1900 წელს კესლერი გარდაიცვალა და Royal Duch-ს სათავეში ახალგაზრდა, ენერგიული ჰოლანდიელი ჰენრი დეტერდინგი ჩაუდგა, რომელსაც "ნავთობის ნაპოლეონი" შეარქვეს. Standard Oil-ის შიშით მან სამუელთან მოლაპარაკებების წამოწყება გადაწყვიტა. დეტერდინგს კომპანიათა სრული შერწყმა სურდა, სამუელი კი ბაზრის გაყოფის მომხრე იყო. ისინი ვერ შეთანხმდნენ და სრულიად შემთხვევით მოხდა, რომ ამით Standard Oil-მა არ ისარგებლა. მით უმეტეს, რომ სამუელი როკფელერის ოფისს ეწვია, მაგრამ მილიარდერის წარმომადგენლებმა Shell-ის შესყიდვაზე უარი უთხრეს.

მაგრამ დეტერდინგს კარგად ესმოდა, რომ Standard Oil-ი, ადრე თუ გვიან, რევანშის აღებას მოისურვებდა, და სამუელთან მოლაპარაკებას ცდილობდა. მან საქმეში ფრედერიკ ლეინი ჩართო და, როცა 1901 წლის ბოლოს როკფელერმა მარკუსს Shell-ის საკონტროლო პაკეტის სანაცვლოდ იმ დროისათვის გაუგონარი თანხა - 40 მილიონი დოლარი შესთავაზა, პასუხად უარი მიიღო, რადგან რამდენიმე დღეში Shell-ის და Royal Duch-ის შერწყმის ხელშეკრულება გაფორმდა. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ტრანსნაციონალურ გიგანტ კომპანიას.

თუმცა, ყოფილი მეტოქეების გაერთიანების ოფიციალური კონტრაქტი მხოლოდ 1907 წელს გაფორმდა. კონტრაქტის მიხედვით, ახალ კომპანიას Royal Duch/Shell-ი ეწოდა. მისი 60 პროცენტი ჰოლანდიური მხარის საკუთრება იყო, 40 კი - ბრიტანულის. ეს შეფარდება დღემდე შენარჩუნებულია. კომპანიას სათავეში ჰენრი დეტერდინგი ჩაუდგა, მას 1939 წელს გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა და სერიოზულ გავლენას ახდენდა მსოფლიოში მიმდინარე არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ პროცესებზეც.

### გიგანტის აღმასვლა

დეტერდინგის ხელმძღვანელობით კომპანია თანდათანობით ვითარდებოდა და ახალ ბაზრებს ითვისებდა. 1910 წელს მან Standard Oil-ის წინადადება Royal Duch/Shell-ის საკონტროლო პაკეტის 100 მილიონ დოლარად შესყიდვის თაობაზე უარყო და 2 წლის შემდეგ, კონკურენტის გულის გასახეთქად, ამერიკულ ბაზარზე შეიჭრა. ამ პერიოდში Royal Duch/Shell-ი რუსულ, რუმინულ, ეგვიპტურ და ვენესუელურ ნავთობს მოიპოვებდა.

"შელ"-ის აღმასვლის მეორე ტალღა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, როცა კომპანიამ ბიზნესი მალაიზიაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში განავითარა. 30-იანი წლების დასაწყისში Shell-მა ნავთობიდან ქიმიური პროდუქციის მრეწველობა აქტიურად განავითარა.

გასული საუკუნის შუაში Shell-მა მუშაობა დაიწყო ბრიტანულ ბორნეოში, ტრინიდადში, ალჟირში, კოლუმბიაში, ერაყში, ავსტრალიაში, კანადასა და ნიდერლანდებში. თანაც, ნავთობის მოპოვებასთან ერთად, კომპანია ადგილობრივ გადამამუშავებელ ქარხნებსაც აშენებდა. შემდგომ ათწლეულში Shell-მა პირველმა აღმოაჩინა ნავთობისა და გაზის საბადოები ჩრდილოეთის ზღვაში.

1980-იან წლებში კომპანიამ ბიზნესის დივერსიფიკაციის ახალი სტრატეგიით შეაბიჯა. მისი ყურადღების სფეროში მოექცა ნახშირის მოპოვება, მეტალურგია და ნავთობქიმია. ამ და შემდგომ პერიოდში Shell-მა მსხვილი საბადოები აღმოაჩინა აშშ-ში, ნიგერიაში, დიდ ბრიტანეთში, ომანში, მალაიზიაში...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, Royal Duch/Shell-ი თავისი სფეროს უპირობო ლიდერი იყო 1999 წლამდე, იქამდე, ვიდრე Exxon-ის და Mobil-ის გაერთიანებით ExxonMobil-ი შეიქმნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს უკანასკნელი ლეგენდარული როკფელერის შთამომავალია, შეიძლება ითქვას, რომ დიდი დაპირისპირება გრძელდება და Royal Duch/Shell Group-ი პირველობის დაბრუნებას ცდილობს.

## Mittal Steel-ს Arcelor-ის და "სევერსტალის" შერწყმის ჩაშლა სურს

მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კონცერნი Mittal Steel-ი, რომლის თავკაცი მსოფლიოს ურთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, ინდოელი მილიარდერი ლაკშმი მიტალია, იმედს არ კარგავს, რომ თავისი ევროპული კონკურენტის Arcelor-ის შთანთქმას შეძლებს. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა რუსულ "სევერსტალთან" შერწყმის შესახებ განცხადება გააკეთა, მაგრამ ინდური კონცერნის მიერ წაქეზებული, Arcelor-ის რამდენიმე აქციონერი "სევერსტალთან" შერწყმის წინააღმდეგ გამოვიდა.

გუშინ Mittal Steel-ის კონსულტანტმა, ამერიკულმა საინვესტიციო ბანკმა Goldman Sachs-მა Arcelor-ის ხელმძღვანელობას და მსხვილ აქციონერებს წერილები დაუგზავნა და აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევისა და "სევერსტალთან" შერწყმის საკითხის განხილვისაკენ მოუწოდა. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ გარიგების საკითხი არა უბრალო უმრავლესობამ, არამედ აქციონერთა ორმა მესამედმა უნდა გადაწყვიტოს.

რიგგარეშე კრების მოწვევისათვის აქციონერთა 20 პროცენტის ხელმოწერაა საჭირო. სავარაუდოდ, Mittal Steel-ს ამ რაოდენობის მოგროვება არ გაუჭირდება, რადგან Arcelor-ის ბევრი აქციონერი რუსულ კომპანიასთან შერწყმის წინააღმდეგია. მაგალითად, Arcelor-ის ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორი, საინვესტიციო ფონდ Centaurus Capital-ის თავკაცი ბერნარ ოპეტი აცხადებს, რომ "სევერსტალთან" გარიგება Arcelor-ის რეალურ ღირებულებას არ შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ ამ აზრს ბევრი ექსპერტი იზიარებს.

## ფერადი ლითონები რეკორდულად გაძვირდა

გუშინ ლონდონის სასაქონლო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე ფერადი ლითონების ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების რეკორდული ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ტონა ნიკელის ფასმა 23 ათას დოლარს მიაღწია, რაც ყველა დროის მაქსიმალური მაჩვენებელია. 1 ტონა სპილენძი 8230 დოლარამდე, ალუმინი - 2796, თუთია - 3770, თითბერი კი 8300 დოლარამდე გაძვირდა.

ექსპერტთა თქმით, ამის მიზეზი ფერად ლითონებზე მოთხოვნილების ზრდაა. მათი აზრით, მეორე კვარტალში ფერადი ლითონების გაძვირების ტენდენცია კვლავაც შენარჩუნდება.

## იაპონიამ ნავთობის მოპოვება უნდა გაზარდოს

იაპონიის მთავრობის მიერ ენერგოსტრატეგიის განსაზღვრისათვის შექმნილი, ენერგეტიკის ექსპერტთა საბჭოს წევრთა განცხადებით, 2030 წლისათვის ამომავალი მზის ქვეყანამ ნავთობის მოპოვება 15-დან 40 პროცენტამდე უნდა გაზარდოს. მათი თქმით, იაპონური კომპანიების მიერ ნავთობის მოპოვების გაზრდა ქვეყნის უცხოურ კომპანიებზე დამოკიდებულებას შეამცირებს.

გარდა ამისა, ექსპერტთა რეკომენდაციით, იაპონური ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა ამჟამინდელი 29-დან 40 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს.

ადრე ექსპერტთა საბჭომ იაპონიის მთავრობას ენერგომატარებლების სტრატეგიული რეზერვების გაზრდისაკენ და მისი ამჟამინდელი 90-ის ნაცვლად, 95-დღიანი ვადით ფორმირებისაკენ მოუწოდა. ამასთან, ექსპერტებმა ხელისუფლებას რეზერვების არა მარტო ნედლი ნავთობის, როგორც ეს ამჟამადაა, არამედ ნავთობპროდუქტებისაგან შექმნა ურჩიეს.

იაპონიის მთავრობა ექსპერტთა საბჭოს ამ რეკომენდაციის შესრულებას უკვე შეუდგა. წინასწარი მონაცემებით, ამომავალი მზის ქვეყნის ხაზინას ნავთობპროდუქტების რეზერვების გაზრდა 100 მილიარდი იენი (900 მილიონი დოლარი) დაუჯდება.

იაპონია ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია და იგი ახლა აღმოსავლეთის ქვეყნების, ძირითადად კი, ირანული ნავთობის უცხოური კომპანიების მიერ მოწოდებაზე დიდადაა დამოკიდებული. ამიტომაც, დღეს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ექსპერტთა ამგვარი რეკომენდაციები გასაკვირი არაა.

აღსანიშნავია, რომ ამომავალი მზის ქვეყნის მთავრობა ამ მიმართულებით პრიორიტეტებს ხშირად იცვლიდა, ხან საკუთარი ნავთობმოპოვების გაზრდისაკენ ისწრაფვოდა, ხანაც უპირატესობას უცხოეთიდან იმპორტის გაზრდას ანიჭებდა.

## შაქრის წარმოება 2,3 პროცენტით გაიზრდება

აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზით, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს, რომელიც სექტემბერში მთავრდება, მსოფლიოში შაქრის წარმოება 2,3 პროცენტით, 149,2 მილიონ ტონამდე გაიზრდება.

გარდა ამისა, მიმდინარე სასოფლო-სამეურნე წელს სარეკორდოდ გაიზრდება მსოფლიოში შაქრის მოხმარებაც იგი ადრე ნავარაუდევი 143,8 მილიონი ტონის ნაცვლად, 145,7 მილიონ ტონას მიაღწევს. ამის მიზეზი ეთანოლის წარმოებაში შაქრის სულ უფრო ფართო გამოყენებაა.

ექსპერტთა ვარაუდით, მიუხედავად ეგზომ დიდი მოთხოვნილებისა, შაქრის მოპოვების გაზრდა ხელს ფასის დარეგულირებას შეუწყობს.

## Vodafone-მა გიგანტური ზარალი განიცადა

მობილური კავშირგაბმულობის ბრიტანული ოპერატორი Vodafone დღეს ქვეყნის ისტორიაში უდიდესი წაგების შესახებ განაცხადებს. სავარაუდოდ, კორპორაციის წაგება 20 მილიარდ ფუნტ სტერლინგს (37 მილიარდ დოლარზე მეტი), ხოლო დაბეგვრამდე მისი ბიუჯეტის დეფიციტი 15 მილიარდ ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ამგვარი წაგების მიზეზი კომპანიის ბუღალტერიის მიერ ჩატარებული აქტივების ღირებულების ჩამოწერა გახდა. ზრდის წინასწარი პროგნოზის შემცირებამ Vodafone-ის საბალანსო ღირებულებაში 28 მილიარდი ფუნტი სტერლინგის დანაკარგი გამოიწვია.

წაგების რაოდენობაში შედის გერმანული Mannesmann-ის და ფრანგული იაპონური განყოფილებების 101 მილიარდ ფუნტად შეძენა. გარდა ამისა, დეფიციტი გაზარდა იგივე იაპონური განყოფილებისა და შვედური ფილიალის დახურვამ.

2002 წელს Vodafone-ს ასევე რთული პერიოდი ედგა, როცა მისმა წაგებამ 13,5 მილიარდი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. წაგების მხრივ, მსოფლიო რეკორდსმენი AOL Time Warner-ი გახლავთ, რომელმაც 2003 წელს 53 მილიარდი ფუნტი სტერლინგი დაკარგა.







## სოფლის მეურნეობის სამინისტრო მეკალმახეობის განვითარებისთვის სერიოზულ ღონისძიებებს გეგმავს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობის განყოფილება მომავალში მეკალმახეობის განვითარებისთვის სერიოზული ღონისძიებების ჩატარებას გეგმავს. მეთევზეობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მიხეილ კუტალაძის განცხადებით, მომავალში დაგეგმილია, მეთევზეობის განვითარების მხრივ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მეთევზეებისთვის ტრენინგების ჩატარება და საჩვენებელი თევზის საინკუბაციო საამქროების მოწყობა. მისივე თქმით, საქართველოში, წელიწადში დაახლოებით 300 ტონა კალმახი იწარმოება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მსოფლიო ბანკი რუსეთს დაეხმარება

მსოფლიო ბანკი ხელს შეუწყობს უცხოელი ინვესტორების დაინტერესების ზრდას რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების მიმართ. ამის შესახებ მსოფლიო ბანკის რუსეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა კრისტალინ გეორგიევმა განაცხადა. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების მმართველობის ფედერალური სააგენტოსა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა სემინარი "ინოვაციური გზა რუსეთის ეკონომიკის განვითარებისთვის: ინსტრუმენტები და მეთოდები". როგორც გეორგიევმა განაცხადა, სემინარის მიზანია არა ფულადი თანხების, არამედ საერთაშორისო გამოცდილების მოპოვება. "რუსეთს ამჟამად აქვს ფული და გვინდა, ამ ფულის ეფექტურად ხარჯვა დავაჩქაროთ," - განაცხადა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა. მისივე თქმით, რუსეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შესაქმნელად პროექტების შერჩევა განახორციელა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რამდენიმე ობიექტი გასაყიდად გამოაქვს

გუშინ განაცხადების მიღება დაიწყო თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სს"ორიონის" N7 სასადილო კორპუსისა და მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის მიზნით, რომლის საწყისი ფასი 250 000 დოლარია.

იყიდება ასევე ყოფილი სახაზინო საწარმოს "კომუნსპეცრემმშენის" ქონება და მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი ფასი 85 000 დოლარია. ობიექტი სამგორის რაიონში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში მდებარეობს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პირველად გამოაქვს გასაყიდად თბილისში, სოლოლაკის ხეივანში N11-ში მდებარე N1, N2, N3 და N4 შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 450 000 დოლარია.

აუქციონზე გაიყიდება ასევე, ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩის N89-ში მდებარე სამსართულიანი სახლის მეორე სართული და მიწის ნაკვეთი. მისი საწყისი ღირებულება 60 000 დოლარია.

აუქციონზე გაიყიდება გარდაბნის რაიონში, სოფელ კრწანისში მდებარე ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სამი საფრინველე და 1,1 ჰექტარი მიწის ფართი. ობიექტის საწყისი ფასი 70 000 დოლარია.

ცალკე იყიდება ამავე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობა და მიწის ფართი. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 10 000 დოლარია.

აღნიშნული ობიექტების აუქციონი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 29 ივნისს შედგება. სამინისტრო აუქციონიდან დაახლოებით 1 მილიონი დოლარის მობილიზებას გეგმავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 30/05 | 31/05 | 1/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 14 | 20 | 23 |
| რიგა | 19 | 17 | 14 |
| ვილნიუსი | 13 | 12 | 15 |
| მოსკოვი | 17 | 11 | 18 |
| მინსკი | 16 | 10 | 20 |
| პარიზი | 12 | 11 | 14 |
| რომი | 22 | 23 | 18 |
| ლონდონი | 14 | 15 | 17 |
| მადრიდი | 26 | 23 | 24 |
| ბონი | 7 | 11 | 13 |
| ვარშავა | 20 | 17 | 21 |
| ათენა | 28 | 28 | 32 |
| ბერნი | 5 | 5 | 7 |
| ამსტერდამი | 9 | 10 | 12 |
| ოსლო | 12 | 12 | 14 |
| ანკარა | 33 | 34 | 35 |
| ვარნა | 28 | 33 | 21 |
| დელი | 51 | 52 | 50 |
| ტოკიო | 28 | 27 | 31 |
| კოპენჰაგენი | 11 | 12 | 13 |
| ბაქო | 31 | 29 | 32 |
| ერევანი | 35 | 37 | 37 |
| ასტანა | 26 | 21 | 16 |
| ჰელსინკი | 15 | 17 | 9 |
| დუბლინი | 10 | 13 | 15 |
| ლისაბონი | 32 | 33 | 27 |
| პრაღა | 7 | 5 | 9 |
| სოფია | 26 | 22 | 15 |
| ბუდაპეშტი | 10 | 16 | 21 |
| ბუხარესტი | 31 | 24 | 24 |

# ბირთვული დილემის წინაშე

პირველი გვერდიდან

მოკლე ექსკურსი ბირთვული ენერგიის ევროპულ რუკაზე: ფინეთი - გასულ წელს ბირთვული რეაქტორის მშენებლობა დაიწყო; საფრანგეთი - მსგავსი რეაქტორის მშენებლობის დასაწყებად ნებართვა მიღებულია; ბულგარეთი - ევროკავშირის გადაწყვეტილებით ქვეყანა ორ ბირთვულ რეაქტორს ხურავს, თუმცა ბელენეში ახალი სადგურის აშენებას გეგმავს; რუმინეთი - 15-წლიანი შესვენების შემდეგ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა განაახლა; ჩეხეთი - ქვეყანას ათწლეულის ბოლოს კიდევ ორი ატომური ელექტროსადგური ექნება.

1986 წელს ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებმა ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობა 15 წლით აკრძალეს. თუმცა გასულ წელს ფინეთმა 15-წლიან ეპოპეას წერტილი დაუსვა, დაიწყო რა მესამე თაობის წყლის რეაქტორის მშენებლობა. სხვათა შორის, ეს სადგური ფრანგულმა კომპანია "არევამ" დააპროექტა, თავად ფინური ბირთვული ელექტროსადგური 2009 წელს ამოქმედდება.

ფრანგულმა კომპანია Electricite de France-მა სახელმწიფო ტენდერში გაიმარჯვა, რის შედეგადაც ის საფრანგეთში ფინეთის მსგავს ბირთვულ რეაქტორს ააშენებს. თავად ჟაკ შირაკის განცხადებით, 2020 წლისთვის ქვეყანა სადგურის პილოტ-ვერსიას წარმოადგენს, რომელიც გაცილებით ეფექტური და, ამავე დროს, გარემოს დაცვის თვალსაზრისით უსაფრთხო იქნება.

ბირთვული ენერგიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ეს საკითხი მკაცრად დახურული იყო. მაგალითად, 1987 წლის რეფერენდუმის შემდეგ იტალიაში ოთხი ბირთვული რეაქტორი დაიხურა. იტალიის მრეწველობის მინისტრმა კლაუდიო სკაიოლამ ჯერ კიდევ იანვარში განაცხადა, რომ ბირთვული ტექნოლოგიების განვითარება იტალიის ენერგეტიკულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან დგილს იკავებს.

ევროპულ ქვეყნებს შორის ბირთვული ენერგიის წარმოებაში ყველაზე აქტიური საფრანგეთია, სადაც ქვეყნის ელექტრომომარაგების 80 პროცენტი 58 ბირთვული რეაქტორით არის მიღებული. ქვეყანა კიდევ ერთი რეაქტორის აშენებას გეგმავს.

ახალი ბირთვული სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით სერიოზული დებატები ელის წელს ბრიტანეთის მთავრობას.

მიზეზი, რომელიც ევროპული ქვეყნების ბირთვული ენერგიისადმი ინტერესს ზრდის, რუსეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ნავთობის და გაზის მოწოდების არასტაბილურობაა. და კიდევ ერთი დეტალი: მსოფლიოში ნავთობის ფასების ზრდის ფონზე ატომური ენერგია ეკონომიკურადაც მიმზიდველი ხდება.

თუმცა, ეკოლოგიური ფაქტორი აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია. ბირთვული ენერგიის წარმოებისას არ გამოიყოფა ნახშირორჟანგი, რაც, მეცნიერის შეფასებით, გლობალური დათბობის გამომწვევი მთავარი მიზეზია. თუმცა, გავითვალისწინოთ ისიც, რომ კიოტოს პროტოკოლის თანახმად, ევროპულმა ქვეყნებმა ნახშირორჟანგის გამოყოფა მნიშვნელოვნად უნდა შეამცირონ.

ატომური ენერგიის გამოყენებას ყველა ევროპული ქვეყანა როდი ეთანხმება - შვეიცარია, შვედეთი, ბელგია, იტალია და გერმანია ატომური პროგრამების შეჩერების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ. თუმცა შვედებმა აღნიშნული გეგმა უკვე ჩააგდეს. ბელგიაში კი, როგორც გაირკვა, დაგეგმვის ფედერალური ბიუროს შეფასებით, 2015 წლისთვის ბირთვული ენერგიის გამოყენების აკრძალვა კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება. ამ აკრძალვის გაუქმების წინადადებით გერმანიის მმართველი ქრისტიან-დემოკრატები გამოდიან.

ჩერნობილის კატასტროფიდან ოცი წლის შემდეგ ატომური ენერგეტიკის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ენერგიის ეს წყარო კვლავაც დიდი რისკის მატარებელია. მათი განცხადებით, მართალია, ერთ დროს ექსპერტები ბირთვული ენერგიის უსაფრთხოების შესახებ დავობდნენ, თუმცა ეს ჩერნობილამდე იყო. მათი თქმით, რადიაქტიური ნარჩენების ალმოფხვრის გზები ჯერ არავის გამოუგონია, ურანის მარაგები კი ძალიან მცირეა იმისათვის, რათა ბირთვულ ელექტროსადგურებში საწვავის სტაბილურობა უზრუნველყოფილი იქნას. ანტიბირთვული აქტივისტების არგუმენტით, ევროპული ქვეყნებისთვის პრიორიტეტული - ქარის და მზის ენერგია უნდა გახდეს.



როგორც Wuppertal Institute for Climate, Environment and Energy-ს დირექტორი ჰერმან ოტი ვარაუდობს: **"ეს თემა 20 წლის განმავლობაში მწვავე დებატების საკითხი იქნება. ენერგიის განახლებად წყაროებს წიაღისეული საწვავის ჩანაცვლების პოტენციალი გააჩნიათ, თუმცა თუ ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება, ბირთვული რეაქტორების გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება."**

საინტერესოა, რომ იმავე გერმანიაში მოსახლეობის ბირთვულ ენერგიას მხოლოდ 38 პროცენტი მიესალმება. თუმცა, ევროკავშირის მიერ გასულ წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ევროპის მასშტაბით ბირთვულ ენერგიას მოსახლეობის მხოლოდ 55 პროცენტი ეწინააღმდეგება.

### ევროპელობის ფასად

ევროკავშირში გაერთიანების მოლოდინში ბულგარეთს კოზლოდუის ბირთვული ელესტროსადგურის ორი - მე-3 და მე-4 რეაქტორების გამორთვა მოუწევს. ევროკავშირის გადაწყვეტილებით, აღნიშნული რეაქტორები უსაფრთხოების ნორმებს არ შეესაბამება და რეგიონისთვის საშიშია.

ბულგარეთის მთავრობა რეაქტორების გამორთვის შედეგად მიღებულ ზარალს 1.4 მილიარდ ევროდ აფასებს.

ბულგარეთი რეგიონში ელექტროენერგიის ექსპორტიორი ქვეყანაა. საბერძნეთი, მაკედონია, რუმინეთი და ალბანეთი სწორედ კოზლოდუის მიერ გამომუშავებულ დენს მოიხმარენ. ცნობისათვის, 2003 წელს ამ სადგურის საშუალებით, ბულგარეთმა რეგიონში ელექტროენერგიის მოხმარების 90 პროცენტი დაფარა.

2007 წლის დასაწყისისთვის მე-3 და მე-4 რეაქტორების დახურვის შემთხვევაში, ბულგარეთი მეზობელ ქვეყნებში დენის ექსპორტის გარეშე დარჩება, რაც მეზობელ ქვეყნებს ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს შეუქმნის.

2005 წელს კოზლოდუის მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ ქვეყანაში გამომუშავებული ენერგიის 42 პროცენტი შეადგინა.

არგუმენტი, ბულგარეთი აღნიშნული რეაქტორების დახურვას რატომაც ეწინააღმდეგება, შემდეგია: ჩეხეთის, სლოვაკეთის და ფინეთის ბირთვულ ელექტროსადგურებში იგივე ტიპის რეაქტორებია გამოყენებული, რაც კოზლოდუიში. მეტიც, კოზლოდუის ალმასრულებელი დირექტორი ივან ივანოვი და ბულგარელი პარლამენტარი ივან გრიზანოვი ევროკავშირის აღნიშნულ გადაწყვეტილებას ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით განპირობებულს უწოდებენ.

როგორც "24 საათს" ბულგარეთის ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, კოზლოდუის ბირთვული სადგური ბულგარეთის მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორია. ამიტომაც, ბულგარელი ექსპერტების შეფასებით, კოზლოდუის მე-3 და მე-4 რეაქტორების დახურვა რეგიონის სოციალურ სტაბილურობაზე უარყოფითად იმოქმედებს.

შეგახსენებთ, რომ კოზლოდუიში ანალოგიური გადაწყვეტილების თანახმად, უკვე გამორთულია პირველი და მე-2 რეაქტორები, რის შედეგადაც ქვეყანაში ელექტროენერგიის ფასმა 26 პროცენტით მოიმატა. მე-3 და მე-4 რეაქტორების გამორთვის შემდეგ ბულგარეთში ფასების მორიგ ზრდას ელიან. მეტიც, კოზლოდუის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, საბოლოო მომხმარებლისთვის ფასი, შესაძლოა, 100 პროცენტითაც კი გაიზარდოს.

საინტერესო დეტალი: აღნიშნული რეაქტორების დახურვისთვის ერვოკავშირი ბულგარეთს 550 მილიონ ევროს გამოუყოფს. კერძოდ, 350 მილიონი ევრო 2007-2009 წლებში იქნება გადმორიცხული.

სხვათა შორის, ბულგარეთში ამ ორი ბირთვული რეაქტორის გამორთვის გადახედვის საკითხი ევროკომისარმა ჯეფრი ვან ორდენმა დააყენა. ამ ფაქტს ბულგარეთში პოზიტიურად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ რეაქტორების შენარჩუნება დადებითად იმოქმედებს როგორც რეგიონზე, ასევე ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოებზე.

### მცირე სტატისტიკა

ევროკავშირის ენერგეტიკაში ბირთვული ენერგიის წილი 32 პროცენტია, განახლებადი ენერგიის წყაროების - 1.2 პროცენტი, გაზის - 16 პროცენტი, ნავთობის - 6 პროცენტი, ჰიდრორესურსების კი - 13 პროცენტი.

და ბოლოს: ბირთვული ენერგიის წილი მსოფლიო ენერგეტიკაში 17 პროცენტია. 2005 წლის ბოლოსთვის მსოფლიოში 442 ბირთვული ელექტროსადგური იყო დაფიქსირებული. პირველი სადგური რუსეთში, ობნინსკში 1954 წელს აშენდა. ყველაზე მძლავრი სადგური საფრანგეთში, ჩუზშია (1455 კვ.). ბირთვული ელექტროსადგური მსოფლიოში სულ 31 ქვეყანას აქვს, ამასთან, კიდევ 24 სადგური შენდება. 2000 წელს ბირთვული ელექტროენერგიის 3 ახალი სადგური ამოქმედდა. ესპლუატაციიდან გამოყვანილი ბირთვული სადგურების რაოდენობამ 17 შეადგინა, სულ დახურულია 117 ბირთვული ელექტროსადგური.

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

მეშვიდე, ტოტალურად წინკვი ფავორიტი




C2

რონალდო: „ვინ გითხრათ, რომ მოვიმატე?!"



C3

ეს ჰოლივუდი არ გეგონოს, ჩხუბია, ჩხუბი!



C4

## როკე სანტა კრუზი კობიაშვილისა და კალაძის წინააღმდეგ



კლაუს ტოპმიოლერი: „ამ შეკრების მთავარი მიზანი ნამდვილად არ არის ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება".

მიხეილ აბაიშვილი
*დორნბირნიდან*

მთავარი პრობლემა, რამაც საქართველოს ნაკრებს და მის მთავარ მწვრთნელს კლაუს ტოპმიოლერს მომზადების გეგმები აურ-დაურია, კვლავაც ამინდია. იმ დროს, როცა თბილისში ტემპერატურა 30 გრადუსს აღწევს, დასავლეთ ევროპა ლპება. ავსტრიული ქალაქი დორნბირნი, რომლის არსებობა საფეხბურთო საქართველომ მხოლოდ მომავალი მატჩის წყალობით გაიგო, ალპების ძირში მდებარეობს და გერმანია-შვეიცარიის საზღვრებით არის შემოფარგლული. დორნბირნიდან ოციოდე კილომეტრშია ცნობილი ბრეგენცის ტბა, რომელიც ამ არეალს ევროპის ერთ-ერთ პოპულარულ საკურორტო ზონად ხდის. სწორედ ამ ტბის და ალპების გამო დორნბირნის ამინდი ძალზე წაგავს ბათუმისას. ამ ქალაქში მე და „სარბიელის" კორესპონდენტი კობა ინასარიძე ორი დღის წინ ჩამოვედით. იქიდან მოყოლებული გადაუღებლად წვიმს და თითქოს არც აპირებს გამოდარებას. მაქსიმალური ტემპერატურა 10-12 გრადუსს აღწევს. ასე რომ, დორნბირნის სიმბოლო და ყველაზე პოპულარული ატრიბუტი ქოლგაა. ამინდზე ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ მიხვდეთ, რა პირობებში უწევს საქართველოს ნაკრებს ვარჯიში. თუმცა, არა მხოლოდ ამინდის გამო ტოპმიოლერი ფეხბურთელების სერიოზული დატვირთვისგან თავს იკავებს. „ამ შეკრების მთავარი მიზანი ნამდვილად არ არის ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება. ძალიან მალე ბიჭები საკუთარ კლუბებში დაბრუნდებიან და იქ გაივლიან წინასასეზონო შეკრებებს, სადაც ფიზიკურადაც მოემზადებიან. აგვისტოს მეორე ნახევარში, როცა შესარჩევი ციკლის ტურნირისწინა საწვრთნელ შეკრებას დავიწყებთ, ფეხბურთელები საკუთარი კლუბებიდან საუკეთესო ფიზიკურ კონდიციაში დაგვიბრუნდებიან," - თქვა გუშინ კლაუს ტოპმიოლერმა.

ფიზიკური მომზადების გარდა, გერმანელ სპეციალისტს სხვაც ბევრი თავსატეხი აქვს. მატჩმა ახალ ზელანდიასთან, რომელიც საფეხბურთო ტრადიციების თვალსაზრისით ვერაფრით დაიკვეხნის და ჩვენი დამარცხება მაინც შეძლო, ჩვენს გუნდში ბევრი სუსტი წერტილი გამოავლინა.

„ზელანდიასთან მატჩის ვიდეოჩანაწერს კიდევ ბევრჯერ ვნახავთ და ფეხბურთელებთან ერთად დეტალურად განვიხილავთ. ერთი საწყენი რამ კი დღესვე შეიძლება ითქვას: იმ პირობებში, როცა 90 წუთის განმავლობაში თამაშს ვაკონტროლებდით და ბურთის ფლობა პროცენტულად 70/30 იყო ჩვენს სასარგებლოდ, ძალიან ხშირად ვცდებოდით დაცვაში. ურთიერთდაზღვევაც არ იყო სათანადო დონეზე. თუ დაცვის ერთი ფეხბურთელი ცდებოდა, მეორე ველარ ასწრებდა შეცდომის გამოსწორებას", - აღნიშნა მთავარმა მწვრთნელმა.

ვერ ვიტყვი, რომ დორნბირნი პარაგვაი - საქართველოს მოახლოებული მატჩით ცხოვრობს, მაგრამ დიდი ინტერესი ნამდვილად იგრძნობა. ბევრგან ვნახე აფიშა, რომლებზეც, სხვათა შორის, მონაწილე გუნდების გარდა, სხვა საინტერესო დაპირისპირებაცაა ხაზგასმული: „როკე სანტა კრუზი კობიაშვილისა და კალაძის წინააღმდეგ" - იტყობინება აფიშა. სუპერმარკეტებში ამ თამაშის ანონსებთან ერთად სავაჭრო სტენდებიც არის ორგანიზებული, სადაც მხოლოდ პარაგვაის ეროვნული ნაკრების სათამაშო ფორმებს და ატრიბუტიკას ყიდიან. როგორც ჩანს, ჩვენი ნაკრების ატრიბუტიკა მარკეტინგული თვალსაზრისით ჯერ მომგებიანი არ არის.

პარაგვაი რომ ხელწამოსაკრავი არავისთვის არ არის, ბოლო ამხანაგურმა თამაშებმაც დაადასტურა. ამ გუნდმა 23 მაისს ნორვეგიასთან 2:2 ითამაშა, ხოლო იმ დროს, როცა საქართველოს ნაკრები ზელანდიელებთან მარცხდებოდა, სამხრეთამერიკელები კოპენჰაგენში დანიას დაუზავდნენ - 1:1. მომავალი მატჩის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს ბრიტანული მედიაც. დორნბირში უკვე ჩამოვიდნენ ინგლისური პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტები და პარაგვაელთა თითოეულ ნაბიჯს აშუქებენ. ინტერესი გასაგებია: ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩს სწორედ პარაგვაელებთან მართავს. ამბობენ, რომ ამ მატჩს სვენ გორან ერიქსონიც დაესწრება.

საქართველოს ნაკრებს პარაგვაელებთან მატჩში გულშემატკივარი არ მოაკლდება. ტრიბუნაზე მხოლოდ გერმანიასა და ავსტრიაში მცხოვრები ქართველები არ იქნებიან (ისინი ალტენკირხენშიც მრავლად იყვნენ). არ გაგიკვირდეთ და, გელზენკირხენიდანაც კი ჩამოდიან „ხუთჯვაროსნების" საქომაგოდ. „შალკეს" ჰყავს გულშემატკივართა ფანკლუბი, რომლის წევრები მარტო კლუბს კი არა, თითოეულ ფეხბურთელსაც დაჰყვებიან. ფანებისგან შემდგარი გელზენკირხენული დესანტი ალტენკირხენშიც იყო ჩამოსული და შეგვპირდნენ, რომ დორნბირნშიც აუცილებლად ჩამოვიდოდნენ თავიანთი საყვარელი ფეხბურთელის ლევან კობიაშვილის საქომაგოდ. ამას გარდა, ავსტრიაში კლაუს ტოპმიოლერსაც კარგად იცნობენ და აფასებენ: „საქართველო სად არის, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ კობიაშვილი, იაშვილი, კალაძე კარგად ვიცი. თან ტოპმიოლერიც თანამემამულეა. ამიტომ თამაშზე აუცილებლად წამოვალ და თქვენს გუნდს ვუქომაგებ", - მითხრა ჩემი სასტუმროს მომხიბვლელმა ადმინისტრატორმა მერსიამ.

*ავსტრიიდან რეპორტაჟი განხორციელდა სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის" მხარდაჭერით.*




სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

| | |
|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: | 21 33 67 |
| სარეკლამო სამსახური: | 21 33 54, 33 23 11 |
| სპორტული რედაქცია: | 33 17 15 |





დავით კოვზირიძის სვეტი

## მეშვიდე, ტოტალურად წინკვი ფავორიტი

პროლოგში ერთი სოციალური გადახვევა უნდა გავაკეთო. არ ვიცი, ვინაა პასუხისმგებელი ამ პრობლემაზე, მაგრამ ვიღაც აუცილებლად იქნება.

საქმე ეხება კომუნალურ გადასახადებს. იმ დღეს შევედი ბანკში, გადავიხადე რამდენიმე ათეული ლარი და 33 თეთრი. წესით, ხურდა უნდა მიმეღო 67 თეთრი, მაგრამ რადგანაც ბრუნვიდან ამოღებულია 1 და 2 თეთრიანები, დამიბრუნეს 65. ორი თეთრი დარჩა ბანკში. მერე მივიდა ჩემი მეზობელი სურენა და ოთხი თეთრი დააწერეს. ასე ემართება ყველას და ახლა არითმეტიკა უნდა გავიხსენო: საქართველოში, ალბათ, მილიონი ასეთი გადამხდელია. ვივარაუდოთ, რომ ყოველი მათგანი ყოველ გადახდაზე, ანუ თვეში კარგავს საშუალოდ 3 თეთრს. ჯამში ორთქლდება თვეში 3 მილიონი თეთრი, რაც უდრის 30 ათას ლარს. გავამრავლოთ ეს ციფრი თორმეტზე - წელიწადში 360 ათასი.

სად მიდის ეს არაფრიდან მოსული ფული?

■ ■ ■

დრო მოვიდა, მსოფლიოს კარსაყუდებული ჩემპიონატის ბოლო, მეშვიდე ფავორიტზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. აქამდე ვიბაასეთ ბრაზილიელებზე, არგენტინელებზე, ინგლისელებზე, იტალიელებზე, გერმანელებსა და ფრანგებზე. დაგვრჩა ჰოლანდია. შეიძლება ვინმე ფიქრობს, რომ გამარჯვების შანსი სხვასაც აქვს, ვთქვათ, პორტუგალიას ან შვედეთს, მაგრამ მე ასე არ მგონია. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამორიცხულია.

ჰოლანდიურმა ფეხბურთმა სულ ორი მძლავრი თაობა შვა და ორივე შემთხვევაში ცენტრალური ფიგურა გახლდათ ლეგენდარული სპეციალისტი რინუს მიხელსი. პირველი ტალღა დაიძრა სამოცდაათიან წლებში და მისი ბელადი იყო იოჰან კრუიფი, ხოლო მეორე ნაკადი ოთხმოციანების მიწურულს წამოვიდა. მას მარკო ვან ბასტენი, ფრენკ რაიკაარდი და რუუდ გულიტი ედგნენ სათავეში. და რადგან ორჯერვე ტვინის ფუნქციას გენერალი მიხელსი ასრულებდა, ეს ორი ტალღა ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ჰგავდა სტილით და არავითარ შემთხვევაში სიგრძით. ახლავე ავხსნი, რაც ჩავახუჭუჭე.

რევოლუციური ტოტალური ფეხბურთის პიონერებს მაგრად არ გაუმართლათ - ჰოლანდიის ნაკრები ზედიზედ ორჯერ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და ორჯერვე მასპინძელთან დამარცხდა. მას შემდეგ ნიდერლანდის სამეფო მთელი დეკადა ოფსაიდში იმყოფებოდა. ამაზე დიდი ზეგავლენა იქონია ამსტერდამის „აიაქსის“, ნაკრების ტრადიციული დონორის კრიზისმა.

დამთავრდა თუ არა ეს კრიზისი, დაიწყო მეორე სერია, რომელიც, ავად თუ კარგად, დღემდე იქნევს კუდს. სწორედ ამას ვგულისხმობდი - კრუიფი წავიდა და ნარინჯისფერი საერთოდ გაქრა, ხოლო ვან ბასტენის საძმაკაცოს ლამაზი საქმე გააგრძელა ბერხკამპმა, ზეედორფმა, ოვერმარსმა, კლუივერტმა, დავიდსმა. ამათი მემკვიდრეები კი ის ბიჭები არიან, გერმანიაში რომ მოუწევთ ბურთის გორება. ამაში მათ მარკო ვან ბასტენი დაეხმარება და აქ კიდევ ერთი უპირატესობა უნდა აღვნიშნო მისი თაობისა - სამოცდაათიანელებიდან მხოლოდ კრუიფი გამოდგა კარგი მწვრთნელი. მეორე ტალღაში კი ფეხბურთის მასწავლებლებიც ოხრად აღმოჩნდნენ: ვან ბასტენი, გულიტი, რაიკაარდი, კუმანი, ბლინდი.

დღევანდელი ჰოლანდიის ნაკრები ყველაზე ახალგაზრდა ფავორიტია და მასში უამრავი არცთუ კარგად აფიშირებული ბიჭი თამაშობს. მიუხედავად ამისა, ვან ბასტენის გუნდმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა შესარჩევ ციკლში - ითამაშა კოხტა, სწრაფი, ელეგანტური, ორგანიზებული, ტვინდაყოლილი და ხარისხიანი ფეხბურთი. ზუსტად ისეთი, როგორიც თავად მარკო ვან ბასტენი გახლდათ, ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელი.

ვეტერანების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი. გამორჩეული უკურეაქცია მოჰყვა გერმანიაში როი მაკაისა და კლარენს ზეედორფის არწაყვანას, ნაკლები პროტესტი - ედგარ დავიდსისას, თუმცა ვან ბასტენს გზა უკვე არჩეული აქვს და კრიტიკას აზრი ეკარგება. ისე, ამ გადაწყვეტილებას რაღაც ძალიან ორიგინალურს ვერც დაარქმევ, რადგან დავიდსი აშკარად დაბერდა და უაზრო წითლების ტრადიციაც ვერაფრით დაივიწყა, მაკაი მთელი სეზონია ტყეში გზააბნეული მაჩვივით დარბის, ხოლო ზეედორფი... თუ გუნებაზე ვერაა, უმჯობესია ათი კაცით ითამაშო. თუ ამ ლოგიკას მივყვებით, მწვრთნელმა მათი შინ დატოვებით კი არ გარისკა, პირიქით - არ გარისკა.

ჰოლანდიელთა შორის გამორჩეულად ასაკოვანი ორია: მეკარე ედვინ ვან დერ საარი და ნახევარმცველი ფილიპ კოკუ - ორივე სამოცდაათიანები არიან. დანარჩენი ვეტერანები 30-ს უკაკუნებენ - ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, ოიერი, ვან ნისტელროო, ვენეგორ ოფ ჰესელინკი. სეზონი არც ერთს არ ჩაუგდია, ყველამ სხვადასხვა დონეზე გამოიჩინა თავი.

დანარჩენი ყველა ახალგაზრდა და მომავლის ფეხბურთელია. მცველი ჯონ ჰეიტინგა, ზღაპრულად ათამაშებული ნახევარმცველი რაფაელ ვან დერ ვაარტი და „აიაქსის“ ერთ-ერთი ლიდერი უესლი შნაიდერი, რომელიც ჩემპიონატის გახსნის დღეს 22 წლის ხდება. ყველაზე მძლავრი კი წინკვ ფორვარდთა ტრიოა - დირკ კაიტი, არიენ რობენი და რობინ ვან პერსი.

არჩევანი დიდია, თაობათა დიფუზია მეტად ჰარმონიულად მიდის. მარკო ვან ბასტენი, ეტყობა, მოედანს გარეთაც კარგად აზროვნებს. მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ“, რომელიც შეიძლება ამ სიმპათიურ გუნდს ხიჭვივით შეერჭოს - მსოფლიო ჩემპიონატებზე, განსაკუთრებით მის გადამწყვეტ ეტაპზე მონაწილეობისა და ყოფაქცევის მიზერული გამოცდილება.

*მომავალ სამშაბათამდე*

# თბილისიდან საქართველომდე

ნოდარ ებრალიძე



ამ გეოგრაფიული შესიტყვებით ერთი თვის მანძილზე ჭაბუკი მხედრის წარმატების გამოხატვა მსურდა. მაგრამ მკაცრმა სინამდვილემ სხვა აზრიც შესძინა მას: დიახ, კლასიკურ ცხენოსნობაში (თუნდაც მის ერთ-ერთ სახეობაში - კონკურში) ხელახლაა დასაძლევი ის რთული გზა, რასაც მთელ ქვეყანაში თუ არა, ზოგიერთ რეგიონში მაინც დამკვიდრება ჰქვია...

მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ჩატარებულ ასპარეზობას ნამდვილად ვერ დავარქმევთ სანიმუშოს. თუმცა ზოგი სასიკეთო ნიშანი აქაც დავინახეთ: კერძოდ, განათლების სამინისტროს საცხენოსნო სპორტსკოლის ანგარიშგასაწევი მონაწილეობა, ცხენოსნობას თითქოს ჩამოშორებული სხვადასხვა ასაკის მხედრების მობრუნება ძველი საქმისკენ. ახალგაზრდა სპორტსმენების მუყაითობა და ამის შედეგად საპრიზო ადგილებზე ახალი სახელების გამოჩენაც.

რაც შეეხება გულნაკლულობას, სანიმუშოობას ვინ დაეძებს, ნეტავ ნამდვილად „საეტაპო“ არ ყოფილიყო: ასპარეზობა ჩატარდა დელისის იპოდრომის მინდორზე - შემოუსაზღვრავ მოედანზე! რატომ? ასეთი რა გაჭირვება ედგათ? ამგვარი რამ 1990-იანი წლების უმძიმეს ვითარებაშიც კი არ გვინახავს. ალბათ, ამაზე ჩვენს ცხენოსნურ და საერთოდ, სპორტულ საზოგადოებრიობას მოუწევს საუბარი; ახლა კი თავს ნებას მივცემ, ორიოდე სიტყვა ვთქვა, ვინმეს გასამართლებლად არა, მაგრამ ამ თითქოს აუხსნელი საერთო გულგრილობის ზოგიერთი ფაქტორის წარმოსაჩენად.

ჩემი აზრით, საერთო მხედრულ განწყობილებაზე საკმაოდ დამთრგუნველი გავლენა მოახდინა 9 მაისს ბაქოში ჩატარებულმა საერთაშორისო მემორიალურმა ასპარეზობამ, რომელშიც აზერბაიჯანული სპორტსმენების უპირატესობა თვალსაჩინო იყო. ჩვენი მხედრებიც არ გამოსულან ცუდად (სამხარაძე, გაჩეჩილაძე), მაგრამ მათი შედეგი ველარ შესწვდა მასპინძლების უშეცდომო გამოსვლებს. საქმე ისაა, რომ ბაქოს ახალი საცხენოსნო კლუბის პატრონმა, აზერბაიჯანელმა ოლიგარქმა კონკურისთვის ბოლო ხანებში ჩამოყალიბებული ჯიშის თუ ჯიშობრივი ჯგუფის განწრთნილი ბედაურები ჩამოიყვანა, მათზე ასევე უცხოელი (თურქი, რუსი, ბელგიელი და სხვა) მხედრები შესხა და ქართველ სტუმრებს აჯობა. დაბრკოლებათა გადალახვაში რომ ცხენების ჯიშობრივ შემადგენლობაში დიდი ძვრები მოხდა, ეს ჩვენში ადრევე იცოდნენ. სპორტული და სადოლე მეცხენეობის უკვე გამოცდილმა სპეციალისტმა, ყულარის ცხენსაშენის საცხენოსნო ნაწილის ხელმძღვანელმა ვიქტორ გოგლიძემ თავის საგაზეთო ინტერვიუებში („ლიტერატურული საქართველო“, „დილის გაზეთი“) გასაგებად და დამაჯერებლად ახსნა ახალი ტენდენციების მიმართულება და არსი. მაგრამ, ცხადია, მას წყალი არ გადაუწურია წმინდა სისხლის ინგლისური ცხენების მომავლისთვის (როგორც სანაშენო საქმეში, ისე სპორტის სხვა სახეობებში).

სხვათა შორის, გუშინწინ ყულარის ცხენსაშენის სათიბ მინდორში გაჭრილ სადოლე წრეზე მშვენიერი სამი დოლი ჩაატარა ორი და სამი წლის ბედაურებისთვის. ეს საცდელ-საწვრთნელი ასპარეზობა მეურნეობას 26 მაისისთვის ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ერთი დღით გადასწიეს, რათა საქართველოს თასის გათამაშების შემდეგ ყულარის დოღსაც დასწრებოდნენ ცხენოსნობისა და მეცხენეობის გულშემატკივრები. მხოლოდ თითო-ოროლა მოყვარულმა თუ ისარგებლა ამ ჯენტლმენური ჟესტით.

იმ სიმაღლეებზე (130-140 სმ.) ბრძოლა, რომელიც ბაქოში იდგა, ინგლისურ ცხენებსაც შეუძლიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო შთამბეჭდავი გამოდგა ის საერთო ინფრასტრუქტურა, რომლითაც ახალ მზრუნველს კასპიის ზღვის პირას ცხენოსნობა უზრუნველუყვია. აი, აქ კი მივადექით იმ მტკივნეულ საკითხს, რომელიც, ჩემი აზრით, ბევრად უფრო დამთრგუნველია საქართველოს ცხენოსნობის გულშემატკივრებისა თუ პროფესიონალი მუშაკებისთვის. ეს გახლავთ დელისის იპოდრომის ყოფნა-არყოფნის პრობლემა. გაუქმდება? არ გაუქმდება?! ტყეპარკის სტატუსი გადაარჩენს ცხენთსარბიელს თუ უძველესი ისტორიული ასპარეზების მემკვიდრე - ტყეპარკს? რამდენიმე წლის წინათ ქალაქის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი ასეთი პრობლემების წამოჭრას და მათზე საუბრის მცდელობას მოსახლეობის „მასობრივი ფსიქოზით“ უძებნიდა ახსნას. არ გამოდგა ასე. ნეტავი ახლა იყოს; ამის ახსნას რა დიდი დრო სჭირდება. გადაჭრით თქვან, რას ფიქრობენ, რას აპირებენ, თორემ მართლა ძნელია სამშენებლო ტექნიკის შემოჭრის მოლოდინში საკონკურო მოედნის სრულყოფაზე იზრუნო...

მაგრამ ეს სხვა საუბარია. ჩვენ ასპარეზობას მივუბრუნდეთ. იგი ორდღიანი იყო. კონკური №1 („სისწრაფე და მართვა“) ახალგაზრდა ცხენებისთვის ძნელი არ ყოფილა (100 სმ.), ამიტომაც 9 მონაწილიდან ხუთმა უჯარიმოდ გადალახა. სასიამოვნოა, რომ მათ შორის მოხვდა ასპარეზობის უმრწემესი მონაწილე, ფოთელი მეშვიდეკლასელი გიორგი ჩხარტიშვილი (ცხენი „ბაზალეთი“). დამატებით ჰიტში გაიმარჯვა სამხედრო ესკადრონის ნაცადმა მხედარმა როინ მარგიანმა („ზეცა“). მეორე და მესამე ადგილებზე „ჟოკეიკლუბის“ მხედრები ვასილ მანჯავიძე („ზული“) და ვანო ნორაკიძე („ეროსი“) გავიდნენ. იგივე კონკური ძირითადი ცხენებით (110 სმ.) უჯარიმოდ სამმა მხედარმა გაიარა. დამატებით ჰიტში გიორგი დათუნაშვილი („გალერა“) კვლავ უშეცდომო იყო. მეორეზე გავიდა გიორგი აფციაური („სადაფი“), მესამეზე - ესკადრონელი კახაბერ კიკიანი („ფახლავა“).

საკუთრივ საქართველოს თასის კონკურში (ახალგაზრდა ცხენებით) გაიმარჯვა გაჩეჩილაძემ („გედი“). მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს მანჯავიძემ და ირაკლი ჭაფოძემ (სპორტსკოლა „საფარა“). ძირითადი ცხენებით ეს პრიზი ორ ჰიტად გათამაშდა. პირველ ჰიტში სუფთად მხოლოდ ნორაკიძემ („ფლოქვი“) იარა. მეორე ჰიტში, მართალია, პირველივე დაბრკოლება დააზიანა, მაგრამ შემდეგ მშვიდად გააგრძელა და 4 საჯარიმო ქულით დაამთავრა ასპარეზობა. მხოლოდ აფციაურს ჰქონდა შანსი გასტოლებოდა მას, თუ მეორე ჰიტს უჯარიმოდ გაივლიდა, მაგრამ მასაც პირველივე დაბრკოლებაზე მოეცარა ხელი. მესამეზე დათუნაშვილი დარჩა (-16).

როგორც თავში ვთქვით, ერთი თვის წინ ვანო ნორაკიძემ თბილისის თასი მოიგო. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის II კურსის სტუდენტისთვის წლევანდელი სპორტული სეზონი ნამდვილად არ დაწყებულა ცუდად. ისე, მისი ტანადობის გამო, თუ ვინმე მოიხდენდა ახალი ყაიდის (ვთქვათ, გერმანულ) საკონკურო ცხენებს, სადაც სამართალია, ვანოც იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით „ფლოქვსაც“ არ სწუნობს, უფრო მეტად კი მაღალი და ონავარი „ეროსის“ ეიმედება.

## ინფოთეკა

### ნისტელროი შევჩენკოს ნაცვლად?

იტალიური „მილანის“ ხელმძღვანელობა გუნდის აწ უკვე ყოფილი ვარსკვლავის ანდრეი შევჩენკოს შემცვლელის ძიებაშია.

სავარაუდოდ, უკრაინელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელი ლეგიონერი რუუდ ვან ნისტელროი შეცვლის.

ბოლო ხანს 29 წლის თავდამსხმელს მანჩესტერელთა თავკაცთან სერ ალექს ფერგიუსონთან დაეძაბა ურთიერთობა და ახალი კლუბის ძიებაშია. ბრიტანელი ჟურნალისტების მტკიცებით, „მილანმა“ უკვე დაიწყო მოლაპარაკება ინგლისურ კლუბთან.

### „ბეშიქთაში“ არგენტინელი დელგადოთი ძლიერდება

თურქული პრესის ცნობით, სტამბულის „ბეშიქთაშმა“ მოლაპარაკება წამოიწყო შვეიცარიულ „ბაზელთან“ არგენტინელი მატიას დელგადოს თაობაზე. სახელდება სატრანსფერო თანხაც - 5 მილიონი ევრო. თავის მხრივ, „ბეშიქთაშის“ ბრაზილიელი ლეგიონერის კლებერსონის ხელში ჩაგდებას ინგლისური „ნიუკასლი“ და ესპანური „ვილიარეალი“ ცდილობენ.

### „ბარსა“ და „ბაიერნი“ აგვისტოში დაეჭახებიან ერთმანეთს

აგვისტოში კატალონიის „ბარსელონა“ ხუან გამპერის პრიზის მოსაპოვებლად მიუნხენის „ბაიერნს“ შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ მსგავს მატჩებს კატალონიელები ახალი სეზონისთვის მზადების მიზნით მართავენ. მანამდე „ბარსელონას“ მეტოქეები იტალიური „იუვენტუსი“ და „მილანი“ გახლდნენ.

ბუნდესჩემპიონ „ბაიერნთან“ შეხვედრის ზუსტი თარიღი, სავარაუდოდ, 22 აგვისტო იქნება. მანამდე სამი დღით ადრე ფრანკ რაიკაარდის გუნდი „სევილიას“ ევროპის სუპერთასის მოსაპოვებლად დაუპირისპირდება.

### „არსენალი“ სიენათი დაინტერესდა

ესპანური პრესის ცნობით, „ვილიარეალის“ ნახევარმცველით მარკოს სიენათი ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელობა ინტერესდება. სიენამ ჩემპიონთა ლიგაზე ამ გუნდების ნახევარფინალური მატჩისას მიიპყრო „მეთოფეთა“ ყურადღება.

29 წლის ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და ახლა მსოფლიო ჩემპიონატზე ამ ქვეყნის ღირსების დასაცავად ემზადება. სიენას „ვილიარეალთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, თუმცა, მისი თქმით, გადაწყვეტილებას მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მიიღებს. „ვილიარეალის“ ნახევარმცველით მადრიდის „რეალიც“ ინტერესდება.

# ფედერერს სტარტზე გაუჭირდა

კვირას სტარტი აიღო სეზონის დიდი სლემის მეორე ტურნირმა საფრანგეთის ღია პირველობამ. პირველ დღეს ბევრი მატჩი არ გამართულა და არც განსაკუთრებული სენსაციები მომხდარა.

თუმცა ერთი მცირე მოულოდნელობა მაინც მოხდა. საკმაოდ გაუჭირდა პირველ ნომრად განთესილ როჯერ ფედერერს. პირველივე წრეში გამოჩნდა, რომ თიხნარზე თამაში ფედერერს ძველებურად უჭირს.

შვეიცარიელი სუპერჩოგბურთელის მეტოქე იყო არგენტინელი დიეგო ჰარფილდი, რომელიც საფრანგეთის ღია პირველობის ძირითად ბადეში კვალიფიკაციის შემდეგ მოხვდა. მატჩი მოულოდნელად დაიწყო. პირველ სეტში სამი გეიმის შემდეგ ანგარიში 3:0 იყო არგენტინელის სასარგებლოდ და პირველი სენსაციის სუნიც დატრიალდა, მით უმეტეს, რომ მეოთხე გეიმში ფედერერი თავის მოწოდებას 15:40-ს აგებდა და არგენტინელს ერთი ბურთის აღება სჭირდებოდა მორიგი ბრეიკისთვის. ვინ იცის, რა მოხდებოდა, როჯერს დროზე რომ არ მოეთოკა ნერვები და ჩვეულ სტილში არ ათამაშებულიყო. საბოლოოდ შვეიცარიელმა პირველი სეტი მოიგო, ამას მეორეც მიაყოლა, რომლის მოსაგებად როჯერს ტაიბრეიკის გამართვა დასჭირდა. მესამე სეტში კი არგენტინელი გატყდა და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა იოლად მიიყვანა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე.

ქვემოთ ფედერერის მცირე ინტერვიუს შემოგთავაზებთ. მანამდე კი პირველი დღის კიდევ ერთ შეხვედრაზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას.

მარია შარაპოვას ამერიკელი მაშონა ვაშინგტონი დაუპირისპირდა. რუმა ლამაზმანმა პირველი სეტი იოლად მოიგო და ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება. ვაშინგტონმა მეორე სეტში ნამდვილი ომი გაუმართა მეტოქეს, მეტიც: ამერიკელმა სეტის მოგებაც მოახერხა და შარაპოვას მესამე სეტის თამაში დასჭირდა. რუსი ჩოგბურთელი მხოლოდ მატჩის მიწურულს გამორფხიზლდა და შეძლო სეტის მოგება.

ახლა კი დაპირებული მცირე ინტერვიუ ფედერერთან:

**- დღეს 49-ჯერ შეცდით. ეს თქვენთვის საკმაოდ უჩვეულოა. როგორ შეაფასებთ საკუთარ თამაშს?**

- უბრალოდ გეტყვით, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლით ბედნიერი ვარ. საკმაოდ დიდ ზეწოლას ვგრძნობ და ეს ხელს მიშლის. რაც შეეხება შეცდომებს, ნუ ვიტყვით, რომ ყველა შეცდომა ჩემი ბრალია. ხშირად მეტოქე თამაშობდა კარგად და მაიძულებდა შევმცდარიყავი.

**- მოულოდნელი იყო მეტოქის ასეთი კარგი თამაში?**

- მატჩამდე მის შესახებ არაფერი ვიცოდი. ამიტომ ნამდვილად არ მეგონა, თუ ასე ითამაშებდა. მისი თამაში აქამდე არ მენახა. შესაძლოა თავიდან ამიტომაც გამიჭირდა, ვცდილობდი მის სტილს შევჩვეოდი. ის საკმაოდ კარგი ჩოგბურთელია და კორტზეც მშვენივრად მოძრაობს.

**- რა იფიქრეთ, როცა პირველ სეტს 0:3-ს აგებდით და მეოთხე გეიმში მეტოქე 40:15-ს გამარცხებდათ?**

- ვცდილობდი პანიკაში არ ჩავვარდნილიყავი. ძალიან ცუდი სტარტი მქონდა. ვხვდებოდი, პირველი სეტი რომ წამეგო, საშინელ დღეში ჩავვარდებოდი. საკუთარ თავში ვიპოვე ძალები და ნორმალურად ავთამაშდი, რამაც, როგორც ხედავთ, შედეგი გამოიღო.

**- მომდევნო მატჩის გამართვა ორ დღეში მოგიწევთ. რას აპირებთ, როგორ დაისვენებთ?**

- პირველ რიგში, ვარჯიში უნდა გავაგრძელო. მომდევნო მატჩს კარგ ფორმაში უნდა შევხვდე. თავადაც ნახეთ, დღეს როგორ გამიჭირდა. ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს. დრო საკმარისად მაქვს, დასვენებასაც მოვასწრებ. პარიზი ძალიან მიყვარს და რომელიმე საღამოს ალბათ ქალაქშიც გავისეირნებ.



*ფედერერის სტარტი მძიმე გამოდგა.*

### 28 მაისი

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| როჯერ ფედერერი - დიეგო ჰარტფილდი | 7:5,7:6,6:2 |
| ტომი რობრედო - ტიმ ზიბი | 6:4,6:2,6:2 |
| დავიდ ნალბანდიანი - სტანისლავ ვავრინკა | 6:2,7:6,6:2 |
| ტიმ ჰენმანი - [illegible] | 6:3,6:4,4:6,6:4 |
| კარლოს მოია - ხუან ანტონიო მარინი | 7:5,6:3,6:3 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ამელი მორესმო - მეგან შონესი | 6:4,6:4 |
| დინარა საფინა - ვერა ზვონარიოვა | 6:3,7:5 |
| მარიონ ბარტოლი - აურელი ვედი | 6:1,6:0 |
| აი სუგიამა - ელენ დანილიდუ | 6:7,6:0,6:3 |
| ივეტა ბენესოვა - პაულინ პარმენტიერი | 7:5,6:3 |
| მარია შარაპოვა - მაშონა ვაშინგტონი | 6:2,5:7,7:5 |

### 29 მაისი

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| სებასტიან გროსჟანი - ანდრეი პაველი | 6:3,6:2,6:3 |
| ბოსე აკასუსო - ფაბრის სანტორო | 6:3,6:1,3:6,1:6, 11:9 |
| გასტონ გაუდიო - როკო კარანუში | 6:2,6:2,6:2 |
| რიხარდ გასკე - იუ ვანგი | 6:4,6:1,7:5 |
| მიშელ ლორდა - რადეკ სტეპანეკი | 4:6,4:6,2:6 |
| ჯეიმს ბლეიკი - პარადორნ შრიჩაპხანი | 6:0,6:4,7:6 |
| ხუან მარტინ დელ პორტო - ხუან კარლოს ფერერო | 3:6,6:2,2:6,4:6 |
| ვინსენტ სპადეა - ნიკოლაი დავიდენკო | 5:7,4:6,4:6 |
| ხავიერ მალისე - ნიკოლას მასუ | 1:6,5:7,6:1,6:4,7:9 |
| კრისტიან პლესი - ფილიპო ვოლანდრი | 4:6,6:7,4:6 |
| ანდრეას სეპი - ევგენი კოროლიოვი | 4:6,6:2,6:3,5:7,1:6 |
| ნიკოლას ალამარგო - უენი არტურსი | 7:5,6:2,6:2 |
| იურგენ მელცერი - ნიკოლას კიფერი | 6:7,3:6,1:6 |
| მარკ გისკიელი - ალესანდრო დი მაურო | 7:5,7:6,6:3 |
| სასა ტუკსარი - მიხაილ იუჟნი | 3:6,3:6,6:3,0:6 |
| მარტინ ვასალო აურელიო - პოლ გოლდსტეინი | 6:2,6:0,6:3 |
| ალეხანდრო ფალა - ჯასტინ გიმელსტობი | 6:4,6:4,6:2 |
| ფლავიო სარეტა - პოტიტო სტარაჩე | 6:7,2:6,6:4,7:6,6:3 |
| ბორის პაშანსკი - ილია ბოზოლაჩი | 4:6,3:6,4:6 |
| ოლივერ მარახი - ფილიპ კოლჩრიბერი | 3:6,5:7,7:6,2:6 |
| ჟილ მიულერი - მაქს მირნი | 3:6,1:6,6:7 |
| ლუკაშ დლოუჩი - კრისტოფ ვლიეგანი | 4:6,6:4,3:6,7:6,6:2 |
| ირჟი ნოვაკი - დმიტრი ტურსუნოვი | 2:6,3:6,2:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| მიხაელა კრაიჩეკი - პეტი შნიდერი | 1:6,2:6 |
| ვირჯინ რუზანო - კიმ კლაისტერსი | 0:6,6:7 |
| სტეფანია ფორეტცი - ნატალი დეჩ | 2:6,6:33:6 |
| ვენუს უილიამსი - სიბილ ბამერი | 6:4,6:3 |
| იარმილა გადოსოვა - სტეფანია კოენ-ალორო | 6:2,5:7,6:3 |
| ელენა დემენტიევა - მარტინა სუჩა | 7:6,6:2 |
| არავან რეზაი - ალბერტა ბრიანტი | 6:4,7:6 |
| ალისია მოლიკი - ანტონელა სერა ძანეტი | 7:5,7:6 |
| ლაურა პუს ტიო - ელენა იანკოვიჩი | 5:7,4:6 |
| სოფია არვიდსონი - მარია ვენტო-კაბჩი | 6:4,6:2 |
| ანდა პერინაუ - ლუსი საფრონოვა | 6:1,7:6 |
| კატალინა კასტანო - აიკო ნაკამურა | 4:6,6:3,6:1 |
| ნა ლი - ამი ფრეიზერი | 7:6,4:6,6:1 |
| ფრანჩესკა სკიავონე - ალიონ ბონდარენკო | 6:3,6:4 |
| იულია ფედოსოვა - ემა ლაინი | 6:4.6:7,2:6 |
| შუ პენგი - ელენა ვესნინა | 6:2,6:2 |
| ნატალი ვიერინი - მარტინა მიულერი | 6:4,4:6,0:3 |
| | (ვიერინმა თამაში შეწყვიტა) |
| ელენა კოსტანიჩი - ეშლი ჰარკლეროუდი | 5:7,6:2,5:7 |
| ანასტასია როდიონოვა - ვერა დუშევნა | 3:6,2:6 |
| ვიქტორია კუზნეცოვა - ივანა კინგი | 7:6,6:2 |
| მენგ იანი - იულია ვაკულენკო | 1:6,2:6 |
| ეანა სრომოვა - რობერტა ვინჩი | 6:1,7:5 |
| კატარინა სრებოტნიკი - ანა სამშოვა | 6:4,4:6,6:2 |
| კაროლინა სპერმი - ელენა ლიხოვცევა | 6:1,6:1 |
| ვირჯინ პიშე - კრისტინ ფლიპკენსი | 2:6,3:6 |

# რონალდო: „ვინ გითხრათ, რომ მოვიმატე?!“

შვეიცარიის ქალაქ ვეგისში, სადაც ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის წინ შეკრებას გადის, ამდენი ჟურნალისტი და რეპორტიორი ერთად არასოდეს უნახავთ. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში პენტაკამპეონეთა ერთ-ერთი ლიდერი რონალდოა.

ამასობაში თავად რონალდო, თანაგუნდელებთან ერთად, მოღიმარი სახით დიდი სიამოვნებით ვარჯიშობს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელს სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ ჭარბი წონის გამო. ფეხბურთის შვეიცარიელმა გულშემატკივრებმა კი, რომლებიც ბრაზილიელთა ვარჯიშს ადევნებენ თვალს, „კიჭას“ მეორე მეტსახელი მოუგონეს - „გოჭი“.

ფანებისგან განსხვავებით, არა გვგონია სახუმაროდ ჰქონდეთ საქმე თავად მსოფლიო ჩემპიონსა და ნაკრების სამედიცინო შტაბს. რონალდოს ჭარბი წონა ერთნაირად ანაღვლებს ყველას - ბრაზილიელთა თავკაცით დაწყებული და ექიმებით დამთავრებული. თუმცა, ისინი თავგადაკლული იცავენ კრიტიკისგან ფეხბურთელს:

„ბოლო დროს რონის მართლაც აქვს წონის პრობლემა, - ამბობს ბრაზილიელთა ნაკრების ერთ-ერთი ექიმი, - მაგრამ რამდენით მეტია ოპტიმალურ წონაზე, ამას ვერ გეტყვით: ეს ფეხბურთელის პირადი საქმე და სამედიცინო საიდუმლოა. ყოველ შემთხვევაში, ერთ რამეში შემიძლია დაგარწმუნოთ: ბოროტი ენები ტყუილად ავრცელებენ ჭორს, თითქოს რონი ჩემპიონატისთვის არ არის მზად. ის გაცილებით უკეთეს ფორმაშია, ვიდრე 2002 წელს კორეა-იაპონიაში იყო. რონალდოს მაშინდელი თამაში კი, ვგონებ, ყველას კარგად ახსოვს“.

სავარაუდოდ, რონალდო ბრაზილიელთა იმედს წელსაც გაამართლებს. ამაში დარწმუნდნენ იტალიელი ჟურნალისტები, რომლებიც საგანგებოდ ჩავიდნენ შვეიცარიაში, რათა „პენტაკამპეონეთა“ შეკრებისთვის ედევნებინათ თვალი.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ერთმანეთში საწვრთნელი შეხვედრა გამართეს. ნაკრები ორ გუნდად გაიყო - „ყვითლები“, რომლის ღირსებასაც სათადარიგო ფეხბურთელები იცავდნენ და „ლურჯები“, რომელშიც ძირითადის ფეხბურთელები გაერთიანდნენ. შეხვედრა „ლურჯების“ 4:1 გამარჯვებით დასრულდა. მატჩის მთავარი გმირი გახდა რონალდო, რომელმაც დუბლი შეასრულა - ერთი გოლი რონალდინიოს პასის შემდეგ მარჯვენა ფეხით გაიტანა, მეორე - მარცხენით.

„რონი გუნდის გამოკვეთილი ლიდერია და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი მეექვსედ გაჩემპიონების მთავარი შემოქმედი სწორედ ის იქნება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რონალდო ხორვატიასთან პირველი მატჩისთვის ბოლომდე არ იქნება მზად, საგანგაშო არაფერია: ის არის ფეხბურთელი, რომელსაც მუნდიალის მიმდინარეობისასაც შეუძლია მაქსიმალურად ათამაშება. შეგახსენებთ, რომ გერმანიაში ჩვენი მიზანი ფინიშამდე მისვლაა: ჩემპიონობის გარდა, ბრაზილიაში სხვა შედეგს არ მიიღებენ“, - კარლოს ალბერტო პარეირა.

მოგვიანებით იტალიელ ჟურნალისტებს თავად რონალდოც გაესაუბრა:

**- გარშემო ყველა მხოლოდ თქვენს ჭარბ წონაზე საუბრობს. თავად თუ გაწუხებთ ზედმეტი კილოგრამები?**

- არანაირად! ვინ გითხრათ, რომ მოვიმატე?! უბრალოდ, საგანგებოდ ჩემთვის შეირჩა ინდივიდუალური მომზადების პროგრამა, რომელსაც ზედმიწევნით ვიცავ. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები.

**- ბრაზილიას ყველა უპირობო ფავორიტად მიიჩნევს. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა თქვენი ნაკრები ტურნირს ფინალზე ადრე გამოეთიშოს?**

- ამაზე ფიქრიც კი არ გვინდა. სრულიად ვეთანხმები ჩვენს დამრიგებელს, რომელიც ამბობს, რომ ვალდებული ვართ გავიმარჯვოთ, რადგან სხვა შემთხვევაში ბრაზილიაში, სადაც ფეხბურთი რელიგიის რანგშია აყვანილი, არ მიგვიღებენ. ჩვენი გულშემატკივარი იმდენად მომთხოვნია, რომ მარცხს არ გვაპატიებს.



**- ვინ მიგაჩნიათ მთავარ მეტოქედ?**

- ბევრს ჰგონია, რომ ჯგუფურ ეტაპს იოლად დავძლევთ. მაგრამ ყველა ნაკრები ერთნაირად უნდა დავაფასოთ, რადგან შეიძლება ვინმეს დაუფასებლობა ძვირად დაგვიჯდეს.

**- იტალიაში ხშირად გაიგონებთ, რომ თქვენი ინტერელი მემკვიდრე ადრიანო მილანს დატოვებს და ესპანეთში გადაბარგდება. ჩანს, ადრიანო რაღაც-რაღაცებში გბაძავთ...**

- სიმართლე გითხრათ, ჩემსა და ადრიანოს შორის მსგავსებას ვერ ვხედავ. თუნდაც იმიტომ, რომ მილანური კლუბი 2002 წელს დავტოვე. ადრიანომ კი ამას წინათ მითხრა, რომ „ინტერიდან“ წასვლას არ აპირებს.

**- თავად თუ ფიქრობთ ესპანეთიდან უკან, იტალიაში დაბრუნებაზე?**

- ყველაფერი, რაც დღეს მინდა, ეს მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაა. რაც შეეხება სერია ა-ში დაბრუნებას, იმედი მაქვს, მუნდიალის დროს ძველ იტალიელ ნაცნობებს შევხვდები და დაველაპარაკებით.

**- ოთხი წელია ესპანეთში თამაშობთ, მაგრამ ალბათ არასოდეს დაგავიწყდებათ ბოლო მილანური სეზონი, როცა „ინტერმა“ სკუდეტო უკანასკნელ წუთზე გაუშვა ხელიდან. მაშინ ყველა არხი აცრემლებულ რონალდოს აჩვენებდა...**

- ახლა, როცა აპენინებზე კარგად ცნობილი სკანდალი მოხდა, მივხვდი, რატომ ვერ იგებს „ინტერი“ ბოლო ათი წელია სკუდეტოს. მართალი ხართ, 2001-02 წლების სეზონში თავად ვაჩუქეთ „იუვენტუსს“ ჩემპიონობა, როცა „ლაციოსთან“ დავმარცხდით. ამაში საკუთარ თავს ვადანაშაულებდი და იმიტომაც ვტიროდი.

**- ერთ-ერთი, ვინც მაშინ ხელი შეგიშალათ, მსაჯი დე სანტისი იყო, რომელიც „მოჯის საქმეში“ მთავარი ფიგურაა...**

- ეს მგონი 2002 წლის აპრილში იყო. ვერონაში, ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე 2:1-ს ვიგებდით. მატჩის ბოლო წუთებზე მეტოქემ თავის საჯარიმოში მაისურზე ჩამომქაჩა და დავეცი. ასპროცენტიანი პენალტი იყო, თუმცა დე სანტისის სასტვენი დუმდა. მანამდე გოლი არ ჩამითვალა, თამაშგარე მოიმიზეზა. საბოლოოდ ის მატჩი 2:2 დავამთავრეთ. „იუვენტუსს“ სამი ქულა გვაშორებდა. მაგრამ ზემოხსენებულ მატჩში დე სანტისის მსაჯობამ ჩვენი ჩამორჩენა გაამყარა. უფრო ხმაურიანი გამოდგა 1997-98 წლების სეზონში „იუვენტუსთან“ თამაში, როცა იულიანომ თავის საჯარიმოში ფეხი დამიდო და დე სანტისმა „ვერ შენიშნა“. მგონი ეს ეპიზოდი ისე შევიდა კალჩოს ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური. „იუვენტუსსა“ და ჩვენს შორის მაშინაც მინიმალური სხვაობა იყო, მაგრამ სკუდეტო მაინც ტურინელებს დარჩათ.

# მარჩელო ლიპის საიდუმლო იარაღი



ორი წლის წინ, როცა იტალიის ნაკრები ევრო 2004-სთვის ემზადებოდა, ლუკა ტონის 30 გოლის წყალობით „პალერმო“, პირველად 1973 წლის შემდეგ, სერია ა-ში აღზევდა. მაშინ ტონი, რომელსაც, ბევრი თანაგუნდელისგან განსხვავებით, არასოდეს უთამაშია ჩემპიონთა ლიგაზე, ალბათ, ვერც კი იფიქრებდა, რომ მალე ქვეყნის პირველ გუნდში გამოიძახებდნენ, ორი წლის შემდეგ კი იტალიის ღირსებას მსოფლიო ჩემპიონატზე დაიცავდა.

იმავე წელს სკეპტიკოსებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ იტალიის უმაღლეს დივიზიონში „პალერმოს“ თავდამსხმელი ისე ვერ გაირჯებოდა, როგორც სერია ბ-ში ბურთაობისას. თუმცა, ელიტაში დაბრუნებულმა ტონიმ პირველივე სეზონში 20 ბურთი შეაგდო, „პალერმომ“ კი ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დაასრულა. შედეგად, ფლორენციის „ფიორენტინამ“, რომელიც მაშინ ძლიერი ფორვარდების ძიებაში იყო, სწორედ „ოქროს ბუცის“ წლევანდელ მფლობელზე შეაჩერა არჩევანი და მასში 12 მილიონი დოლარი გადაიხადა.

მიმდინარე სეზონში იტალიელმა თავდამსხმელმა „ფიორენტინას“ მაისურით 31 ბურთი შეაგდო, რითაც 47 წლის განმავლობაში გახდა პირველი ბომბარდირი, ვინაც სერია ა-ში ერთ სეზონში 30-ზე მეტი გოლი გაიტანა. ამ მიღწევის გამო ტანმაღალმა ფორვარდმა ევროპის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიხვეჭა და „ოქროს ბუცს“ დაეუფლა.

**- მსოფლიოს სხვა უძლიერესი ფორვარდებისგან განსხვავებით, თქვენი ბომბარდირული ნიჭი შედარებით გვიან გამობრწყინდა. როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვფიქრობ, რომ წარმატება გვიან მეწვია. ეს ალბათ ახლა უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. როგორც ჩანს, ახალგაზრდობაში ამისთვის მზად არ ვიყავი. ფეხბურთში, გარდა კარგი თამაშისა, ცოტა იღბალიც საჭიროა. როცა „ბრეშაში“ კარიერის ერთ-ერთ წარმატებულ სეზონს ვატარებდი, ფეხი მოვიტეხე და სეზონი ვეღარ დავასრულე. მაგრამ ვფიქრობ, ამ ტრავმამ ჩემი პროგრესი განაპირობა. თუ კარიერის პიკს 29 წლის ასაკში მივაღწიე, ესე იგი, ეს ახლა დავიმსახურე.

**- „ოქროს ბუცისთვის“ ბრძოლაში გაასწარით ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც ტიერი ანრი და სამუელ ეტოო არიან. პირადად თქვენ რომელს ანიჭებთ უპირატესობას?**

- ტიერი ანრიზე უკეთესი თავდამსხმელი არ მეგულება. მას აქვს ყველაფერი, რაც აუცილებელია საუკეთესო ფორვარდისთვის - ძალა, ტექნიკა, სისწრაფე და გოლის შესაშური ალღო. სამუელ ეტოოც ძალიან მომწონს, მაგრამ ანრის ვერავინ შეედრება.

**- ბავშვობაში ვინ იყო თქვენი კერპი?**

- როცა ფეხბურთის თამაშს ვიწყებდი, მარკო ვან ბასტენის ხანა იყო. მისი თამაშის ყურება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. მახოვს, დიდხანს ვტიროდი, როცა ტრავმის გამო კარიერა დაასრულა. ჩემი აზრით, ვან ბასტენს ანალოგი დღესაც არ მოეძებნება.

**- გარდა იმისა, რომ „ოქროს ბუცსა“ და სერია ა-ს საუკეთესო ბომბადრის ტიტულს დაეუფლეთ, იტალიის ჩემპიონატის რეკორდსმენიც ხართ...**

- ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს თანაგუნდელებს, რომლებიც ყოველ წუთს მიქმნიდნენ საგოლე მომენტებს და კარგ პასებს მაძლევდნენ. თითოეულმა ჩვენგანმა საუკეთესო სეზონი ჩაატარა, რაც იმით დაგვიფასდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ. ეს კი „ფიორენტინასთვის“ სკუდეტოს მოგების ტოლფასია. მით უმეტეს, რომ სეზონის წინ მთავარი ამოცანა სერია ა-ში ადგილის შენარჩუნება იყო. რაც შეეხება ჩემს პირად რეკორდს, ამაზე არასოდეს ვფიქრობდი - უბრალოდ, გოლის გატანა მერჩივნა.

**- მსოფლიო ჩემპიონატის წინ ტიფოზები იმედიანად შემოგყურებენ. როგორ ფიქრობთ, გაამართლებთ მათ იმედს?**

- მარჩელო ლიპის ხელმძღვანელობით ჩვენი ნაკრები სრულფასოვან გუნდად ჩამოყალიბდა. ვარჯიშებზე წვრილმანი დეტალების დახვეწასაც კი უდიდეს დროს ვუთმობთ, ყოველ მათგანს სერიოზულად ვეკიდებით. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვაქცევთ ფიზმომზადებას. ბოლო შედეგების გათვალისწინებით, „სკუადრა აძურას“ ჩემპიონატის ფავორიტადაც მიიჩნევენ, რაც ორმაგად სასიამოვნოა. ახლა მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ და დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია გულშემატკივრის იმედის გამართლება.

## იამაიკელი მსაჯი მუნდიალს დაემშვიდობა

საუკეთესო იამაიკელმა მსაჯმა პეტერ პრენდერგასტმა და მისმა ორმა ასისტენტმა ენტონი ჰარვუდმა და ჯოზეფ ტეილორმა გუშინ დატოვეს გერმანია და შინ გაემგზავრნენ. პრენდერგასტი მომავალ მუნდიალზე ვეღარ იმსაჯებს - ამის მიზეზი მოსამზადებელ პერიოდში მიღებული მუხლის ტრავმა გახლავთ.

## ჟაკ ფერნანდესი „ოსერში“

ფრანგული „ოსერის“ ახალ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ჟაკ ფერნანდესი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ „მარსელი“ დატოვა. „ოსერმა“ ფერნანდესთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „ოსერს“ ხელმძღვანელობდა ჟაკ სანტინი, რომელიც გუნდიდან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაუშვეს.

რაც შეეხება „მარსელს“, ამ გუნდის მესვეურები მთავარი მწვრთნელის პოსტს დიდიე დეშამს სთავაზობდნენ, თუმცა წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა „მარსელში“ მუშაობა არ ისურვა და ფრანგული გრანდი კვლავაც მწვრთნელის გარეშეა.

## კაპელო დარწმუნებულია

სულ ცოტა ხნის წინ ფაბიო კაპელომ დაადასტურა „ინტერთან“ და „რეალთან“ მოლაპარაკებების ფაქტი, თუმცა გუშინ გამოცდილმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონშიც „იუვენტუსში“ იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ იტალიაში მიმდინარეობს საფეხბურთო გამოძიება, რომლის დასრულების შემდეგ შესაძლოა „იუვენტუსს“ ელიტური დივიზიონიც კი დაატოვებინონ, თუმცა კაპელო დარწმუნებულია, რომ ასეთი რამ არ მოხდება.

„დარწმუნებული ვარ, „იუვენტუსი“ დარჩება სერია A-ში. იტალიაში ჩვენს წინააღმდეგ მასშტაბური კამპანია აგორდა. „იუვენტუსი“ არასდროს ყიდულობდა თამაშებს და ჩვენ ამას დავამტკიცებთ. საკუთარ მომავალს კი მხოლოდ ტურინულ კლუბს ვუკავშირებ“, - განაცხადა კაპელომ.

მაშინ, როდესაც ფაბიო კაპელო დარწმუნებით ამიბობს, რომ ტურინელებს პრობლემა არ ექნებათ, გუნდის ფრანგი ლიდერი პატრიკ ვიეირა ინგლისში დაბრუნებაზე ალაპარაკდა: „იუვენტუსს“ აშკარად ვერ შევეწყვე, იტალიაში თავს კარგად ვერ ვგრძნობ და დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი „არსენალში“.

## ალბანეთს გარიცხვით ემუქრებიან

გუშინ უეფამ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც ალბანეთი შესაძლოა მოკვეთონ როგორც ევროპული საკლუბო ტურნირებიდან, ისე ყველა იმ ტურნირიდან, რომელშიც მონაწილეობენ ნაკრები გუნდები და რომელიც უეფასა და ფიფას ეგიდით იმართება. მარტივად რომ ვთქვათ, ალბანელებს სრული საფეხბურთო იზოლაცია ელოდებათ.

მიზეზი მეტად ტრივიალურია: ალბანეთის მთავრობა უხეშად ჩაერია ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში, რაც ფიფასა და უეფას წესდებით კატეგორიულად იკრძალება.

## გავცვალოთ ტონი ადრიანოში

რამდენიმე დღის წინ იტალიურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად „ფიორენტინასა“ და იტალიის ნაკრების ფორვარდმა ლუკა ტონიმ უკვე შეათანხმა წინასწარი კონტრაქტი მილანის „ინტერთან“. ამის საპასუხოდ ფლორენციული კლუბის მესვეურები ოდნავ პროვოკაციულ განცხადებას აკეთებენ: „გინდათ ტონი? მაშინ მოგვეცი ადრიანო.“

აღსანიშნავია, რომ ტონის სატრანსფერო ფასი 20 მილიონი ევროა, მაშინ როდესაც ადრიანო ამის ნახევარ თანხად არის შეფასებული. მაშასადამე, თუ გაცვლა მოხერხდა, „ინტერს“ კიდევ ათი მილიონის დამატება მოუწევს.

## რუნის საკითხი 7 ივნისს გადაწყდება

გუშინ ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერის“ ექიმები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ რუნის საბოლოო სამედიცინო შემოწმება 7 ივნისს უნდა გაიმართოს. თუ ამ დადგინდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში რუნის ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის, ერიქსონი ინგლისის ნაკრების იმედს მინდორზე არ გაიყვანს.

## უკრაინაში ლიმიტს აწესებენ

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უკრაინის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში უცხოელ ფეხბურთელებზე გარკვეული ლიმიტი მაინც დაწესდეს. ახალი კანონის თანახმად, გუნდებს მინდორზე ერთდროულად შვიდ უცხოელ ფეხბურთელზე მეტის გამოყვანა არ შეეძლებათ. ასეთი გადაწყვეტილება უკრაინული ფეხბურთის კეთილდღეობის მიზნით მიიღეს, რადგან ბოლო დროს საუკეთესო უკრაინულ გუნდებში ადგილობრივი ფეხბურთელები თითქმის არ თამაშობენ, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის უკრაინის ნაკრებს.

## ეტო'ომ „მილანზე“ უარი თქვა

კამერუნელმა ფორვარდმა სამუელ ეტო'ომ იტალიურ „მილანში“ გადასვლაზე უარი განაცხადა.

„მილანს“ ურჩევნია სხვა ფეხბურთელებზე იფიქროს. ჩემს გადაბირებას ნურც ეცდებიან. ეს, უბრალოდ, დროის ფუჭად დაკარგვა იქნება. ბერლუსკონისთვის უკეთესი იქნება, თუ ახლავე დიდიე დროგბას შეძენაზე იფიქრებს. მე კი უმჯობესია დამივიწყონ. „ბარსელონას“ მაინც არ დავტოვებ“, - აცხადებს ეტო'ო.

## რეალისტი მესი

არგენტინის ნაკრების ფორვარდი ლიო მესი მოვლენებს რეალურად აფასებს. ფეხბურთელის განცხადებით, მუნდიალის პირველი მატჩისთვის იგი სრულ მზადყოფნაში ვერ იქნება. მისი ვარაუდით, მწვრთნელი მას ძირითად შემადგენლობაში არ დააყენებს. „არა მგონია, რომ პირველ მატჩში მონაწილეობა მივიღო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კარგა ხანია არ მითამაშია. ისე, თავს კარგად ვგრძნობ. იმედია, ფინალში გავალთ და იქ ბრაზილიის ნაკრებს შევხვდებით. აი, ამ მატჩს კი არავითარ შემთხვევაში არ გამოვტოვებ“, - ამბობს მესი.

## სკოლარი „ფენერბახჩეში“ მიდის

თურქული მედიის ინფორმაციით, პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელი მთავარი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ თურქული „ფენერბახჩეს“ მთავარი მწვრთნელი გახდება. 58 წლის ბრაზილიელს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობენ და სეზონში 3,5 მილიონ ევროს გადაუხდიან. შედარებისთვის გეტყვით, რომ პორტუგალიის ნაკრებში სკოლარი სეზონში 800 000 ევროს იღებს.

## ცვლილებები არაგონესის გუნდში

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ესპანეთის ნაკრებში შესაძლოა ორი ცვლილება მოხდეს. თუ ფინალური ეტაპის დაწყებამდე ასიერ დელ ორნომ და მიჩელ სალგადომ ტრავმების მოშუშება ვერ მოასწრეს, არაგონესი მათ ნაცვლად მარიანო პერნიასა და ხოან კაპდევილიას წაიყვანს. პერნია „ხეტაფეში“ თამაშობს, კაპდევილია კი - „დეპორტივოში“.

## რიბერი „მანჩესტერსაც“ მოუნდა

„მარსელის“ ნახევარმცველის ფრანკ რიბერის შეძენას „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ცდილობს. მასზე ნამდვილი ნადირობა გამოცხადდა. 22 წლის შემტევი ნახევარმცველის გადაბირებას „მანჩესტერის“ გარდა „არსენალი“, „ლიონი“, „ინტერი“ და „მილანიც“ ლამობენ. ჯერჯერობით „მარსელი“ ფეხბურთელის გაყიდვას არ გეგმავს, თუმცა ფრანგული გრანდის მესვეურები შესაძლოა მაინც გატყდნენ. რაც შეეხება რიბერის, ტიერი ანრი მას საფრანგეთის ნაკრების მთავარ კოზირს უწოდებს.

„მისი იმედი მთელ საფრანგეთს აქვს. ამიტომ მას გაუჭირდება, თუმცა უაღრესად ნიჭიერია და მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდის მთავარი კოზირი იქნება. მეტოქე გუნდის მცველებისთვის რიბერი ნამდვილი კოშმარია“, - ამბობს ანრი.

## ძამბროტა დაშავდა

იტალიის ნაკრების მცველმა ჯანლუკა ძამბროტამ გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე ბარძაყის ტრავმა მიიღო. „იმედია, სერიოზული არაფერია და ჩემპიონატის დაწყებისთვის ფორმაში ვიქნები. ჯერჯერობით გუნდთან ერთად ვრჩები, თუმცა ექიმების კონტროლის ქვეშ ვიმყოფები“, - ამბობს ძამბროტა.

## ბენიტესმა კონტრაქტი გააგრძელა

სამთვიანი ფიქრის შემდეგ რაფა ბენიტესმა 2010 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი „ლივერპულთან“. მერსისაიდელთა მესვეურები შიშობდნენ, რომ ბენიტესი ესპანეთში დაბრუნდებოდა. როგორც ცნობილია, ამ სპეციალისტს მადრიდის „რეალი“ ეპატიჟებოდა. სწორედ ამიტომ დააჩქარეს „ლივერპულის“ ხელმძღვანელებმა მწვრთნელთან ახალი კონტრაქტის გაფორმება.

## როსიცკი ჩეხებს ვერ დაეხმარება

ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველმა ტომაშ როსიცკიმ საუდის არაბეთთან გამართულ ამხანაგურ მატჩში მიიღო ტრავმა, რის გამოც გამოტოვებს თავისი გუნდის მორიგ საკონტროლო მატჩს, რომელსაც ჩეხები კოსტა რიკის გუნდის წინააღმდეგ გამართავენ. ჯერჯერობით უცნობია რამდენად სერიოზულია ეს ტრავმა და შეძლებს თუ არა როსიცკი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისთვის მომჯობინებას.

## ფანების მხარდაჭერის იმედად

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის ფრანც ბეკენბაუერის თქმით, გერმანიის ნაკრები მუნდიალის ფავორიტად არ ითვლება, თუმცა გულშემატკივართა მხარდაჭერის წყალობით ბუნდესნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებაც შეუძლია. „ჩვენ ფავორიტები არ ვართ. გერმანიის ნაკრების ერთადერთი კოზირი საკუთარი კედლებია. მსოფლიო ჩემპიონობას მხოლოდ გულშემატკივართა მხარდაჭერით შევძლებთ“, - ამბობს ბეკენბაუერი.

## პარეირა საუკეთესოა

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ 2005 წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. „უდიდესი ტურნირის წინ ასეთი აღიარება და პრიზი ძალიან სასიამოვნოა. მერწმუნეთ, პირადად ჩემთვის ეს დამატებითი სტიმული იქნება“, - განაცხადა პენტაკამპეონების თავკაცმა.

## სისე წასვლას აპირებს

„ლივერპულის“ ფრანგი ფორვარდი ჯიბრილ სისე მერსისაიდული კლუბის დატოვებას მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე აპირებს. „მინდა ყველაფერი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გავარკვიო. „ლივერპულში“ დარჩენას არ ვაპირებ. ახალ გუნდთან კონტრაქტს მუნდიალის დაწყებამდე გავაფორმებ“, - აცხადებს ფეხბურთელი.

## ვან დერ ვაარტი ემზადება

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელს ერთადერით პრობლემა აქვს. ჯერჯერობით გუნდთან ერთად ვერ ემზადება რაფაელ ვან დერ ვაარტი. „ჰამბურგის“ ნახევარმცველი ტრავმირებულია და ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

ჰოლანდიის ნაკრების ექიმების თქმით, რაფაელი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება და „ნარინჯისფერთა“ პირველივე მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

# ბარბაროსები ღვინის ქვეყანაში

**საუკუნის მატჩი**

მსოფლიოს უპირველესი წვეული გუნდი ქართველი ბორჯღალოსნების წინააღმდეგ

**საქართველო ბარბაროსები**

*მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი*

*4 ივნისი, 2006 წ.*

*დასაწყისი 18:00 სთ-ზე*

*ბილეთის ფასი:*



# „დალასი“ ფინალისკენ მიიწევს

NBA-ს დასავლეთ კონფერენციის ფინალში მესამე მატჩი გაიმართა. როგორც იცით, „დალასისა“ და „ფინიქსის“ პირველი ორი შეხვედრის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო 1:1. მესამე მატჩს „ფინიქსი“ მასპინძლობდა და, შესაბამისად, მასპინძლები ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, თუმცა ნოვიცკიმ და მისმა თანაგუნდელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს დაცვაში. ლიგის ერთ-ერთ ყველაზე შემტევ გუნდად მიჩნეულმა „ფინიქსმა“ კი ვერაფერი გააწყო დალასური დაცვის წინააღმდეგ. ამ საღამოს მასპინძელმა კალათბურთელებმა მხოლოდ 88 ქულა დააგროვეს, რაც მათთვის საოცრად ცუდი მაჩვენებელია. მატჩი კი „დალასის“ გამარჯვებით 95:88 დასრულდა.

თამაში „ფინიქსის“ უპირატესობით დაიწყო. პირველ ტაიმში იყო მომენტი, როდესაც მასპინძლები 11 ქულით იყვნენ წინ, მთლიანობაში კი პირველი ორი მეოთხედი „ფინიქსმა“ 52:47 მოიგო. მესამე მეოთხედი გადამწყვეტი აღმოჩნდა. „დალასმა“ 12-წუთიანი მონაკვეთი 9-ქულიანი უპირატესობით მოიგო და ფაქტობრივად გადაწვიტა კიდეც მატჩის ბედი. მეოთხე მეოთხედში სტუმრებმა უპირატესობა შეინარჩუნეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.



*ნოვიცკი ორივე ფარზე ბატონობდა.*

„დალასის“ გამარჯვების მთავარი შემოქმედი, რაღა თქმა უნდა, იყო გერმანელი დირკ ნოვიცკი, რომელიც ორივე ფარზე ბატონობდა. ნოვიცკის ანგარიშზე 17 ფარიდან მოხსნილი ბურთია, აქედან 6 - შეტევაში. ამასთან, ნოვიცკიმ თავის გუნდს 28 ქულა შესძინა და 5 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. თუმცა, მისი მონაგარი ამით არ ამოწურულა: დალასელთა ლიდერმა ორი ბლოკშოტი და ერთი ჩაჭრაც გააკეთა.

რაც შეეხება სტუმართა გუნდს, საუკეთესო სტივ ნეში იყო. ლიგის ყველაზე ძვირფას კალათბურთელად დასახელებულმა ნეშმა თავის გუნდს 21 ქულა შესძინა, 7 შედეგიანი გადაცემა გააკეთა და ერთხელ ფარიდანაც მოხსნა ბურთი.

ნიკოლოზ ცქიტიშვილი არც ამჯერად გასულა მინდორზე. მწვრთნელი აშკარად არ ენდობა ქართველ კალათბურთელს და ისიც თანაგუნდელებს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებს თვალყურს.

# ეს ჰოლივუდი არ გეგონოს, ჩხუბია, ჩხუბი!

გიგა გურასაშვილი

*ნახევრად მძიმე წონის ყოფილი ჩემპიონი ანტონიო ტარვერი, რომელიც ბერნარდ ჰოპკინსთან ორთაბრძოლისთვის ემზადება, იქადნება, მაგ თქვენს ჩემპიონს თვალებიდან ნაპერწკლებს ვაყრევინებო.*
*ჩხუბი 10 ივნისს ატლანტიკ სიტიში გაიმართება და, თუ ტარვერს დავუჯერებთ, ჰოპკინსს ექვს რაუნდში დასცემს.*

„ბრწყინვალე ფორმაში ვარ. ენით ვერ გადმოვცემ, რა გრძნობა მეუფლება. ხალხს არ ესმის, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ვვარჯიშობ. რა, გგონიათ, რომ გულხელდაკრეფილი ვიჯექი და სილვესტერ სტალონესთან ერთად ფუნთუშებს მივირთმევდი? (ტარვერს სტალონე შემთხვევით არ უხსენებია. ფილმ „როკის“ სცენარის მიხედვით, სტალონეს, რომელიც როკი ბალბოას როლს განასახიერებს, მეტოქეობას უწევს თავად ტარვერი, რომელიც, თავის მხრივ, ჩემპიონის როლს ასრულებს.-რედ.).

დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ მწვრთნელთან გენარ პეტერსონთან ვმუშაობ. ასე რომ, ახლა უფრო ძლიერი და სწრაფი ვარ. 10 ივნისს საოცარ კრივს გაჩვენებთ, - აცხადებს ტარვერი და იქვე ჰოპკინსის სამერმისო შანსებზე განაგრძობს საუბარს, - ჰოპკინსისთვის უჩვეულოა ახალ წონაში გადასვლა („ჯალათმა“, როგორც ჰოპკინსს ეძახიან, ქვედა წონიდან ზევით გადაინაცვლა.-რედ.). როდესაც მის კორპუსზე მივიტან



*ფილმში „როკი“ სტალონეს ტარვერი უწევს მეტოქეობას.*

იერიშს და ახლოდან შევუტევ, ის იძულებული იქნება იმოძრაოს. ვნახოთ, როგორი იქნება ზედმეტი წონით ჩემგან თავის არიდება. როგორ უნდა დამალწიოს თავი? მისთვის ხომ ეს ყოველივე უცხო იქნება...

ვთქვი კიდეც, ჰოპკინსს ბრძოლის პირველ ნახევარში დავანოკაუტებ-მეთქი (მას შემდეგ, რაც ტარვერმა ჰოპკინსთან მატჩზე შეთანხმებას მოაწერა ხელი, მომავალ მეტოქეს 250 ათას დოლარად ნაძლევიც დაუდო, მეექვსე რაუნდამდე ნოკაუტში გაგიშვებო.-რედ.)“.

მუქარის შემდეგ ტარვერმა საკუთარ მეტოქეებთან ჩხუბის წარმართვის ტაქტიკასაც ახადა ფარდა: 12-რაუნდიანი ორთაბრძოლების ჩატარებას აღარ ვაპირებ. შევეცდები ყოველი მათგანი დროზე ადრე დავსაჯო და გზიდან ჩამოვიშორო.

ამის მერე გლობალურად შეხედა კრივში საკუთარ როლს და განაცხადა: „სხვა განზომილებაში ვმოძრაობ. ბევრი რამის გაკეთება შემიძლია, რაც მინდა, რომ ყველას ვაჩვენო. ღმერთმა უხვად დამაჯილდოვა ნიჭით. ახლა კი დროა, ეს ყველამ ნახოს. 37 წლის ვარ და სახეზე ერთი იარაც არ მაქვს. ჩემთვის ტკივილი ჯერ არავის მოუყენებია. ღმერთი ჩემდამი ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო. ამას 10 ივნისსაც ნახავთ. ერთხელ და სამუდამოდ გზიდან ჩამოვიშორებ ჰოპკინსს (ცნობისთვის: ტარვერი და ჰოპკინსი ჯერ არ შეხვედრიან ერთმანეთს.-რედ.). HBO-ს (საკაბელო არხი, რომელიც პროფესიული კრივის ტრანსლაციებს აწარმოებს.-რედ.) შევპირდი, რომ მათ მავნე მიკრობებისგან - როი ჯონსისგან, ბერნარდ ჰოპკინსისგან და სხვებისგან გავათავისუფლებ. რამდენიმე დღეში მისია შესრულდება“.

ბერნარდ ჰოპკინსი, რომელზეც ამდენს საუბრობდა ტარვერი, მომავალ მეტოქეზე თავის სათქმელს სხვისი პირით (მწვრთნელები, მეგობრები) ამბობდა, მაგრამ, ეტყობა, ტარვერის ტრაბახი ყელში ამოუვიდა და ბოლოს ენა ამოიდგა.

„ბევრს ლაპარაკობს. მუდმივად რაღაცებს ბოდავს, საკუთარ იმიჯს ბუქავს. მაინტერესებს, ტელეეკრანის რომელ მხარეს ცხოვრობს. გეყოფა რა, ძმაო. რასაც შენ ბოდავ, სისულელეა. შენს ეს ყველაფერი ჰოლივუდი ხომ არ გგონია! ყველამ კარგად იცის, რაც ემართებათ იმათ, ვისაც ჩხუბის ნაცვლად გადასაღები მოედანი იტაცებს. თუმცა მესმის, რაც აღელვებს. უფრო წვრილმანები აინტერესებს: რომელი ჩვენგანი როგორ გავა რინგზე, ვინ უფრო თვალისმომჭრელად იქნება შემოსილი. მგონია, რომ ის უფრო აინტერესებს, ბრძოლის დროს როგორ ტრუსს ჩავიცვამ...

მეოთხედ მილიონზე ნაძლევიც დადო - მეექვსე რაუნდის ბოლომდე გზიდან ჩამოვიშორებო. მეტიც: ეს ყველაფერი კონტრაქტშიც კი შეატანინა. იცით, ეს რატომ გაკეთა (დარწმუნებული ვარ, ახლა ნანობს კიდეც)? იცის, რომ თუ ეს დასაწყისშივე არ შეასრულა, მისი საქმე წასულია“.

ერთი სიტყვით, ატლანტიკ სიტიში კარგი ჩხუბი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ტარვერსა და ჰოპკინსს დიდი არაფერი ტიტულები არა აქვთ ერთმანეთში საჯილდაოდ. მეტ-ნაკლებად პატივცემული ორი საჩემპიონო ქამარი თამაშდება: კრივის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IBO) და კრივის ეროვნული ასოციაციისა (NBA).

## დასანანი ფრე ბულგარეთთან

გუშინ ტურინში საჭადრაკო ოლიმპიადის მერვე ტური გაიმართა. მეშვიდე ტურში საქართველოს ორივე ნაკრებმა საკმაოდ კარგად იასპარეზა და სატურნირო ცხრილშიც საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა. ქალები მეხუთე ადგილზე იყვნენ, მამაკაცები - მეექვსეზე. გუშინ პოზიციების გამყარება იყო საჭირო. ეს კი არც ისე იოლი გახლდათ, რადგან ჩვენებს სერიოზული მეტოქეები ჰყავდათ.

ქალები ბულგარეთის ნაკრებს ეთამაშებოდნენ. პირველ დაფაზე თეთრი ფიგურებით მოთამაშე ხურციძე სწრაფად დაუზავდა სტეფანოვას, სამაგიეროდ მესამე დაფაზე შანსი არ დაუტოვა დინგაროვას და საქართველოს ნაკრები დააწინაურა. მეორე დაფაზე ძაგნიძე ვოისკას ეთამაშებოდა. მატჩი დიდხანს გაგრძელდა, ქართველი მოჭადრაკე დამარცხდა და შეხვედრაც ყაიმით დასრულდა.

არადა, ბულგარეთის ნაკრებთან გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ქალები საგრძნობლად გაიუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას.

რაც შეეხება მამაკაცებს, ჩვენი ნაკრები უზბეკეთის გუნდს ეთამაშებოდა. პირველ დაფაზე ჯობავა სწრაფად დაუზავდა ხასიმჯანოვს. შემდეგ ქართველებმა ორი პარტია მოიგეს. მესამე დაფაზე მოთამაშე გაგუნაშვილმა ფილიპოვს სძლია, მეოთხე დაფაზე კი არუთუნიანმა კაიუმოვი დატოვა უშანსოდ. სამი დასრულებული პარტიის შემდეგ ქართველებმა მატჩის საბოლოო მოგებაც გაინაღდეს, თუმცა სატურნირო თვალსაზრისით მეოთხე პარტიასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, მეორე დაფაზე თეთრებით მოთამაშე ფანცულაია გარიევთან დამარცხდა. თუმცა, უზბეკეთის ნაკრების დამარცხება მაინც მნიშვნელოვანია, რადგან ეს გუნდი მერვე ტურის წინ სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე იყო.

## ინფოთეკა

### უსაფრთხოების გარანტიებს ვერ იძლევიან

გრანდიოზული სკანდალის შემდეგ, რომელიც ბერლინის ცენტრალური რკინიგზის სადგურის გახსნას მოყვა, გერმანიის დედაქალაქის პოლიცია ვერ იძლევა გულშემატკივართა უსაფრთხოების სრულ გარანტიას.

შეგახსენებთ, რომ სადგურის გახსნისას პოლიციელთა არაკვალიფიციური მუშაობის გამო 28 ადამიანი მძიმედ დაშავდა.

16 წლის ახალგაზრდამ დანით დაჭრა რამდენიმე ადამიანი. სადგურის გახსნის ცერემონიალს ნახევარი მილიონი ადამიანი ესწრებოდა, დაცვა კი მხოლოდ 100 პოლიციელით იყო უზრუნველყოფილი.

### ბასოს ტურის მოგებაც შეუძლია

გუნდ CSC ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ჯირო დ`იტალიას მოგების შემდეგ ივან ბასოს ტურ დე ფრანსის მოგებაც შეუძლია.

„ბასო მშვენიერ ფორმაშია, რაც ჯიროზე დამტკიცდა. ვფიქრობ, ტურის მოგებაც ძალუძს. მისი მთავარი მეტოქე კი იან ულრიხი იქნება“, - აცხადებს ბიარნე რისი.

ულრიხმა ჯიროზეც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ გერმანელი დიდ მიზნებს არ ისახავდა - ის ამ ტურნირს ტურისთვის მოსამზადებელ ეტაპად თვლიდა.

### გაბრი „ბარსელონას“ დატოვებს

ესპანური „ბარსელონას“ ნახევარმცველმა გაბრიმ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება - ის კლუბს დატოვებს. გაბრი რვა სეზონის განმავლობაში თამაშობდა კატალონიურ გრანდში, ახლა კი ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას. როგორც ამბობენ, მას „ესპანიოლი“ იწვევს.

### ჩინეთში მოწევას აკრძალავენ

2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ჩინეთში სიგარეტის მოწევას შეზღუდავენ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჩინეთის ხელისუფლებამ. შეზღუდვა სპორტული დელეგაციების წარმომადგენლებს არ შეეხებათ. მოწევას მხოლოდ პეკინის მცხოვრებლებს აუკრძალავენ. ჩინეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ ამით სპორტული შეჯიბრებებისთვის ხელსაყრელი პირობები იქნება შექმნილი.

### აგუერო „ატლეტიკოში“

მადრიდის „ატლეტიკოს“ ერთ-ერთი მფლობელის თქმით, გუნდმა უკვე დაასრულა მოლაპარაკება არგენტინულ „ინდიპენდიენტესთან“ და გააფორმა კონტრაქტი ამ გუნდის 17 წლის ფორვარდ სერხიო აგუეროსთან. ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ „ატლეტიკომ“ 2012 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი ანტონიო ლოპესთან.

### დელ ბოსკემ არჩევანი გააკეთა

მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ განაცხადა, რომ სამეფო კლუბის საპრეზიდენტო არჩევნებში ხუან პალასიოსს დაუჭერს მხარს. დელ ბოსკემ არაერთხელ აღნიშნა, რომ არ დაბრუნდება გუნდში, თუ პრეზიდენტის პოსტზე ფლორენტინო პერესი ან რომელიმე მისი თანამოაზრე იქნება. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებს პალასიოსი მოიგებს, დელ ბოსკე თანახმაა დაბრუნდეს მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

(თელავის რაიონის გამგეობის მიერ 2006 წლის 29 მაისის გამოცხადებულ განცხადებაში ცვლილებების შესახებ)

თელავის რაიონის გამგეობა, ქალაქი თელავი, 2200 ერეკლე II-ის გამზირი N16, აცახადებს ღია ტენდერს ცხრილში მოცემული სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**I ლოტი (რესტავრაცია)**

| N | დასახელება | ფართი |
|---|---|---|
| 1 | "ვახვახიშვილების ციხე"-ს ბურჯის | |

**II ლოტი (ფასადების შეღებვა-რესტავრაცია)**

| N | დასახელება | ფართი |
|---|---|---|
| 1 | ნადიკვრის N9 | 530მ$^2$ |
| 2 | რუსთაველის N66 | 810მ$^2$ |
| 3 | რუსთაველის N68 | 810მ$^2$ |
| 4 | რუსთაველის N93 | 675მ$^2$ |
| 5 | რუსთაველის N87 | 700მ$^2$ |

**III ლოტი (ფასადების შეღებვა-რესტავრაცია)**

| N | დასახელება | ფართი |
|---|---|---|
| 1 | რუსთაველის N81 | 820მ$^2$ |
| 2 | რუსთაველის N83 | 1300მ$^2$ |
| 3 | რუსთაველის N85 | 700მ$^2$ |

სამუშაოს მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან 2006 წლის 1 სექტემბრამდე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე არა უგვიანეს 2006 წლის 18 ივნისის 14 საათისა, მისამართზე: ქ.თელავი (2200), ერეკლე II გამზ N16, თელავის რაიონის გამგეობის შენობა, II სართული, საფინანსო სამსახური ტელ: 8 250 7 24 29.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია.
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
4. ცნობა საქართველოს შსს-დან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი, ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.
5. ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ)
6. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.
7. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.
2. ცნობა საქართველოს შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის ნასამართლევი და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
5. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- ინფორმაციას უკანსკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ მათი მოთხოვნისთანავე.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: თელავის საგადასახადო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300514040. აუცილებლად უნდა მიეთითოს თელავის რაიონის გამგეობა.

პრედენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს ლოტების მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

**დამატებითი ინორმაციისათვის მიმართეთ თელავის რაიონის საფინანსო განყოფილებას, ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16. თელავის რაიონის გამგეობის შენობა, II სართული. ტელ: 8 250 7 24 29.**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"

საქართველოს კანონი "საქართველოს შესყიდვების ადმინისტრაციულ სამართალდარრვევათა დარღვევათა კოდექსში დამატებების შესახებ"

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ"დებულების 33-37-ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

(თელავის რაიონის გამგეობის მიერ 2006 წლის 29 მაისის გამოცხადებულ განცხადებაში ცვლილებების შესახებ)

თელავის რაიონის გამგეობა, ქალაქი თელავი, 2200 ერეკლე II-ის გამზირი N16, აცახადებს ღია ტენდერს ქ. თელავის ცენტრალური ქუჩების რეაბილიტაციიის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| N | ქუჩის დასახელება | სამუშაოს სახეობა | ფართობი მ. კვ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. თელავის ცენტრი ერეკლე II-ის გამზ. ტთავისუფლების მოედანი ბარნოვის ქ. სააკაძის ქ. რუსთაველის გამზ. ნაწ. ბაგრატიონის ქ. ნაწ. ნადიკვრის ქ. ნაწ | გადაგება+ორმოული | 29000 | |
| 2 | ჭავჭავაძის გამზ. | ორმოული შეკეთება | 6400 | |
| 3 | რუსთაველის გამზირის ქვაფენილი | ქვაფენილი | 2500 | 3.გზის გასაფართოებლად საცხოვრებელი სახლის შესყიდვა და ქვაფენილის რეკონსტრუქცია |
| 4 | სამხარეო ადმინისტრაციის მიმდებარე სკვერი | ქვაფენილი | 1500 | 4.სკვერის მოპირკეთება ქვაფენილით მისი გარშემო მოედნის მოასფალტება |
| | სულ: | | 39400 | |

სამუშაოს მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან 2006 წლის 1 სექტემბრამდე

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე არა უგვიანეს 2006 წლის 18 ივნისის 15 საათისა, მისამართზე: ქ.თელავი (2200), ერეკლე II გამზ N16, თელავის რაიონის გამგეობის შენობა, II სართული, საფინანსო სამსახური ტელ: 8 250 7 24 29.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია.
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
4. ცნობა საქართველოს შსს-დან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი, ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.
5. ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ)
6. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.
7. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.
2. ცნობა საქართველოს შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის ნასამართლევი და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
5. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- ინფორმაციას უკანსკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ მათი მოთხოვნისთანავე.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: თელავის საგადასახადო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300514040. აუცილებლად უნდა მიეთითოს თელავის რაიონის გამგეობა.

პრედენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს ლოტების მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

**დამატებითი ინორმაციისათვის მიმართეთ თელავის რაიონის საფინანსო განყოფილებას, ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16. თელავის რაიონის გამგეობის შენობა, II სართული. ტელ: 8 250 7 24 29.**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი @"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"

საქართველოს კანონი "საქართველოს შესყიდვების ადმინისტრაციულ სამართალდარრვევათა დარღვევათა კოდექსში დამატებების შესახებ"

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ"დებულების 33-37-ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1.ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმართველობის მშენებლობის სამსახური აცხადებს ტენდერს ქ.ფოთში 9 აპილის ხეივანის მარცხენა და მარჯვენა სანაპირო გზის კაპ.შეკეთებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიული ან$და ფიზიკურ პირს.

2.გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3.დაინტერესებულ იურიდიულ ან$და ფიზიკურ პირებს სატენდერო დაკომენტაციის მიღება 8ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N 200122900, მიმღები ბანკი:საქართველოს

ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000) 2006 წლის 31 მაისიდან, მისამართზე: ქ.ფოთი დ.აღმაშენებლის N 33

4..დაინტერესებულმა იურიდიულმა ან$და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 20 ივნისის 14.00 საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი დ.აღმაშენებლის N 33.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.5.საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

5.1 ცნობები:

5.1.1.იურიდიული პირისათვის

ა)ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ)ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

5.1.2. ფიზიკური პირისთვის:

ა)ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ)ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ)ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

5.1.3.როგორც ფიზიკური ისევე იურიდიული პირისათვის:

ა)ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ფორმით (ქირა, თხოვება და ა.შ.) სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მანქანა-მექანიზმები მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| მანქანა-მექანიზ-მების დასახელება | აღწერილობა, მოდელი,ტიპი, ტიპი და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთრება |
|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | |

ბ)იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და

დანადგარები იმყოფება მის საკუთრებაში ან სარგებლობაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამასტურებელი დოკუმენტები.

5.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით);

ა)ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ

ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაოებს საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

5.3.ინფორმაცია, იურიდიული ან$და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003,2004,2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიული სამუშაოების გამოცდილების შესახებ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

6.იურიდიული ან$და ფიზიკური პირის მიერ წარმოდეგნილი ცნობები და ინფორმაცია, სამსახურის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით თუშჭდუბა იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

7.იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატერდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს

თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

8.იურიდიული ან$და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის მშენებლობის სამსახურის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება

9.ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია-ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5-%-ის ოდენობით.

10.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის მშენებლობის სამსახურში, საკონტაქტო ტელეფონი 8-293-2-23-70 გერონტი ბერია.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4

აცხადებს ტენდერს ქართული ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტების შესასყიდად. კერძოდ:

***ლოტი I***
ფანდური - 148 ცალი.
***ლოტი II***
ჩონგური - 134 ცალი
***ლოტი III***
სალამური - ენიანი და უენო საერთო რაოდენობით 82 ცალი.
***ლოტი IV***
დოლი - გარე კარკასი მასიური ხისაგან 26 ცალი (საკრავის ზომა შემსრულებელთან შეთანხმებით).
***ლოტი V***
ჭიბონი - 2 ცალი
***ლოტი VI***
ჩანგი - 26 ცალი.
***ლოტი VII***
ჭუნირი - 18 ცალი.
***ლოტი VIII***
დიპლიპიტო - 8 ცალი (საკრავის ზომა შემსრულებელთან შეთანხმებით).

***ლოტი IX***
დუდუკი - 2 ცალი.

ტენდერის შედეგად ყოველ ცალკეულ ლოტზე გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის 27 აგვისტო.

3. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე, 200 ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220 101 107 ანგარიშის ნომერზე N 200122900.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების მიღების ვადაა 2006 წლის 20 ივნისიდან 23 ივნისის 17:00 საათამდე. დაგვიანებით შემოსული განაცხადები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორამციას.

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმის წარმოება.

ბ) ცნობას რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ბ) ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე.

5.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილე ყველა პირმა უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის ნიმუშები.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, ერთ დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ერთი - ქსეროასლის სახით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს რამოდენიმე ლოტზე ერთი სატენდერო წინადადება.

სამუშაოების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მიერ. მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს მინიმუმ 2006 წლის 15 ივლისამდე.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ შემდეგი პირებისაგან ვოვა ღუდუშაური.: 93 23 11, არჩილ ჭოტაშვილი ტელეფონი 93 68 37 მისამართზე: ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N4.

# განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" სააუქციონო კომისია, შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" გაკოტრების მმართველის 2006 წლის 29 მაისის N10 ბრძანებით დამტკიცებული შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" გაკოტრების მასის რეალიზაციის ფორმისა და წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, აცხადებს აუქციონს შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" საკუთრებაში არსებული 1400 კვადრატული მეტრი შეკიდული ჭერის რეალიზაციაზე (ერთ ლოტად).

ლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 19150 (ცხრამეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარი, ბიჯი 1000 (ერთი ათასი) ლარი, ბე - 2000 (ორი ათასი) ლარი.

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 50 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: სს "საქართველოს ბანკის" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101506, ანგარიშის N3609448, საიდენტიფიკაციო N245423073.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდალური დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2006 წლის 15 ივნისის ჩათვლით 10 სთ-დან 16 სთ-მდე (შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" ადმინისტრაციული შენობა, ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. N46).

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 16 ივნისს 16.00 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. N46.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სააუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: (995 222) 76291.

სააუქციონო კომისია

# საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი 0105 ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №15 ა-ში მდებარე შენობის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კუთვნილი მე-5 და მე-6 სართულების სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით აცხადებს ღია ტენდერს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სათანადო ლიცენზიის მქონე ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კუთვნილი მე-5 და მე-6 სართულების სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება 1 ლოტის მიხედვით. დეტალური ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოების შესახებ მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ზემოაღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს 2006 წლის 1 ოქტომბრისა.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დალუქული კონვერტებით, 2006 წლის 20 ივნისის 17 საათამდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მე-3 სართული, ოთახი №313, ტელ.: 38-52-97. სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 20 ივნისს 17 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ წინადადებების გახსნის პროცესს.

4. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლების სახით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);

დ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო (იყვნენ) მსჯავრდებულ(ნ)ი ან ტენდერის დაწყების მომენტისათვის მის (მათ) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის (მათ) სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან))

ე) ცნობას, რომ ბიუჯეტის წინაშე მას არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ინფორმაციას ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების (მოცულობის მითითებით) შესახებ;

ზ) სახელმწიფო ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თაობაზე;

თ) ინფორმაციას მონაწილის ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონების შესახებ.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

